

აშშ კრიზისის მოგვარების გზებს ეძებს
A3



"ცოცხალი სილამაზის" ანუ თბილისის ურბოფიტოსისტემის შესახებ
A5



ფარერების შემადგენლობა ცნობილია
A6

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 5 აგვისტო, 2006 წელი. №175 (1327) | ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

### ამბები

**"მეცნიერებიდან პოლიტიკაში გადავარდნილი" პროფესორების პროცესი დასრულდა**

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამბოხებული პროფესორ-მასწავლებლები გუშინ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დამნაშავედ სცნო წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში და 100 ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა.
A2

### სამართალი

**ჯაშუშობაში ბრალდებულის საქმე სასამართლოს გადაეცა**
A4

### რევიუ

**არქიმედეს საიდუმლო**

საიდუმლოებით მოცული უძველესი ამბები უფრო მეტად აინტერესებთ მეცნიერებს, ვიდრე თანამედროვე აქტუალური პრობლემები. სწორედ ამიტომ გამოიწვია დენ ბრაუნის "და ვინჩის კოდმა" ასეთი ხმაური. გარკვეული საუკუნეების შემდეგ შესაძლებელი გახდა ბევრი გამოკვლევის ჩატარება, მას შემდეგ რაც სპეციალისტების ხელში აღმოჩნდა ტექნიკური შესაძლებლობები.
A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

### ამინდი

| | 5/08 | 6/08 |
|---|---|---|
| თბილისი | 41 | 42 |
| ბათუმი | 42 | 42 |
| სოხუმი | 39 | 40 |
| ქუთაისი | 43 | 45 |
| გორი | 36 | 37 |
| ონი | 32 | 33 |
| ზუგდიდი | 43 | 45 |
| ახმეტა | 40 | 41 |
| სამტრედია | 43 | 44 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7630 |
| ევრო | 2.2552 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3342 |
| რუბლი | 0.0659 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| თვალსაზრისი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# ახალი ეკონომიკური პროგრამა

*გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ბათუმში ახალი ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაცია გამართა. პროექტი ძირითადად სამუშაო ადგილების გაზრდასა და სოფლის მეურნეობაში მიკროკრედიტების გაცემისთვის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. დასაქმების პრიორიტეტად მოქალაქეებისთვის შრომითი კვალიფიკაციის მიცემა და გაზრდა დაისახა. საამისოდ წელს 50 ათასამდე საქართველოს მოქალაქე შრომით სტაჟირებას ბიზნესსექტორში გაივლის. ამ აქციას სახელმწიფო დააფინანსებს და მათ თვეში 450 ლარის სტიპენდიას გადაუხდის. გაისად კი ეს რიცხვი 100 ათასამდე გაიზრდება. ამასთან, უნდა დასრულდეს ქვეყანაში დაწყებული რეფორმები. ეს არის ახალი კერძო არბიტრაჟის შემოღება და საბაჟო-საგადასახადო და ფინანსური პოლიციის შერწყმით მოქნილი სისტემის შექმნა.*

ემზარ დიასამიძე
*ბათუმიდან*

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აჭარის რეგიონში რამდენიმე დღიანი სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა. მისი ბათუმში ჩამოსვლა ტრადიციულად რომელიმე ობიექტის გახსნას ემთხვევა ხოლმე და გამონაკლისი არც ახლა ყოფილა. ქობულეთში "დისნეილენდის" შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ბათუმში კინოთეატრ "ინტერნაციონალის" გახსნას დაესწრო. გუშინ საღამოს კი ახალი ეკონომიკური ინიციატივის პროექტის განსახილველად ბათუმში მთავრობის ეკონომიკური გუნდი მიიწვია.

პრეზიდენტმა პროექტის პრეზენტაცია პროპაგანდისტული გამოსვლით დაიწყო.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "რევანში" და მზადება ახალი ბრძოლისთვის

**უკრაინის ძველი და ახალი "ძველი" პრემიერები**

სოფო ბუკია

*ვიქტორ იანუკოვიჩი უკრაინის პრემიერ-მინისტრია. საჭირო 226 ხმის ნაცვლად, "რეგიონების პარტიის" ლიდერი უკრაინის უმაღლესმა რადამ 271 ხმით ცხრის წინააღმდეგ დაამტკიცა. კონსტიტუციის თანახმად, უფლებამოსილების შესრულებას იანუკოვიჩი დამტკიცების მომენტიდან დაუყოვნებლივ შეუდგება. უკრაინის "რკინის ლედი", რომელსაც ცოტა ხნის წინ თითქმის გარანტირებული ჰქონდა ხელმეორედ გაპრემიერება, აუტსაიდერის როლში აღმოჩნდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*კენჭისყრის შედეგებს დეპუტატები მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდნენ და ახალ პრემიერს ყვავილების დიდი თაიგული მიართვეს.*

# დღეს "24 საათში"




# მითქმა-მოთქმა ჯერ კიდევ არდანიშნულ არჩევნებზე

**ორშაბათს არჩევნებში მონაწილე პარტიების ვინაობა გაირკვევა**

*როგორც "მრეწველების" წარმომადგენელმა გიორგი ცაგარეიშვილმა "24 საათს" განუცხადა, ორშაბათს, 7 აგვისტოს, დღის პირველ ნახევარში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები შეიკრიბებიან და საბოლოოდ გადაწყდება არჩევნებში მონაწილე პარტიების სია.*

ვერიკო თევზაძე

ბუნებრივია, ჯერჯერობით უცნობია, მოახერხებს თუ არა ოპოზიცია ერთ საარჩევნო ბლოკად გაერთიანებას. ამის გარკვევამდე, საბოლოოდ უნდა გადაწყდეს, რომელი ოპოზოციური პარტია იღებს არჩევნებში მონაწილეობას და რომელი მათგანი ამჯობინებს ბოიკოტის ფორმას.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ "მრეწველები", "კონსერვატორები" და "რესპუბლიკელები" არჩევნებში მონაწილეობენ. "მემარჯვენეები", "ლეიბორისტები", პარტია "თავისუფლება" და სახალხო ფორუმი ჯერ კიდევ "თვითგამორკვევის" პროცესში იმყოფებიან.

**"7 აგვისტოს არჩევნებში მონაწილე პარტიების სია აუცილებლად უნდა გაირკვეს. 16 აგვისტომდე ჩვენ უნდა დავაკომპლექტოთ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც სიების მონიტორინგს აწარმოებენ. სიების გადამოწმება 23 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე პერიოდში მოხდება. შემდეგ ეს ჯგუფები საუბნო-საარჩევნო კომისიების რეჟიმში გააგრძელებენ მუშაობას,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გიორგი ცაგარეიშვილმა.

თუკი ოპოზიციამ ერთ ბლოკად ჩამოყალიბება მოახერხა, მეორე ეტაპზე გასარკვევი იქნება ოპოზიციონერთა საერთო კანდიდატის ვინაობა. ჯერჯერობით არ არსებობს კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმი. **"რესპუბლიკელებმა" და "კონსერვატორებმა" შემოგვთავაზეს გამოკითხვის მექანიზმი. ბლოკი (თუკი იგი შედგა) პარტიების მიერ წარმოდგენილი კანდიდატების შესახებ ჩაატარებს საზოგადოებრივი აზრის კვლევას. გამოკითხვის შედეგად დაზუსტდება საუკეთესო კანდიდატურის ვინაობა. ჯერჯერობით ეს ყველაზე უპირატესი მექანიზმია. ყველა პოლიტიკური ძალა თანაბარ პირობებში იქნება ჩაყენებული. თუმცა, შეიძლება სხვა ვარიანტებზე ვიფიქროთ,"** - აღნიშნავს "მრეწველთა" წარმომადგენელი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვის აძლევს ხელს დაძაბულობა კოდორში?

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ კოდორის ხეობაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ იმ ვითარებაში, როდესაც კოდორის ხეობაში მყარდება წესრიგი და ხდება მდგომარეობის ნორმალიზაცია, ამ რეგიონში კვლავ ადგილი აქვს სხვადასხვა ხასიათის პროვოკაციებს.

კოლექტიური სამშვიდობო ძალების ვერტმფრენები, როგორც წესი, საბრძოლო-მოიერიშე "მი-24" საბორტო ნომრით 33, რეგულარულად აწარმოებს ფრენებს კოდორის ხეობის დასახლებული პუნქტის ქვაფჩარისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოსტის მიმდებარე ტერიტორიის თავზე. საქართველოს საგარეო უწყება მოუწოდებს რუს სამშვიდობოებს, თავი შეიკავონ ასეთი ქმედებებისაგან და მათი კუთვნილი ვერტმფრენების გადაადგილება კოდორის ხეობაში შეუთანხმონ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებს.

განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ 2006 წლის 4 აგვისტოს დაახლოებით 09:15-ზე, აფხაზეთის, საქართველოს სეპარატისტული ხელისუფლებისა და კოლექტიური სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან კოდორის ხეობაში შემოფრინდა "მი-24" ტიპის სამხედრო ვერტმფრენი, ამოსაცნობი ნიშნების გარეშე, რომელიც დაახლოებით 10 წუთის მანძილზე დაფრინავდა დაბალ სიმაღლეზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოსტების თავზე და პერიოდულად ისროდა სითბური რაკეტების საწინააღმდეგო საშუალებებს. საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ ამგვარი პროვოკაციები დაუშვებელია, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც, ფაქტობრივად, დასრულებულია კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენა რეგიონში. ამასთან, საქართველოს მხარე ცდილობს, შეინარჩუნოს მაქსიმალურად თავშეკავებული პოზიცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ომბუდსმენის რეკომენდაცია ფინანსური პოლიციის სპეცოპერაციაზე

სახალხო დამცველის ოფისის ინფორმაციით, გორის რაიონის სოფელ დირბში ფინანსური პოლიციის სპეცრაზმმა 10 პიროვნება დააკავა. როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, პოლიციელებმა დაკავებულები სასტიკად სცემეს.

ომბუდსმენის ოფისი საქმეში არსებული საეჭვო გარემოებების გამო პროკურატურას მიმართავს და მომხდარის შესწავლას მოითხოვს.

**"მოვითხოვთ, გენერალურმა პროკურატურამ გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩეროს ჩატარებულ ოპერაციაზე პასუხისმგებელ პირებს,"** - ასეთია სახალხო დამცველის აპარატის პოზიცია.

სპეცოპერაცია, რომელიც ფინანსური პოლიციის სპეცრაზმმა ჩაატარა, 2006 წლის 17 თებერვალს, გორის რაიონის სოფელ დირბში დაიგეგმა. ფინანსური პოლიციის სპეცრაზმმა დააკავა 10 პიროვნება - გივი მაზნიაშვილი, ლევან ტეტუნაშვილი, თეიმურაზ ქუთათელაძე, მამუკა მუშკიაშვილი, ზურაბ კარენიძე, ზაურ ლაზარაშვილი, ვალერი ტეტუნაშვილი, ვალერი თეთრუაშვილი, ნიკოლოზ გულიაშვილი და ტრისტან მუშკიაშვილი. როგორც სახალხო დამცველის წარმომადგენლები აცხადებენ, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულებს არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ სპეცდანიშნულების რაზმისთვის, ისინი სასტიკად სცემეს.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი მასალებით, დაკავებულებს იარაღის კონდახებით ურტყამდნენ თავისა და სახის არეში. ეჭვმიტანილებად გამოცხადებულებს მოგვიანებით წაუყენეს ბრალდება სსკ-ის მე-200 (მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა) და 353-ე მუხლებით (წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ).

გაგრძელება A4 გვერდზე

## ირაკლი ჩუბინიშვილი: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთება არარეალურია

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთება არარეალურია. ამის შესახებ რუსეთში საქართველოს ელჩმა ირაკლი ჩუბინიშვილმა "რია ნოვოსტის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

"ცნობილია რა რუსეთის ოფიციალური პოზიცია, აბსოლუტურად არარეალურად მიმაჩნია სამხრეთ ოსეთის, ან აფხაზეთის რუსეთთან მიერთება," - აღნიშნა ელჩმა და დასძინა, რომ ამ ტერიტორიების რუსეთთან მიერთების შესახებ საუბარი მხოლოდ სიტუაციის გამძაფრებას ისახავს მიზნად.

თვითაღიარებულ რესპუბლიკებში დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას ჩუბინიშვილი არ ეწინააღმდეგება, მაგრამ განმარტავს, რომ რეფერენდუმის ჩატარებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს საუბარი, თუ იქ ქართველი დევნილები დაბრუნდებიან.

ელჩმა ასევე გამორიცხა ქართული მხარის მიერ კოდორის ხეობის პლაცდარმად გამოყენების შესაძლებლობა. მისი თქმით, კოდორის ხეობაში უბრალოდ ანტიკრიმინალური ოპერაცია მიმდინარეობს, რომელსაც "უკვე შეიძლება ეწოდოს წარმატებული".

ოპერაციის ძირითადი ფაზა, ჩუბნიშვილის განმარტებით, უკვე დასრულებულია, სპეცდანიშნულების რაზმები გაყვანილია და იქ მხოლოდ საპოლიციო ძალები დარჩება.

*ინტერპრესნიუსი*

## ჯორჯ ბუში კუბელებს დახმარებას ჰპირდება

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კუბელებს დემოკრატიული ცვლილებებისკენ მოუწოდებს და დახმარებას ჰპირდება. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ამტკიცებს, რომ ვაშინგტონი მზად არის, დაეხმაროს ხალხს, რომელიც "კუბაში გარდამავალი ხელისუფლების ჩამოყალიბებას ცდილობს". ვაშინგტონი კუბას ჰუმანიტარულ დახმარებას აღუთქვამს.

თავის მხრივ, კუბაში გაზეთები ავრცელებენ მასალებს, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ ქვეყნის შეიარაღებული ძალები მზად არიან, კომუნისტური რეჟიმი კუნძულზე დაიცვან.

მართალია, გაზეთებში სიტყვა "მილიტარიზაცია" არსად არის ნახსენები, მაგრამ შეიარაღების გაძლიერებისთვის მზადება აქტიურად მიმდინარეობს. ეს მოძრაობა განსაკუთრებით აქტიური გახდა მაიამიში მცხოვრები კუბელი ემიგრანტების მოწოდების შემდეგ, რომლებიც საკუთარ თანამემამულეებს "კასტროს გარეშე გარდამავალი ხელისუფლების ფორმირებისკენ" მოუწოდებენ.

*ინტერპრესნიუსი*

## მსოფლიო ქსელში ჩართული, იმედიანი სვანეთი

ნინო ბერელიძე

მესტიის რაიონში დღეს 18 ათასი მცხოვრებიღა შემორჩა და მათი რიცხვიც ყოველწლიურად კლებულობს, ხოლო 16 საკრებულოს 24 სკოლაში სულ 2 211 მოსწავლე სწავლობს. სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა სავალალო მდგომარეობაში იმყოფება და დროული შველა სჭირდება. ამ პრობლემაზე ზრუნვა უკვე დაიწყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რომელმაც სკოლების რეაბილიტაციისათვის 500 ათასი ლარი გამოყო. ამ თანხით ახალი სასწავლო წლისათვის კაპიტალურად გარემონტდება და სათანადოდ აღიჭურვება მიხეილ ხერგიანის სახელობის მესტიის მეორე საშუალო სკოლა და მესტიის პროფესიული ლიცეუმი. პროფესიულ სასწავლებელში 120-მდე მოსწავლე დაეუფლება ხალხური რეწვის სხვადასხვა სფეროებს. სპეციალობები ისეა შერჩეული, რომ ხელი შეუწყოს ტურიზმისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

მესტიის რაიონს ახლახან განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია ეწვია. მან სკოლებში მიმდინარე სამუშაოები მოინახულა და პედაგოგებსაც შეხვდა. მასწავლებლებთან შეხვედრაზე მინისტრმა აღნიშნა, რომ რამდენიმე წელიწადში ყველა სკოლა გარემონტდება და აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარით. მინისტრმა მასწავლებლებს ისიც გაუმხილა, რომ ახალი სასწავლო წლიდან, მაღალმთიანი რეგიონების დაფინანსება ვაუჩერით 450 ლარი იქნება. ალექსანდრე ლომაიამ, პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში მესტიის რაინში, ათი კომპიუტერი ჩაიტანა. აქედან ექვსი კომპიუტერი პირველ საშუალო სკოლას გადასცა, ხოლო ოთხი კომპიუტერი მეორე საშუალო სკოლას. მინისტრის თქმით, ათივე კომპიუტერი ინტერნეტში იქნება ჩართული.

ნაზო ხერგიანი: " **ვერ წარმოიდგენთ, როგორი მადლობელი ვარ, რომ ჩემი ძმის სახელობის სკოლა ასე გარემონტდება. ნეტავ საშველი მის დანგრევის პირას მისულ სახლმუზეუმის შეკეთებასაც დაადგეს. ავდარში შინ ისე გვაწვიმს, როგორც გარეთ. ოჯახის წევრები გაჭირვებით ვინარჩუნებთ დარჩენილ კედლებს. მეც მეკლდეური ვიყავი. ახლა კი მოსწავლეებს ვასწავლი სკოლაში, რომლებიც იმავე დარბაზში ვარჯიშობენ, სადაც თავის დროზე მიშა ვარჯიშობდა. კარგი იქნება, რომ მომავალში ჩვენთან ტურიზმი სათანადო დონეზე განვითარდეს".**

სვანები რასაც არ უჩივიან, ეს მუდმივი უფასო ელექტროენერგია და წყალმომარაგებაა. მათთვის პირველ საზრუნავს, გზის მშენებლობა და მეწყერსამაგრი სამუშაოების დროულად დაწყება წარმოადგენს. ერთი შეხედვით პატარა მდინარე მესტიიჭალა, რომელიც მუხლამდე ძლივს მისწვდება ადამიანს - წვიმების დროს ნამდვილ სტიქიად იქცევა ხოლმე და წალეკვით ემუქრება მესტიის სოფლებს. სვანეთში მსგავსი მდინარე და ნაკადული მრავლადაა.

"სამახშვოზე" შეკრებილი უხუცესები იმაზეც ბჭობდნენ, რომ "კრიმინალურმა მენტალიტეტმა უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი მოშალა და გადაგვარების პირას მიიყვანა სვანი კაცი," - დრტვინავენ მოხუცები.

**"ბოლო ხანებში სვანეთში ძალიან გამწვავდა კრიმინალური სიტუაცია და ბევრი ახალგაზრდა ამ შეხედულებებს იზიარებს. მოიშალა ცნობილი მახვშის არსებობის აუცილებლობა. უხუცესი ჰყავდა ოჯახს, სოფელს და ხეობას, რომელიც წარმართავდა სვანეთის ცხოვრებას. ეს თუ აღარ იარსებებს, მაშინ ჩვენ სულიერად გადავშენდებით,** - გვიამბობს არქეოლოგი შოთა ჩართოლანი, - **როდესაც ახალგაზრდას ვეკითხები, რატომ ხდება კრიმინალი, პასუხი ერთია - ცუდი სოციალური პირობები. დღეს მესტიაში აღარავის სტუმარი ან ტურისტი აღარ არის დაცული, რადგან კრიმინალები განაგებენ სვანეთს და მათი შიში ყველგან იგრძნობა. იმედია, გამოსწორდება მდგომარეობა და ახალგაზრდა ქუჩაში კი აღარ დადგება, არამედ ისწავლის."**

უამრავ სატკივარზე და პრობლემაზე გვესაუბრნენ მესტიელები, მაგრამ ბოლოს მაინც გვთხოვეს, მოწუწუნე და შეჭირვებულ ხალხად არ ჩაგვთვალოთ, რადგან სტუმრის მოფერებაც კარგად ვიცით სვანებმაო.

## გამოკითხვა რუსეთში

რუსულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევის ფონდმა "საზოგადოებრივი აზრი" რუსეთის მოქალაქეების სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხულთა 54 პროცენტი მიიჩნევს, რომ რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს. რუსეთის გამოკითხულ მოქალაქეთა 25 პროცენტი კი მოსკოვის მიერ აფხაზეთის აღიარების წინააღმდეგია. დანარჩენებს ამ საკითხზე აზრის გამოთქმა გაუჭირდათ. გამოკითხულთა 51 პროცენტი აფხაზეთიდან რუსი მშვიდობისმყოფელების გამოყვანის წინააღმდეგია, 27 პროცენტი კი - მომხრე. აღსანიშნავია, რომ ფონდმა "საზოგადოებრივი აზრი" რუსეთის 100 დასახლებული პუნქტისა და რესპუბლიკის 44 რეგიონის 1500 მაცხოვრებელი გამოკითხა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ახალი ეკონომიკური პროგრამა

პირველი გვერდიდან

"არ მინდა, ვინმემ ჩათვალოს, რომ გამოვედი და ვიტრაბახე იმის შესახებ, რაც გაკეთებულია და უკვე ვიცით. მაგრამ მაინც მინდა, გადავხედოთ ჩვენს შედეგს, რადგან საფრთხე იმისა, რომ ყველაფერი უკან დაბრუნდეს, ძალიან დიდია. ყველა ჩვენი მიღწევა ჯერ კიდევ ძალიან მყიფეა. ყველაფერი შეიძლება ერთ დღეში შებრუნდეს და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდეს. 32 თვის წინ, როცა ქვეყნის პრეზიდენტი გავხდი, დაგპირდით, რომ ქვეყანაში აღარ იქნებოდა კორუფცია და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას მოვახდენდით. მოვაწესრიგებდით ინფრასტრუქტურას და გავზრდიდით ხელფასებსა და პენსიებს. დავძლევდით მრავალწლიან ენერგეტიკულ კრიზისს. დავიცავდით ბაზარს კონტრაბანდისაგან და შევამცირებდით გადასახადებს. მოვაშორებდით ეკონომიკას კრიმინალს. ყველა ეს პუნქტი ძირითადად შესრულებულია."

პრეზიდენტმა მიღწეულ წარმატებებთან პროდუქციის გაძვირებაც გაიხსენა და ახსნა, რომ ამას ხელი ბოლო 2 წელიწადში ნავთობის ფასის 3-ჯერ გაზრდამ შეუწყო. გარდა ამისა, შემოსული ინვესტიციების დიდი ნაწილი არათანაბრად ნაწილდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ქვეყანას აქვს, მასობრივი უმუშევრობაა. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმაც ამ დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემის მოწესრიგება განიზრახა: "უმუშევრობა ჩემი პირველი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე მინიმუმ ორჯერ უნდა შევამციროთ. ამავე დროს სამუშაო ადგილები საქართველოს ყველა რეგიონში თანაბრად უნდა შეიქმნას. რა არის ამისათვის საჭირო? ეს არის; პირველი, ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და მეორე, სამუშაო ძალის, დასაქმებული და დასასაქმებელი ადამიანების კვალიფიკაციის გაუმჯობესება. ამიტომაც საჭიროა ჩვენი მოქალაქეების გადამზადება."

პრეზიდენტმა უმუშევრობის ძირითად მიზეზად, ბიზნესის მცირე მასშტაბით განვითარებასთან ერთად, მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალკვალიფიციურობა დაასახელა. მან საამისოდ მაგალითიც მოიყვანა და აღნიშნა, რომ ბათუმში, სასტუმრო "ინტურისტის" გახსნის პირველ დღეებში, აქ მომსახურე პერსონალის 80 პროცენტზე მეტი უცხოელი იყო: "ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს დიდი უმუშევრობა, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მთელ რიგ სფეროებში კვალიფიცირებული სამუშაო ძალის დიდი დეფიციტი გვაქვს. საიდან უნდა მოვიდეს მშენებელი და სასტუმროს პერსონალი?"



ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ქვეყანას აქვს, მასობრივი უმუშევრობაა, - ამბობს პრეზიდენტი.

სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებიდან ამოქმედდება, სწორედ მოქალაქეების პროფესიულ გადამზადება-სტაჟირებას მიეძღვნება. ეს იქნება სამთვიანი კურსი, რომელსაც სახელმწიფო დააფინანსებს. ბიზნესსექტორში დასაქმებულ სტაჟიორებს 450 ლარის ოდენობის სტიპენდია დაენიშნებათ. ამის შედეგად ბიზნესსექტორიც იხეირებს, რადგან მათ, ფაქტობრივად, მუქთა მუშახელი ეყოლებათ. გაისად კი სახელმწიფო ამავე პროექტით 100 ათას ადამიანს დააფინანსებს. "ბევრი ადამიანი უკვე აღარც ეძებს სამუშაოს, რადგან ამის იმედი აღარ აქვს. თვლის, რომ თუ პრეზიდენტის ან პრემიერის ახლობელი არაა, სამუშაოს ვერ იშოვის. სახელმწიფო, როგორც დამსაქმებელი, ამ როლს ველარ შეასრულებს. ჩვენ ნავთობი არა გვაქვს. ჩვენ ბიზნესიდან გადახდილი გადასახადების ხარჯზე ვარსებობთ. დარწმუნებული ვარ, რომ კვალიფიციური მუშახელის დიდი ნაწილი სამუშაოს იშოვის. ბევრი იმავე სამსახურში დარჩება, სადაც მივავლენთ".

პრეზიდენტმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაზე ისაუბრა. გაისად სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო მიკროკრედიტების გაცემას შეუწყობს ხელს: "ამავე დროს უნდა ავამოქმედოთ მიკროკრედიტების სისტემა. რა არის ეს? მაგალითად, სოფლის მეურნეობის მუშაკი, რომელსაც ეძლევა საშუალება, სახელმწიფოს დახმარებით ააგოს ბიზნესი; მას უნდა ჰქონდეს საშუალება, აიღოს საბანკო კრედიტი. სახელმწიფომაც უნდა შეუწყოს ხელი, მაგრამ ჩვენ ამისათვის ჯერ ხალხი უნდა მოვამზადოთ."

პრეზიდენტმა ქვეყანაში დაწყებული რეფორმების გაგრძელებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოსა და ბიზნესსექტორს შორის ურთიერთობა ცივილიზებული უნდა იყოს: "რა თქმა უნდა, ეს რეფორმა მოითხოვს თვეებს. არავის არ ჰქონდეს ილუზია, რომ რეფომა იქნება უწყებების მათემატიკური გაერთიანება. ჩვენ უნდა შევქმნათ სისტემა, რომლითაც საბაჟო, საგადასახადო და ფინანსური პოლიცია ერთიანი რგოლი იქნება. ეს გაერთიანება მოხდება ისე, რომ არც ერთ პროფესიონალს არ გავუშვებთ სახლში. ამავე დროს, ბიზნესმენებმა უნდა იცოდნენ, რომ ცივილიზებულ სახელმწიფოსთან აქვთ ურთიერთობა. საგადასახადოსთან მათ უნდა ჰქონდეთ ავტონომიური ურთიერთობები."

პრეზიდენტს არც სასამართლო სისტემის გაუმართაობა დავიწყებია და ორიოდე სიტყვით მასაც შეეხო, თუმცა, ამჟამად მხოლოდ არბიტრაჟზე ისაუბრა: "ჩვენ გვჭირდება ბევრად უკეთესი სასამართლო სისტემა და მე ეს ძალიან კარგად ვიცი. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ევროპიდან მოვიწვიოთ მაღალპროფესიონალი არბიტრები, გადავუხადოთ მაღალი ხელფასები და მათ ჩვენს არბიტრებთან ერთად გადაწყვიტონ სამეწარმეო დავები. ეს იქნება ნამდვილი არბიტრაჟი და არა ისეთი, ჩვენთან რომ ბიზნესმენებით იყო დაკომპლექტებული, რომლის გამოც სახელმწიფო მუდმივად აგებდა პროცესებს."

დასასრულს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ საბაჟოზე შემოტანილ საქონელზე შემოღებული იქნება ნულოვანი განაკვეთი, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ეკონომიკის განვითარებას.

## "რუსებისგან არაფერია გამორიცხული"

კოდორის ხეობის გამგებელი რეზო კორძაია არ ფლობს ინფორმაციას სოფელ ლათასთან რუსული საბრძოლო ძალების გადაადგილების შესახებ, თუმცა, მისი თქმით, "რუსებისგან არაფერია გამორიცხული". "ასეთი გადაადგილებები ხეობაში 14-15 წელია, მუდმივად მიმდინარეობს. უნდა ველოდოთ თუ არა რაიმე სერიოზულს, ამ დროისთვის არ ვიცი. ამ გადაადგილებების შესახებ ჩვენთვის არავის უცნობებია," - განაცხადა კორძაიამ.

გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ, ღამით სოფელ ლათასთან რუსეთის საბრძოლო ტექნიკის გადაადგილება შეიმჩნეოდა. მობილიზებული იყო ცოცხალი ძალაც. პიკაპის მარკის სამი ავტობუსით მთიელ ხალხთა კონფედერაციის წევრები წუხელ, ლათას 107-ე საგუშაგოზე გადაიყვანეს. ეს გადაადგილება ხეობაში სოფელ პიშის მცხოვრებებმა შენიშნეს და თავდაცვის მიზნით მთებში გაიხიზნენ, თუმცა ამ დროისთვის მოსახლეობა უკვე უბრუნდება საცხოვრებელ ადგილს. ამჟამად სოფელს ქართველი სამართალდამცავები აკონტროლებენ.

გუშინვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის სამმართველომ მთებში ემზარ კვიციანის და მოსი მომხრეების ყოფილი ბანაკი აღმოაჩინა. ადგილიდან ამოღებულია სხვადასხვა დასახელების იარაღი და საკვები. სამართალდამცავთა განცხადებით, აქ დაჯგუფების წევრებთან ერთად დაბანაკებული იყო კვიციანის დისშვილი ბაჩო არღვლიანი. რაც შეეხება ემზარ კვიციანს, როგორც ტელეკომპანია "რუსთავი 2" იუწყება, იგი მოსკოვში იმყოფება და უკვე იგორ გიორგაძესაც შეხვდა.

*ინტერპრესნიუსი*

## "მეცნიერებიდან პოლიტიკაში გადავარდნილი" პროფესორების პროცესი დასრულდა

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამბოხებული პროფესორ-მასწავლებლები გუშინ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დამნაშავედ სცნო წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში და 100-ლარიანი ჯარიმის გადახდა დააკისრა. პროფესორ-მასწავლებლები თენგიზ სანაძე, ჯემალ მებონია, ვახტან ტუსკია, გიორგი გოგოლაშვილი, მაია ნათაძე, მედეა სიხარულიძე, ავთანდილ არაბული, გელა დოლიძე და დემურ ბახტაძე თავს დამნაშავეებად არ სცნობენ. ისინი მიიჩნევენ, რომ სასამართლომ პოლიტიკური დაკვეთა შეასრულა.აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი დღეს გამოქვეყნდა.*

ეკა ჯანაშია

გადაწყვეტილების გამოცხადებამდე, წვრილმან ხულიგნობასა და სხვა წვრილმან ადმინისტრაციულ დარღვევაში ბრალდებულმა პროფესორ-მასწავლებლებმა მოსამართლეს მიმართეს და სთხოვეს მაქსიმალურად ობიექტური ყოფილიყო. **"თქვენი რეაქცია მოწმეების ჩვენებაზე გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ თქვენ ჩვენს მიმართ კეთილგანწყობილი ხართ და იმედი მაქვს, რომ მიიღებთ ობიექტურ გადაწყვეტილებას,"** - განაცხადეს პროფესორებმა. უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლების ადვოკატმა ლია მუხაშავრიამ კი თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ სასამართლოს მიერ ამ ადამიანებისთვის 4-ლარიანი ჯარიმის დაკისრებაც კი, საზოგადოების მიერ აღქმული იქნება, როგორც პოლიტიკური დაკვეთა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე ჯემალ მებონიამ, როდესაც პატრულის ზრდილობიან საქციელზე საუბრობდა, აღნიშნა, რომ საპატრულოს ბიჭებმა იგი უნივერსიტეტის რექტორის გია ხუბუას კაბინეტიდან ფარაონივით სკამზე დამჯდარი გამოიყვანეს. პროცესის დასრულების შემდეგ სასამართლოზე მისული პროფესორ-მასწავლებლების ახლობლები და მხარდამჭერები სასამართლოს ტენდენციურობაზე საუბრობდნენ. პროფესორმა გოგი გოგოლაშვილმა განაცხადა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი პროკურატურა და სასამართლოა, ცხოვრება შეუძლებელია. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ალეკო ცქიტიშვილმა "24 საათს" სასამართლო პროცესთან დაკავშირებული კომენტარი გამოუგზავნა, რასაც უცვლელად გთავაზობთ:

**"ე. წ. მეამბოხე პროფესორებს 3 ივლისს უნივერსიტეტში ჩადენილი უკანონობისათვის სასამართლომ ადმინისტრაციული წესით ჯარიმის გადახდა დააკისრა. სასამართლოს გადაწყვეტილება სრულიად სამართლიანია, თუმცა უნივერსიტეტში ალბათ არ მოიძებნება ადამიანი, ვისაც გაუხარდა, რომ უნივერსიტეტის პროფესორებმა წვრილმანი ხულიგნობა ჩაიდინეს.**

**გულდასაწყვეტია, რომ მეამბოხე პროფესორები ძირითადად "შავი პიარით" არიან დაკავებული და ყველა საშუალების გამოყენებით ცდილობენ, ჩირქი მოსცხონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.**

**ისინი თავიანთ მოქმედებებს, როგორც ერთ-ერთ გაზეთში აცხადებენ, "კონცერტის, უფასო სანახაობის" რეჟიმში გეგმავენ და შესაბამისადაც იქცევიან. ამიტომაც არ მიკვირს, რომ პროფესორი ჯემალ მებონია თავის ქმედებას არ აღიქვამს პოლიციისადმი დაუმორჩილებლობად, როდესაც რექტორის კაბინეტში სკამს ჩაეჭიდა და იქიდან პოლიციელებმა სკამზე დამჯდარი გამოიყვანეს, როგორც თავად აღნიშნა სასამართლო პროცესზე - ფარაონივით.**

**მიმდინარე სასამართლო პროცესზე საბოლოოდ გამოაშკარავდა ის სიცრუეც, რაც 3 ივლისის ინციდენტის შემდეგ ვრცელდებოდა მასმედიით. კერძოდ, ყბადაღებულ თემად იქცა ის, რომ "უნივერსიტეტში გამოძახებულმა საპატრულო პოლიციამ იმ დღეს პროფესორ-მასწავლებლები ძალით გამოყარა რექტორის კაბინეტიდან", რომ ისინი სასტიკად დაარბიეს", ხელკეტებით სცემეს" და ა. შ. არადა, სასამართლოზე დაკითხულმა ყველა პროფესორ-მასწავლებელმა ერთსულოვნად აღნიშნა, რომ პოლიცია იქცეოდა მაქსიმალურად ზრდილობიანად, ეფერებოდნენ და კოცნიდნენ პროფესორებს და ხვეწნა-მუდარის შემდეგ რექტორის კაბინეტიდან ხუმრობა-ხუმრობით გამოიყვანეს.**

**სამწუხაროდ, ასე ხუმრობა-ხუმრობით და კონცერტ-კონცერტ დარჩნენ ისინი უნივერსიტეტში ჩატარებულ კონკურსებს მიღმა და ეს მათი არჩევანია.**

**სასამართლო პროცესზე ყურადღებით ვუსმენდი პროფესორ-მასწავლებელთა ადვოკატის, ქალბატონ ლია მუხაშავრიას გამოსვლას. მინდა ვთქვა, რომ ეს იყო სტანდარტული ადვოკატური მჭევრმეტყველება დემაგოგიის ელემენტებით. დიდი აბსურდია იმის მტკიცება, რომ ე. წ. დიდი სამეცნიერო საბჭო უნივერსიტეტში არსებობს, როდესაც 2005 წლის 8 ივნისიდან საბჭო გაუქმებულია პრეზიდენტის ბრძანებულებით. თანაც "მეამბოხეებს" ბრძანებულების საწინააღმდეგო რამდენიმე თვის განმავლობაში არაფერი ჰქონდათ და ე. წ. "დიდი საბჭო", ყოვლად გაუგებარი პროცედურებით, მხოლოდ მას შემდეგ აღადგინეს, როცა უნივერსიტეტში რეფორმების კონკრეტული გეგმა დაისახა.**

**ადვოკატის მხრიდან გასაკვირია იმის მტკიცებაც, თითქოსდა რექტორის კაბინეტი წარმოადგენს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილს, თუ რაღაც ამდაგვარს და იქ ყველას შეუძლია შევარდნა, აყალმაყალის ატეხვა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლისათვის ულტიმატუმის წაყენება უნივერსიტეტიდან წასვლის მოთხოვნით. სამწუხაროდ, პროფესორების ნაწილს სჯერა თავიანთი იურისტების მსგავსი მჭევრმეტყველებისა და ამიტომაც არის, რომ "დიდი საბჭოს" ლეგიტიმურობაში დარწმუნებულნი ირჩევენ თავიანთ რექტორს, ნიშნავენ დეკანებს და თუ ასე გაგრძელდა, სადაცაა მისაღებ გამოცდებსაც ძველებურად ჩაატარებენ. სამწუხაროა, რომ ისინი მთლიანად მოწყდნენ უნივერსიტეტს, სამეცნიერო კვლევას, სტუდენტებს და გადაეშვნენ პოლიტიკაში. ამიტომაც არის, რომ მათ მიტინგებს უნივერსიტეტის თანამშრომლებიდან სულ უფრო და უფრო ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს.**

**უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველთვის მომხრე იყო დიალოგის და დღესაც მზად არის აკადემიურ ვითარებაში განიხილოს ნებისმიერი საკითხი, თუმცა დიალოგი წყვდიადთან შეუძლებელია."**

მეამბოხე პროფესორ-მასწავლებლებმა პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადეს, რომ არ აპირებენ სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდას.

## ორი სიტყვით

2006 წლის 4 აგვისტოს შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ გელა ბეჟუაშვილსა და ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიის საკითხებში ბატონ პიტერ სემნების შორის, ამ უკანასკნელის ინიციატივით.

საუბარი შეეხო საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების საკითხებს. ქართულმა მხარემ ინფორმაცია მიაწოდა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს კოდორში განვითარებული მოვლენების თაობაზე და აუწყა, რომ ამჟამად სიტუაცია მთლიანად ექვემდებარება კონტროლს. ბატონმა გელა ბეჟუაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები ყველა დაინტერესებულ მხარესთან. საუბრისას კმაყოფილებით აღინიშნა ევროკავშირის მზარდი როლი კონფლიქტების დარეგულირების პროცესში.

2006 წლის 3 აგვისტოს შედგა სატელეფონო საუბარი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ გელა ბეჟუაშვილსა და აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ბატონ დენიელ ფრიდს შორის, ბატონი ფრიდის ინიციატივით. მხარეებმა მიმოიხილეს რეგიონში არსებული ვითარება და გაცვალეს მოსაზრებები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. **24 საათი**

■ ■ ■

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ჯერჯერობით ორმა პოლიტიკურმა პარტიამ გამოთქვა. შესაბამისი განაცხადი ცესკო-ში პარტიებმა "საქართველოს გზამ" და "საქართველოს დიდებამ" შეიტანეს. აღნიშნული პარტიების წარმომადგენლებმა ცესკო-ში უკვე მიიღეს სპეციალური ბლანკები 50 ათასი ხელმოწერის შესაგროვებლად, რაც მათ არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას მისცემს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარილი ჯერ უცნობია. სავარაუდოდ, არჩევნები მიმდინარე წლის შემოდგომაზე გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსი ბადრი ბიწაძე არ ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კოდორის ხეობაში ორმა რუსულმა საფრენმა აპარატმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია. მისი თქმით, ამის თაობაზე დაზუსტებული ინფორმაცია არ არსებობს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ უკანასკნელი ორი დღე-ღამის განმავლობაში, კოდორის ხეობის ზედა ზონაში ადგილი ჰქონდა სროლებს საქართველოს ძალოვან სტრუქტურებსა და ემზარ კვიციანის მომხრეებს შორის. სროლების შედეგად ათი ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ, სააგენტო "ინტერფაქსს" დე-ფაქტო თავდაცვის სამინისტროს დროებითი პრესსამსახურის ხელმძღვანელმა სერგეი პუსტოვალოვმა განუცხადა. უკანასკნელად, პუსტოვალოვის თქმით, სროლა გუშინ საღამოს სოფელ აჟარაში, მოსკოვის დროით 18:00 საათზე დაფიქსირდა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვრის 184 კილომეტრი ჯერ კიდევ შეუთანხმებელი რჩება. ამის შესახებ საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ბადრი ბიწაძემ განაცხადა. მისივე თქმით, უკვე შეთანხმებულია 274 კმ. ბადრი ბიწაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფო საზღვრის დადგენის თვალსაზრისით, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სადავო საკითხები არ არსებობს. საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის სახელმწიფო კომისიები მუშაობას უახლოეს მომავალში ბაქოში გააგრძელებენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში საქართველოდან ახალ პროვოკაციებს ელოდება "ეფექტური პოლიტიკის ფონდის" პრეზიდენტი გლებ პავლოვსკი. პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ რუსეთში რთულია იმის წარმოდგენა, თუ რამდენად უპასუხისმგებლოდ მოიქცევა ქართული მხარე. მისი განცხადებით, რუსეთმა კონფლიქტის ზონაში "ხანგრძლივი თავშეკავების პოლიტიკა" უნდა გაატაროს და განმარტავს, რომ რუსეთისთვის "პოლიტიკური თავშეკავება სამხედრო ასპექტს" გულისხმობს. "იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა, რომელიც შეკავების ობიექტს წარმოადგენს, დაიწყებს ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას, მოგვიწევს ახლო აღმოსავლეთის გამოცდილების შესწავლა," - აცხადებს პავლოვსკი. რუსი პოლიტოლოგის თქმით, უკანასკნელი ინიციატივებით, მიხეილ სააკაშვილი როგორც რუსეთის, ასევე აშშ-ის მოთმინების უნარს სცდის. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

მოსკოვში საქართველოს საელჩოსთან ასირიელთა დიასპორის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათი თქმით, საქართველოს პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ბორის ივანოვი უდანაშაულოა და ის პატიმრობიდან დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. თბილისში, ერთი კვირის წინათ ბორის ივანოვი ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დააკავეს. ასირიელთა დიასპორის წარმომადგენლები საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მიმართავენ, გაათავისუფლოს ბორის ივანოვი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი საქართველოს საელჩოსთან აქციების გაგრძელებას აპირებენ. **მედიანიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# "რევანში" და მზადება ახალი ბრძოლისთვის

პირველი გვერდიდან

*იულია ტიმოშენკო, რომელსაც უკრაინის უმაღლეს რადაში პარტნიორები აღარ ჰყავს, ახალი მთავრობის ფორმირების პროცესს მიღმაც აღმოჩნდება. ამბიციურ "ლედი იუ"-ს არავინ არაფერს შეეკითხება. მიუხედავად ყველაფრისა, უკრაინელი ექსპერტები კითხვას მაინც ასე სვამენ: რეალურად, მოიგო თუ წააგო ტიმოშენკომ ამ სიტუაციაში?*

გუშინდელ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ "იულია ტიმოშენკოს ბლოკის" ფრაქციის წევრებს, თუმცა "ინტერფაქსი" იტყობინება, ტიმოშენკოს ბლოკის ექვსმა დეპუტატმა იანუკოვიჩს მაინც დაუჭირა მხარიო.

"ნარინჯისფერი პრინცესა" კატეგორიულად აცხადებს, რომ იგი ოპოზიციაში მიდის. ტიმოშენკო წინააღმდეგია იანუკოვიჩთან ნებისმიერი თანამშრომლობის, ყოფილ თანაგუნდელ პრეზიდენტ იუშჩენკოს კი იგი "ნარინჯისფერი იდეების" მოღალატეს უწოდებს.

ოპოზიციონერობა, ისევე როგორც პრემიერ-მინისტრობა, ტიმოშენკოს არ ესწავლება, მაგრამ ამჯერად პოლიტოლოგები მისგან თავდაუზოგავ რადიკალიზმს ელიან. როგორც ამბობენ, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში "ნარინჯისფერ პრინცესას" რბილი სავარძლის ნაცვლად, მაიდანზე მეგაფონით სირბილი მოუწევს. ოპოზიციონერი ტიმოშენკო მზად იქნება, საჭიროების შემთხვევაში ქუჩაში გამოვიდეს და ხალხს სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენაც მოუწოდოს.

სწორედ ამგვარი დესტრუქციული ოპოზიციონერობაა ის ამპლუა, რომელმაც "ლედი იუ"-ს, შესაძლოა, ძალიან მალე დიდი პოლიტიკური დივიდენდები მოუტანოს.

ამის მიზეზი კი კვლავაც და კვლავაც ის გარიგებაა, რომელიც იუშჩენკომ და იანუკოვიჩმა ტიმოშენკოს გვერდის ავლით გააფორმეს.




*ვინ უღალატა მაიდანს?*

ამ გარიგებით ორივე ვიქტორმა აშკარად დაკარგა ამომრჩეველთა არც თუ ისე მცირე ნაწილი.

ზოგიერთი უკრაინელი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ იანუკოვიჩს საკუთარ ამომრჩეველთან სერიოზული პრობლემები შეექმნება იმ ავტოგრაფის გამო, რომელიც მან "უნივერსალის" ქვემოთ დატოვა. "ნაციონალური ერთიანობის უნივერსალად" წოდებული დოკუმენტი, რომელსაც "ნაშა უკრაინასთან", სოციალისტებთან და კომუნისტებთან ერთად "რეგიონების პარტიამაც" მოაწერა ხელი, უკრაინის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად ასპექტებს განსაზღვრავს და, როგორც ექსპერტები აცხადებენ, "ნაშა უკრაინას" საარჩევნო პროგრამის კალკაა.

ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ძალებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტს, რადიკალურად შეცვალეს თავიანთი საარჩევნო პროგრამა. მაგალითად, "რეგიონების პარტიის" ლიდერის, ვიქტორ იანუკოვიჩის მთავარი დაპირება საკუთარი ამომრჩევლის მიმართ იყო რუსული ენის სტატუსის გადახედვა და მისი სახელმწიფო ენის რანგში აყვანა. "უნივერსალში" კი, რომელსაც იანუკოვიჩმა ხელი მოაწერა, აღნიშნულია, რომ ერთადერთი სახელმწიფო ენა უკრაინაში უკრაინულია. ამავე დოკუმენტში დაფიქსირებულია უკრაინის სწრაფვა ევროკავშირსა და ნატო-სკენ. იანუკოვიჩმა კი საკუთარი ამომრჩეველი სწორედ ანტიდასავლური და "ანტინატოური" განწყობებით მოხიბლა. ერთი სიტყვით, იანუკოვიჩმა პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩასაჯდომად ხელი მოაწერა იმას, რასაც მისგან ყველაზე ნაკლებად ელოდნენ.

იგივე სიტუაციაშია ქვეყნის პირველი პირიც, რომელიც "ნარინჯისფერი რევოლუციისა" და საპრეზიდენტო არჩევნების დროს იანუკოვიჩსა და მის პოლიტიკურ მხარდამჭერებს ბანდიტებს უწოდებდა. დღეს იუშჩენკოს "ბანდიტთან" ერთად ქვეყნის მართვა მოუწევს და ეს მისი გადაწყვეტილებაა, ნებსით თუ უნებლიეთ მიღებული.

ერთადერთი პოლიტიკური ფუგურა, რომელიც, მართალია, დღეს აუტსაიდერთა რიგებში აღმოჩნდა, მაგრამ რომელსაც საკუთარი ამომრჩევლის წინაშე თავის მართლება არ სჭირდება - იულია ტიმოშენკოა ("ლედი იუ"-მ "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს მორგებული საფირმო ვარცხნილობაც კი არ შეიცვალა).

უკრაინაში ტიმოშენკოს მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ბევრნი მას პოპულისტად მიიჩნევენ და სხვა მრავალ პოლიტიკურ ცოდვასაც მიაწერენ, თუმცა ალბათობა იმისა, რომ 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ოპოზიციონერი ტიმოშენკო საკუთარი ელექტორატის რიგებს საგრძნობლად გაზრდის, ძალიან დიდია. ასე ფიქრობს უკრაინელ ექსპერტთა ერთი ნაწილიც.

უკრაინელი პოლიტოლოგი, ტიმოშენკოს ბლოკის წევრი დმიტრი ვიდრინი მიიჩნევს, რომ **"ტიმოშენკოს გაპრეზიდენტება 2009 წლისთვის საკმაოდ რეალურია. მას კონკურენციას უკვე ვეღარ გაუწევს ვერც იუშჩენკო და ვერც იანუკოვიჩი. როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა ჰქონდეთ მის მიმართ, ერთ რამეს ყველა აღიარებს - მას ზურგს უკან მოღალატის შლეიფი არ მოჰყვება. ამომრჩევლები აფასებენ იდეების ერთგულებას - უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მისი რეიტინგი 8-10 პროცენტით გაიზარდა,"** - აღნიშნავს ვიდრინი.

ამასთან, უკრაინელი ექსპერტების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ტიმოშენკოს გაპრეზიდენტებას ყველანაირად ხელს შეუშლიან მოკავშირეებად ქცეული ყოფილი მტრები - იუშჩენკო-იანუკოვიჩი. რაც უნდა განსხვავებული იყოს მათი პოზიციები ამა თუ იმ საკითხის გარშემო, აშკარაა, რომ ერთ საკითხზე შეთანხმება მათ უკვე მოახერხეს - ტიმოშენკო ხელისუფლებაში საჭირო არ არის.

უკრაინელი ექსპერტის ოლეს დონიის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ტიმოშენკოს რეიტინგი ძალიან მაღალი იქნება, მმართველი პარტია საკონსტიტუციო რეფორმებზე წავა. **"მაგალითად, გააუქმებს პრეზიდენტის საერთო-სახალხო არჩევნებს და პრეზიდენტს რადას აარჩევინებს. ასეთ შემთხვევაში ტიმოშენკოს შანსი არ ექნება,"** - აცხადებს უკრაინელი ექსპერტი.

თუმცა, ჯერჯერობით ეს მხოლოდ პროგნოზებია, რომელთა გამართლება-არგამართლებაზე 2009 წელს შეიძლება საუბარი.

# ბრიტანული ჟურნალის შეფასებები

პოპულარული ბრიტანული გამოცემის "ეკონომისტის" მიმომხილველის აზრით, საქართველო და რუსეთი ცივი ომის მდგომარეობაში იმყოფებიან. ჟურნალი საქართველოსადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიაში აღნიშნავს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. სეპარატისტულ რეგიონებს კი სწორედ რუსეთი უჭერს მხარს და ამით არის გამოწვეული საქართველოსა და რუსეთს შორის დაწყებული ცივი ომი.

ჟურნალის მიმომხილველის აზრით, თუ საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრას მოინდომებს, ეს, ფაქტობრივად, საქართველო-რუსეთის ომი იქნება და ამას ადასტურებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადება, რომლის მიხედვითაც, რუსეთი კონფლიქტის ზონებში მყოფ საკუთარ მოქალაქეებს დაიცავს.

ბრიტანული გამოცემა ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად ზემოხსენებული სიძნელეებისა, საქართველო მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, სწრაფი ნაბიჯებით მიდის ნატო-სა და ევროსტრუქტურებისკენ.

"ეკონომისტი" კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებს ცალკე თავს უთმობს და ხეობაში ჩატარებულ ანტიკრიმინალურ ოპერაციას "წარმატებულს" უწოდებს.

ბრიტანელი მიმომხილველი საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროსაც ეხება და მოჰყავს რესპუბლიკური პარტიის წევრის თინათინ ხიდაშელის სიტყვები, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ხელისუფლებას ავტორიტარული მიდრეკილებები აქვს.

ამასთან, მოჰყავს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის სიტყვები, რომ მალე საქართველო განვითარებული დემოკრატიული ქვეყანა იქნება და ამის პირველი ეტაპი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს.

*მედიანიუსი*

# აშშ კრიზისის მოგვარების გზებს ეძებს

თეა მაისურაძე



აშშ ისრაელს ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებს და კრიზისის დაძლევის გზებს ეძებს. სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის განცხადებით, სასწრაფოდ უნდა შეწყდეს საბრძოლო მოქმედებები ისრაელსა და "ჰეზბოლას" შორის, რაც კონფლიქტის მოგვარების პირველი ნაბიჯია. მისივე თქმით, ამ დღეებში მიღებული იქნება გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელიც მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტას ითვალისწინებს და, ასევე მოიცავს გარკვეულ საკითხებს შემდგომში კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დასამყარებლად. კონდოლიზა რაისი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონფლიქტის მოგვარება ეტაპობრივად უნდა მოხდეს.

12 ივლისიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ისრაელმა და "ჰეზბოლამ" ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს, ბუშის ადმინისტრაცია ყოველთვის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარების, "ჰეზბოლას" დაჯგუფების განიარაღებისა და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის მოთხოვნით გამოდიოდა. ოფიციალური ვაშინგტონი მთელი ამ ხნის განმავლობაში მიიჩნევდა, რომ კონფლიქტის ზონაში მრავალეროვნული სამშვიდობო ჯარი უნდა განლაგებულიყო.

**"ჩვენ გვინდა, ბოლო მოვუღოთ ყველა იმ საშინელებას, რაც საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და მშვიდობას,"** - განაცხადა კონდოლიზა რაისმა. სახელმწიფო მდივანი აცხადებს, რომ აშშ საფრანგეთთან მუშაობს რეზოლუციაზე, რომელიც ცეცხლის შეწყვეტას ითვალისწინებს. **"ჩვენ მივაღწიეთ კონსენსუსს... აშშ მჭიდროდ თანამშრომლობს საფრანგეთთან, ასევე, ვმუშაობთ სხვა ქვეყნებთან აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად,"** - განაცხადა მან.

ტონი ბლერმა თავისი საზაფხულო არდადეგები ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გამო გადადო, თუმცა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი აღნიშნავს, რომ კრიზისის მოგვარების პროცესში ის მხოლოდ სატელეფონო საუბრების დონეზე იქნება ჩართული და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ბრიტანეთი არ იზიარებს აშშ-ს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც ის იმ ქვეყნების ჯგუფს უნდა შეუერთდეს, რომლებიც კონფლიქტის მხარეებს შორის საბრძოლო მოქმედებების სასწრაფოდ შეწყვეტას უჭერენ მხარს. მისი აზრით, ამგვარ მოთხოვნას შესაბამისი ქმედებები უნდა მოჰყვეს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, რაშიც ლიბანის ტერიტორიაზე მრავალეროვნული სამშვიდობო მისიის განლაგება იგულისხმება. აღნიშნული საკითხი კი ჯერ არ არის სრულიად შეთანხმებული. ასეთ ფონზე, ტონი ბლერის აზრით, საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის მოთხოვნა არაფრის მომცემია.

საყურადღებოა თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადებაც, რომლის მიხედვითაც აშშ გეგმავს ლიბანის არმიის აღჭურვას საბრძოლო იარაღით და მათთვის სპეციალური წვრთნების ჩატარებას, რადგან მათ თავიანთი ტერიტორიის გაკონტროლება თავადვე შეძლონ. აღნიშნულ პროგრამას მხარი კონდოლიზა რაისმა და აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმაც დაუჭირეს. ისინი მიიჩნევენ, რომ ლიბანელი ჯარისკაცებისათვის ამგვარი დახმარების გაწევა მეტად ეფექტური იქნება და შედეგს გამოიღებს, თუმცა, თეთრი სახლი ჯერჯერობით არ ადასტურებს, თუ რა ტიპის იარაღით მოხდება ლიბანელი ჯარისკაცების აღჭურვა, რა სახის ტრეინინგი ჩატარდება და რამდენი ამერიკელი სამხედრო მიიღებს ამაში მონაწილეობას.

გასულ კვირას აშშ-ს სახელმწიფო ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ოფიციალური ვაშინგტონი ყოველწლიურად 11 მილიონი ოდენობის ამერიკულ დოლარს გამოუყოფს ლიბანს სამხედრო სფეროს რეფორმირებისათვის. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის, შონ მაკკორმაკის განცხადებით, ლიბანისთვის დახმარების აღმოჩენის საკითხში სხვა ქვეყნებიც მიიღებენ მონაწილეობას.

გენერალმა ჯონ აბიზაიდმა, რომელიც აშშ-ს ცენტრალურ სამხედრო დაჯგუფებას ხელმძღვანელობს (ეს დაჯგუფება ფარავს 27 ქვეყანას არაბულ სამყაროში), სენატის სამხედრო კომიტეტს განუცხადა, რომ ლიბანის არმიას დიდი დახმარება სჭირდება, როგორც პროფესიონალიზმის გაზრდის, ასევე აღჭურვილობის თვალსაზრისითაც: **"მე მჯერა, რომ დასავლეთს, კონკრეტულად, აშშ-ს შეუძლია ლიბანისათვის ამგვარი დახმარების აღმოჩენა,"** - განაცხადა ამერიკელმა გენერალმა.

შეგახსენებთ, რომ მომავალ კვირას, გაერო-ს უშიშროების საბჭოში ის ქვეყნები შეხვდებიან, რომელთა სამხედრო შენაერთებითაც მოხდება მრავალეროვნული სამშვიდობო მისიის დაკომპლექტება.

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში აღნიშნავს, რომ, შესაძლოა, მრავალეროვნულ სამშვიდობო მისიაში ამერიკელი ჯარისკაცები არ შევიდნენ, რადგან აშშ ლიბანს სხვა სახის დახმარებას გაუწევს, რაშიც კომუნიკაციების უზრუნველყოფაც იგულისხმება.

## მითქმა-მოთქმა ჯერ კიდევ არდანიშნულ არჩევნებზე

პირველი გვერდიდან

როგორც ცნობილია, კონსულტაციების დონეზე, "მრეწველებს", "რესპუბლიკელებს" და "კონსერვატორებს" თავიანთი კანდიდატები ჰყავთ. "რესპუბლიკელ" ლევან ბერძენიშვილს მუშა შეხვედრების შესახებ პრესასთან საუბარი უპრიანად არ მიაჩნია. **"ამ ეტაპზე არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. მანამ, ვიდრე არჩევნები არ დაინიშნება, ყველაფერი მითქმა-მოთქმად ითვლება. არჩევნების დანიშვნამდე კონსულტაციები საჯარო არ არის,"** - განუცხადა ლევან ბერძენიშვილმა "24 საათს".

გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, თუ ოპოზიციურმა შვიდეულმა ერთ ბლოკად გაერთიანება ვერ მოახერხა, ისინი უმტკივნეულოდ, ცივილიზებული ფორმით დაშორდებიან ერთმანეთს. **"ასევე სურვილი გვაქვს, გარკვეულ შეთანხმებას მივაღწიოთ იმ პარტიებთან, რომლებიც არჩევნებში არ მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენი თხოვნა იქნება, რომ რომ მათმა ბოიკოტმა არჩევნებში მონაწილე პარტიებს ჩრდილი არ მიაყენოს,"** - დასძინა ცაგარეიშვილმა.

სალომე ზურაბიშვილის მოძრაობა "საქართველოს გზა" ოპოზიციასთან გაერთიანებას არ აპირებს. **"მან თავად გადაწყვიტა, რომ ერთადერთი და განუმეორებელია. მე არ ვესაუბრები ღმერთებს, მე ვესაუბრები ადამიანებს,"** - ირონიულად შენიშნავს გიორგი ცაგარეიშვილი და, როგორც რიგითი მოქალაქე, ეჭვს გამოთქვამს, რომ ქალბატონი სალომე ხელისუფლებასთან შეთანხმებულად მოქმედებს.

როგორც "მემარჯვენეების" პრესსამსახურის წარმომადგენელმა "24 საათს" განუცხადა, პარტიას არჩევნების საკითხთან დაკავშირებით, ჯერჯერობით პოზიცია არ აქვს ჩამოყალიბებული. პრესსამსახურის ინფორმაციით, დღეს გაიმართება პარტიის შეკრება, სადაც გარკვეულ გადაწყვეტილებებს მიიღებენ.

## ვის აძლევს ხელს დაძაბულობა კოდორში?

პირველი გვერდიდან

სხვადასხვა სახის პროვოკაციებს მიმართავს აფხაზური მხარეც, მათ შორის აღსანიშნავია, რომ მათი მოქმედების შედეგად არ ფუნქციონირებს საქართველოსა და რუსეთის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი "კავკასიონი". ასეთი ქმედება წარმოადგენს არსებული შეთანხმებების უხეშ დარღვევას და ცხადყოფს, რომ აფხაზური მხარე ცდილობს, ხელოვნურად დაძაბოს მდგომარეობა. საქართველო არ დაუშვებს ქვეყნის ელექტროენერგიის გარეშე დატოვებას და მიიღებს ყველა საჭირო ზომას, რათა მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს უწყვეტი ელექტრომომარაგებით. მოვითხოვთ ადეკვატურ რეაგირებას რუსეთისა და სამშვიდობო ძალების მხრიდან, რათა დადებული შეთანხმებების თანახმად, აღდგეს ელექტროგადამცემი ხაზის გამართული მუშაობა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს შეშფოთებას და მოუწოდებს რუსეთის მხარეს, აღკვეთოს ქმედებები, რომლებმაც შესაძლოა, რეგიონში მდგომარეობის დაძაბვა გამოიწვიოს. ამავე დროს, გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას ვთხოვთ, სათანადო შეფასება მისცეს ზემოაღნიშნულ ფაქტებს.

*24 საათი*

## "რუსეთმა კონფლიქტების დარეგულირებაში შუამავლის ფუნქცია დაკარგა"

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი რუსული გაზეთის "ვრემია ნოვოსტეი"-სთვის" მიცემულ ინტერვიუში კონფლიქტების დასარეგულირებლად ქართული მხრიდან ძალისმიერი ნაბიჯების გამოყენებას კატეგორიულად გამორიცხავს.

მისი თქმით, ქართული მხარე აფხაზურს პირდაპირი, ურთიერთხელსაყრელი და შედეგზე ორიენტირებული დიალოგისკენ მოუწოდებს, რომელიც, მინისტრის მოსაზრებით, მოლაპარაკებების ახალი ფორმატის ბირთვი გახდება.

"ჩვენთვის ნათელია, რომ რუსეთი კონფლიქტების დარეგულირებაში შუამავალი არ არის, მან ეს ფუნქცია დაკარგა. სამშვიდობოებმაც დაკარგეს თავისი ფუნქცია. ამაზე მეტყველებს ის რიტორიკა, რომელიც პოლიტიკოსებისაგან და, რაც ყველაზე ალმაშფოთებელია, რუსი სამხედროებისგან გვესმის," - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა.

ბეჟუაშვილის თქმით, რუსეთს აქვს უნიკალური შანსი, გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი, გავლენა და პოლიტიკური წონა იმისათვის, რომ მეზობელი სახელმწიფოს გაერთიანების გარანტი გახდეს.

"საქართველო არანაირად არ არის რუსეთისათვის არამეგობრული სახელმწიფო. რუსეთი ჩვენთვის პარტნიორი და მნიშვნელოვანი მეზობელია, მაგრამ იგი დაკავებულია იმ საქმიანობით, რომლითაც შეიძლება ყველა დაზარალდეს," - აღნიშნავს მინისტრი.

ბეჟუაშვილის თქმით, ქართული მხარე სთავაზობს აფხაზურს, განიხილოს "საგზაო რუკა" და ამ პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობა ჩაერთოს.

"თუ აფხაზეთში ფიქრობენ საქართველოს შემადგენლობაში რაიმე დონის სახელმწიფოებრიობაზე, ჩვენ ამის შესაძლებლობას ვაძლევთ. თუ არ ფიქრობენ, შევეცდებით, დიალოგის მეშვეობით გავაგებინოთ. ჩვენი სუბიექტების დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის დონე ბევრად მაღალი იქნება, ვიდრე იმავე რუსეთშია. ჩვენ ავტონომიის ევროპულ მოდელს ვთავაზობთ. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი აფხაზი მეგობრები სულ უფრო და უფრო ხდებიან სხვისი პოლიტიკის მძევლები," - განაცხადა საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა.

მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ ოსეთში ვითარება უფრო რთულადაა, რადგან ამ "ტერიტორიის სამართავად ბიჭები ციმბირიდან ჩამოვიდნენ".

*ინტერპრესნიუსი*

## აფხაზებმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს

აფხაზები საერთაშორისო ორგანიზაციებს კოდორის ხეობაში მცხოვრები ქართველების დაცვას სთხოვს. კოდორის ხეობის მოსახლეობა ქართველ ჯარისკაცებს მასობრივ მკვლელობებში, გაუპატიურებასა და ძარცვაში ადანაშაულებს. როგორც სააგენტო "რია ნოვოსტი" იუწყება, ხეობაში "მიმდინარე უკანონობის შესახებ" ჟურნალისტებს აფხაზეთის გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის მეთაურმა მიხეილ ლოგუამ განუცხადა.

"ივლისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში საქართველოს თავდაცვის მინისტრის შეიარაღებულმა ფორმირებებმა ადამიანის უფლებების მასიური დარღვევა და ადამიანების წინააღმდეგ მასობრივი დანაშაული ჩაიდინა", - განაცხადა ლოგუამ.

მისი თქმით, გულრიფშის რაიონის ხელისუფლებას ჩივილით ჩხალთას, აჟარას, ომარიშის, საკენისა და გენწვისის მოსახლეობამ მიმართა. ისინი ქართველ სამხედროებს წამებაში, მკვლელობაში, გაუპატიურებაში, სახლის დაწვასა და ძარცვაში სდებდნენ ბრალს.

როგორც ლოგუა იუწყება, მოწმეთა ინფორმაციით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, ძირითადად ჩხალთასა და აჟარაში, 58 მშვიდობიანი მცხოვრები იქნა მოკლული. თუმცა, მისივე თქმით, ეს მონაცემები ზუსტდება.

ლოგუას მტკიცებით, ქართველი სამხედროები, ვერ ახერხებენ რა დაჯგუფება "მონადირეს" წევრების სვანეთის ტყეებში დაკავებას, მძევლად ჰყავთ აყვანილი მათი ოჯახის წევრები, რომელთა მიმართაც ელემენტარული ადამიანის უფლებებიც კი არ არის დაცული.

"ჩვენ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ კოდორის ხეობის ზედა ზონაში ჰუმანიტარული კატასტროფაა. იქ მშვიდობიანი მოსახლეობა იხოცება, არ არის დაცული ადამიანის უფლებების ბაზისური პრინციპები", - აღნიშნა ლოგუამ ჟურნალისტებთან საუბარში.

გულრიფშის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი თხოვნით მიმართავს აფხაზეთისა და საქართველოს ხელისუფლებას, ასევე ადამიანის უფლებათა დამცველ საერთაშორისო ინსტიტუტებს ხელი შეუწყონ კოდორის ხეობაში კანონიერების და წესრიგის აღდგენას.

"კოდორის ხეობაში ძალოვან უწყებებსა და ემზარ კვიციანის მომხრეებს შორის არავითარ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. აფხაზების მიერ ამ ინფორმაციის გავრცელებას შეიძლება პროვოკაციის მცდელობა და სიცრუე ეწოდოს," - განაცხადა აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენელმა კოდორის ხეობაში მევლუდ ჯანჭვლიანმა.

"ეს მორიგი სიცრუეა აფხაზთა მხრიდან. კოდორის ხეობაში მსგავსი არაფერი მომხდარა. არც დღეს და არც უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ხეობაში სროლები არ ყოფილა, შესაბამისად არც არავინ დაღუპულა," - განაცხადა ჯანჭვლიანმა.

*ინტერპრესნიუსი*

## მოკლედ

### სპეცოპერაციისას დაჭრილი პატიმარი გარდაიცვალა

სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების საავადმყოფო "ალსს"-ში პატიმარი, 16 წლის ჯაბა ჯაბანიშვილი ფილტვის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. როგორც პრაიმ-ნიუსს იუსტიციის სამინისტროში აცნობეს, წინასწარი მონაცემებით, ჯაბა ჯაბანიშვილი 2006 წლის 21 ივლისს, ბორჯომში პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევის დროს, საპასუხო სროლისას დაიჭრა. მას 22 ივლისს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. დაჭრილი სამკურნალოდ თბილისში გადაიყვანეს. ჯაბანიშვილი ყაჩაღობის ბრალდებით იყო დაკავებული. **პრაიმ-ნიუსი**

### ქართული მხარის ინიციატივა

რუსეთის ფედერაციაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ირაკლი ჩუბინიშვილის განცხადებით, ქართული მხარე გალის რეგიონში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნის ინიციატივით გამოდის.

"მიუხედავად იმისა, რომ გალის რეგიონში ქართველი დევნილები დაბრუნდნენ, იქ მათი უფლებები უხეშად ირღვევა. ამიტომაც, აუცილებელია ამ ადამიანების მხარდაჭერა," - აცხადებს ირაკლი ჩუბინიშვილი.

ირაკლი ჩუბინიშვილის თქმითვე, თბილისი არაერთხელ გამოსულა გალის რეგიონის მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით, იქ პოლიციური კონტინგენტის შეყვანის ინიციატივით, მაგრამ ამ ინიციატივაზე პასუხი დღემდე არ მიუღია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პატიმრის ახლობლების პროტესტი

პატიმარ მზია კვირტიას ახლობლებმა ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წინ აქცია მოაწყვეს, რომლითაც პატიმრის საპყრობილეში გადაყვანა გააპროტესტეს. პატიმრის ახლობლები მზია კვირტიასთვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებასა და მის სამკურნალო დაწესებულებაში დატოვებას მოითხოვდნენ.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში მცხოვრები, 60 წლის მზია კვირტია, უაქციზო სიგარეტის რეალიზაციისთვის დააკავეს და მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. კვირტიას, რომელიც ავთვისებიანი სიმსივნით არის დაავადებული, დაკავებისას კრუნჩხვები განუვითარდა და მძიმე ფსიქიკური ტრავმა მიიღო.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლის პარლამენტარ ნაზი არონიას ჩარევის შედეგად, მზია კვირტია ზუგდიდის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან თბილისში, ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში სამკურნალოდ გადმოიყვანეს. პატიმარი ზუგდიდის კლინიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში კარგა ხანს იმყოფებოდა. საკითხში პარლამენტარის ჩარევის შემდეგ კი იგი თბილისში გადმოიყვანეს. **ინტერპრესნიუსი**

### იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მუშაობისთვის შექმნილი პირობები

გაიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახლად გარემონტებული შენობის პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ვალერი ცერცვაძე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე, სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეები და საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები. როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ განაცხადა, რომ შენობაში გაკეთებულია ევრორემონტი, გარემონტებულია შენობის ფასადი, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, ავეჯით, უსაფრთხოების სისტემით და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი. მისივე თქმით, ამ შენობის გარემონტება დაიწყო მიმდინარე წლის დასაწყისში და ახლახან დასრულდა. შენობა ისე რემონტდებოდა, რომ მუშაობა არ შეფერხებულა. შენობის გარემონტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაახლოებით, 250 ათასი ლარი დაიხარჯა. დღეისათვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 47 თანამშრომელია დასაქმებული. როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენობები ერთი და იგივე კომპანიამ გაარემონტა და, შეიძლება ითქვას, დღესდღეობით ისინი საქართველოს სხვა უწყებების შენობათა შორის ყველაზე გემოვნებითაა გარემონტებული, რაც ამ სისტემის მუშაკთა შრომისუნარიანობას კიდევ უფრო გაზრდის. მისივე თქმით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში არის შიდა ქსელი და სულ მალე უწყება ჩაირთვება საერთო სასამართლოების კომპიუტერულ ქსელში. სექტემბრის თვეში კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელი პირები მცხეთის საქალაქო სასამართლოს ახლად გარემონტებულ შენობას გახსნიან. **ინტერპრესნიუსი**


## ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს"

### იურიდიული მომსახურება CQ-05

### წინადადების წარდგენის თაობაზე მოთხოვნის წინასწარი შეტყობინება

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის" (შემდგომში "კორპორაცია") სახით, და საქართველოს მთავრობამ (შემდგომში "მთავრობა") 2005 წლის 12 სექტემბერს გააფორმეს "ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტი" (შემდგომში "კომპაქტი"), რომელიც განსაზღვრავს იმ ზოგად პირობებსა და ვადებს, რომელთა საფუძველზე "კორპორაცია" უზრუნველყოფს სახელმწიფოს 295,300,000 ა.შ.შ. დოლარამდე თანხით დაფინანსებას "ათასწლეულის გამოწვევის ანგარიშის" პროგრამისათვის, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და სიღარიბის დაძლევას (შემდგომში "პროგრამა"). აღნიშნულ პროგრამა შედგება ხუთი პროექტისაგან: ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაცია, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდი, აგრობიზნესის განვითარება, და რეგიონული ინფრასტრუქტურის განვითარება. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი ინტერნეტგვერდი: www.mcg.ge.

პროგრამის განხორციელების მიზნით "ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს" იწვევს შესაფერისი გამოცდილების მქონე კონსულტანტებს წარმოადგინონ საკვალიფიკაციო ინფორმაცია "ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს"-თვის იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით.

**საკვალიფიკაციო ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნა**, რომელიც შეიცავს სამუშაო დავალებასთან დაკავშირებულ დაწვრილებით ინფორმაციას, ტექნიკურ დავალებას, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და წარსადგენ ფორმებს, შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ "ემ-სი-ჯი"-ს ინტერნეტგვერდიდან (www.mcg.ge). მოთხოვნილი საკვალიფიკაციო ინფორმაციის წარსადგენად კონსულტანტებმა უნდა შეავსონ **სარეგისტრაციო ფორმა**. შევსებული სარეგისტრაციო ფორმა უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე (შესაძლებელია აგრეთვე სარეგისტრაციო ფორმის გამოგზავნა ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით). იმ კონსულტანტთა საკვალიფიკაციო ინფორმაცია, რომლებსაც რეგისტრაცია არ გაუვლიათ, არ მიიღება.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ "ემ-სი-ჯი"-ს შესყიდვების დირექტორს ბატონ გიორგი თვალავაძეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სამუშაო საათებში 09:30-დან 18:30 სთ-მდე (ადგილობრივი დროით, GMT+3). დაინტერესებულმა კონსულტანტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2006 წლის 30 აგვისტოს სამუშაო დღის ბოლომდე (18:00 ადგილობრივი დროით).

"ფონდი ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს"
საქართველო, თბილისი 0105,
სანაპიროს ქ. N 4
ტელ.: (+995 32) 507770
ფაქსი: (+995 32) 939144
ელ. ფოსტა: g.tvalavadze@mcg.ge


# ომბუდსმენის რეკომენდაცია ფინანსური პოლიციის სპეცოპერაციაზე

პირველი გვერდიდან

**"ფინანსური პოლიციის სპეცრაზმის წევრების მიერ დაკავებულთათვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების ხარისხიდან გამომდინარე, გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ გადააჭარბეს თავიანთ უფლებამოსილებას. განსაკუთრებით გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტრისტან მუშკიაშვილს - ცემის შედეგად მიღებული ტრავმების გამო მას ცალ თვალში მხედველობა მნიშვნელოვნად დაუქვეითდა,"** - აცხადებს სახალხო დამცველი, რომელმაც რამდენიმე თვის წინ საქართველოს გენერალურ პროკურატურას რეკომენდაციით მიმართა, შეესწავლათ ზემოაღნიშნული საკითხი და გამოძიების დამთავრებამდე უფლებამოსილება შეჩერებოდათ ხსენებულ ოპერაციაზე პასუხისმგებელ პირებს.

გენერალური პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, საქმეზე დაკითხულები არიან მოწმეები და დაზარალებულები, დაინიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები და გრძელდება გამოძიება.

სახალხო დამცველი გენერალური პროკურატურას კვლავ მიმართავს რეკომენდაციით და კვლავ იგივე მოთხოვნებს აყენებს.

სხვათა შორის, ფინანსური პოლიციის მიერ დირბში ჩატარებული სპეცოპერაცია პირველი შემთხვევა არ გახლავთ, რომელიც სახალხო დამცველის ყურადღების ცენტრში მოხვდა. საქართველოს სახალხო დამცველი შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის მიერ ჩადენილ კანონდარღვევებზე არაერთხელ საუბრობდა და სამართალდამცველებს კონკრეტულ საქმეებში აღმოჩენილი დარღვევების თაობაზეც რეკომენდაციითაც რამდენჯერმე მიმართა.

**"სახალხო დამცველის აპარატში არაერთი ისეთი ფაქტი დაგროვდა, რომელიც შიდა ქართლის ფინანსური პოლიციის მიერ ძალის არაადეკვატურ გამოყენებაზე მეტყველებს,"** - აცხადებს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ მისი აპარატის თანამშრომლების მიერ შესწავლილ კიდევ ერთ, გახმაურებულ საქმეში აღმოჩენილი საეჭვო გარემოებების გამო კვლავ მიმართა გენერალურ პროკურატურას. საუბარია ფოსურის საქმეზე. 2006 წლის 17 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოს დროებით მოთავსების იზოლატორში დაკავებული ნიკოლოზ ფოსური მოინახულეს, რომელსაც სახის, ზურგისა და ქვემო კიდურების არეში ფიზიკური დაზიანებები აღენიშნებოდა. წინასწარი მონაცემებით, ფოსური ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა სცემეს.

*24 საათი*

# ბათიაშვილის მხარდამჭერი აქცია იზოლატორთან

წინანარ ორთვიან პატიმრობაში მყოფი ირაკლი ბათიაშვილი, ორთაჭალის საპყრობილიდან მეშვიდე იზოლატორში გადაიყვანეს. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ საპროტესტო აქცია სწორედ მეშვიდე იზოლატორის წინ მოაწყო.

აქციის მონაწილეებმა უშიშროების ყოფილი მინისტრის საქმეში არსებულ კანონდარღვევებთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გაავრცელეს და საქმეზე სასწრაფოდ რეაგირებისთვის დიპლომატიურ კორპუსს მიმართეს.

**"ირაკლი ბათიაშვილის მიმართ პირდაპირ და უხეშად დაირღვა საქართველოს კანონმდებლობისა და კონსტიტუციის მოთხოვნები. მოვითხოვთ ირაკლი ბათიაშვილის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. ასევე, მოვითხოვთ, ქვეყანაში შეწყდეს თავისუფალი სიტყვის დევნა და პოლიტიკური ოპონენტების რეპრესიები. ირაკლი ბათიაშვილის დაპატიმრება პოლიტიკური ანგარიშსწორებაა,"** - აცხადებდნენ გუშინდელი აქციის მონაწილეები.




*არასამთავრობოთა კოალიცია შსს-თან.*

როგორც "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრმა ირაკლი კაკაბაძემ განმარტა, არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების მოწყობას აპირებს, რომლის მთავარი მოთხოვნა ირაკლი ბათიაშვილის და ყველა პოლიტპატიმრის გათავისუფლება იქნება.

**"ქვეყანაში პროკურატურა, ადვოკატურა და მართლმსაჯულების სისტემა სიმართლის დადგენისკენ უნდა იყოს მომართული, თუმცა საქართველოში ყველაფერი საწინააღმდეგოდ კეთდება,"** - აცხადებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, არასამთავრობოთა კოალიციამ უკვე შექმნა ირაკლი ბათიაშვილის დაცვის კომიტეტი.

*24 საათი*

# ჯაშუშობაში ბრალდებულის საქმე სასამართლოს გადაეცა

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი თანამშრომლის, ჯაშუშობასა და სამშობლოს ღალატში ბრალდებულ სიმონ კილაძის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცა. კილაძის ადვოკატის პაატა ბუჩუკურის განცხადებით, ჯერჯერობით უცნობია როდის დაიწყებს სასამართლო საქმის განხილვას. ბუჩუკურის ინფორმაციით, საქმე კონტრდაზვერვამ გამოიძია, ზედამხედველობას კი გენერალური პროკურატურა ახორციელებდა. ადვოკატის ინფორმაციით, კილაძე მე-7 საპყრობილეში იმყოფება და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. კილაძის საქმეს "საიდუმლოს" გრიფი ადევს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობისას კილაძის მოვალეობაში შედიოდა ქართული და უცხოური პრესის მონიტორინგი და შესაბამისი დაიჯესტის მომზადება.

კილაძის დაპატიმრების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ვიდეომასალა, სადაც კილაძე ინანიებდა დანაშაულს, საქართველოს პრეზიდენტს თხოვდა პატიებას და მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს.

აღიარებით ჩვენებაში, კილაძე ამბობს, რომ 2004 წლის მაისში, მას ელექტრონული ფოსტის მისამართზე მოსული წერილით შესთავაზეს ინფორმაციების მიწოდება, რის სანაცვლოდაც გარკვეულ ფინანსურ ანაზღაურებას დაჰპირდნენ. კილაძის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ მისი ოჯახი იმყოფებოდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში, ის დასთანხმდა წინადადებას.

**"მოწოდებული კითხვების შესაბამისად, ჩემ მიერ არაერთგზის იყო მომზადებული ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ვითარების, პრობლემების, პრეზიდენტის და მისი გარემოცვის, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების, ასევე სამთავრობო დელეგაციების ვიზიტების, ამ ვიზიტებში განსახილველი საკითხებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ",** - განაცხადა კილაძემ.

თუმცა, კვლავ უცნობია, თუ რომელი ქვეყნის სასარგებლოდ ეწეოდა კილაძე ჯაშუშობას.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# კვიციანის და მისი მომხრეების ყოფილი ბანაკი აღმოაჩინეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის სამმართველომ კოდორის ხეობის მთებში ემზარ კვიციანის და მისი მომხრეების ყოფილი ბანაკი აღმოაჩინა. შს სამინისტროს ინფორმაციით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია სხვადასხვა დასახელების იარაღი და საკვები. სამართალდამცველთა განცხადებით, ბანაკში დაჯგუფების წევრებთან ერთად დაბანაკებული იყო კვიციანის დისშვილი, ამჟამად ძებნილი ბაჩო არღვლიანი. ამასთან, არაოფიციალური წყაროებით გავრცელებული ინფორმაციით, 3 აგვისტოს სოფელ ლატასთან რუსეთის საბრძოლო ტექნიკის გადაადგილება შეიმჩნეოდა. მობილიზებული იყო ცოცხალი ძალა. რამდენიმე ავტობუსით ლათას 107-ე საგუშაგოზე მთიელ ხალხთა კონფედერაციის წევრები გადაიყვანეს. ამავე ინფორმაციით, ეს გადაადგილება ხეობაში სოფელ პიშის მცხოვრებლებმა შენიშნეს და თავდაცვის მიზნით, დროებით მთებში გაიხიზნენ. ოფიციალური წყაროები აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

*პრაიმ-ნიუსი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..........

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..........

**საკონტაქტო ტელეფონი**..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპი"-ს და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი";
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "რუსთაველი";
5. მეტროს სადგური "სადგური II";
6. მეტროს სადგური;
7. მეტროს სადგური;
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დელისი";
10. ვაჟა-ფშაველას 45 შენობის ხელი "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპი"-ს ოფისი;

"24 საათის" მკითხველის, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით. 0179 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# "ცოცხალი სილამაზის" ანუ თბილისის ურბოფიტოსისტემის შესახებ

გიორგი სალუქვაძე
არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი





დღეს თბილისის იერსახის გასაუმჯობესებლად ბევრი რამ კეთდება. განახლდა გზების საფარი, შენობის ფასადები, მოეწყო შენობის გარე განათება. ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ქალაქში დასუფთავების პრობლემების მოსაგვარებლად. ბევრი რამ სასიკეთო იგეგმება სამომავლოდ, რაც მხარდაჭერას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, ბევრი კვლავ გასაკეთებელია ჩვენი საზოგადოების სულიერი რეაბილიტაციის, სტაბილურობის, მდგრადობისა და ქალაქში ჰუმანური გარემოს შენარჩუნებისათვის, ადამიანის კეთილდღეობის ინდექსის, მისი ერთ-ერთი მთავარი პარამეტრის, კერძოდ, დღეგრძელობის ინდიკატორის ასამაღლებლად. ერთ-ერთ ასეთად მიგვაჩნია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში უკვე დიდი ხნის წინ აპრობირებული მეთოდის ჩვენს დედაქალაქში განხორციელება, როგორიცაა "ცოცხალი სილამაზის" შექმნა, ანუ ქალაქის დღევანდელი მწვანე მშენებლობის განვითარება და ქალაქის ეტაპობრივი გამწვანება-გაყვავილნარებით ერთიანი ურბოფიტოსისტემის ჩამოყალიბება.

როდესაც ვსაუბრობთ ქალაქის გალამაზებაზე და ქალაქის გარემოს გაკეთილშობილებაზე, ვგულისხმობთ არა მხოლოდ ქალაქის ცალკეული ობიექტების გალამაზებას, არამედ ქალაქის გამწვანება-კეთილმოწყობის ფართომასშტაბიანი პარამეტრებით მოქმედებას, ანუ ვგულისხმობთ პროგრამული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტის, ქალაქის გამწვანება-გაყვავილნარების გენერალური სქემის შექმნას, დაფუძნებულს ქალაქის გეოინფორმაციულ სისტემაზე, რომელიც გააერთიანებს სხვადასხვა პროფილის მქონე სპეციალობის წარმომადგენლებს: არქიტექტორებს, მხატვრებს, დეკორატორებს, სელექციონერებს, ფიტოდიზაინის სპეციალისტებს და სხვ., შეაკავშირებთ მათ ერთი პროგრამის გარშემო, რომელსაც ქალაქ თბილისის ურბოფიტოსისტემა ჰქვია.

როგორც ცნობილია, დღეისათვის თბილისის მერიას არ გააჩნია დედაქალაქის ლანდშაფტური არქიტექტურის განვითარების კონკრეტული პროექტი, ძველ გენერალურ გეგმაში მითითებული ლანდშაფტური სქემა მოძველებულია. ასევე არ არსებობს ხებუჩქების და ყვავილების ასორტიმენტის დეტალური პროგრამა.

ძნელი წარმოსადგენია ქალაქი ბუნების გარეშე. ბუნება თითქოს ყველანაირად ცდილობს, რომ ქალაქი არ მიატოვოს. მაგალითისთვის ისიც საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორ ამოდის ბალახი ასფალტის ბზარებში და იბრძვის სიცოცხლისათვის. ამდენად, ბუნება საჭიროებს არა მის საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებებს, არამედ "გეგმიურ" დამოკიდებულებას, ანუ ურბანიზირებულ სამყაროს შექმნას, მართვას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, მისი სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ქალაქის გარემოს გაუმჯობესებას. ჩვენ ვხდებით მოწმენი გასაოცარი მოვლენისა: ბუნება, თითქოსდა უკანდახეული დიდი ქალაქების ქუჩებიდან ქალაქის გარეთ, მისი საზღვრების მიღმა, ბრუნდება ისევ ქალაქში, ასევე შენობაში. ამის მრავალი მაგალითია მსოფლიო პრაქტიკაში.









ქალაქის მწვანე ნარგავები, ხე-ბუჩქები, ყვავილნარები, როგორც ცნობილია, წარმოადგენენ მნიშვნელოვან კომპონენტებს ქალაქის ლანდშაფტის სტრუქტურისა. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების სისტემის გატარებაში, როგორც ქალაქის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების მექანიზმს, რამეთუ ფლობს მრავალმხრივ გამაჯანსაღებელ და დამცველ თვისებათა კომპლექსს. ცნობისათვის, დათვლილია, რომ დედამიწის მოსახლეობას ყოველდღიურად სჭირდება დაახლოებით 2 მილიონი ტონა საკვები, 10 მილიონი ტონა სასმელი და მილიარდი კუბური მეტრი ჟანგბადი სუნთქვისათვის.

მცენარეები ბუნებრივად ასრულებენ მნიშვნელოვან დამარეგულირებელ ფუნქციას, რომელიც ანელებს ადამიანის საქმიანობით გამოწვეულ გარემოს ბევრ არასასურველ შედეგს; ეფექტურად ამცირებს მავნე ატმოსფერულ მინარევებს და ქალაქის ხმაურს; არეგულირებს მიკროკლიმატს; ფლობს ბაქტერიციდური თვისებების უნარს, ანუ ასრულებს სანიტარულ-ჰიგიენურ ფუნქციას; ამდიდრებს ჰაერს ჟანგბადით; აქვს უნარი ებრძოლოს და შეაჩეროს წყლისა და ქარის მიერ გამოწვეული ეროზია; წარმოადგენს მოქალაქისათვის ყოველდღიური და პერიოდული დასვენების ადგილს, რაც დადებითად მოქმედებს ადამიანის ნერვულ-ფსიქიკურ მდგომარეობაზე, მის ემოციაზე, ცხოვრებისეულ ტონუსზე.

დადგენილია, რომ ადამიანის ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობის დროის შემცირება პირდაპირ კავშირშია მისი ორგანიზმის ფუნქციონირებასთან (იგულისხმება ადამიანის ჯანმრთელობა, შრომისუნარიანობა, განწყობა), ე.ი. რაც ნაკლებია ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობა, მით უფრო აისახება ყოველივე ეს მის ჯანმრთელობაზე.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასა და მწვანე ნარგავების ფართს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, ანუ მნიშვნელოვანია, თუ რამდენი გამწვანებული ფართი მოდის ერთ მაცხოვრებელზე. ასევე მნიშვნელოვანია მწვანე ნარგავების ინფორმაციული ზემოქმედების ხანგრძლივობა ადამიანზე. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, სიცოცხლის ხანგრძლივობა იქნება მით მეტი, რაც მეტი საშუალება ექნება ადამიანს უცქიროს მწვანეს, რადგანაც ადამიანის მხედველობით ზემოქმედებაზე მოდის ყველა განცდის 80-87 პროცენტი (ნ. რეიმერსი).

ქალაქის მოსახლეობისათვის კარგადაა ცნობილი, თუ მწვანე ნარგავები როგორ უმსუბუქებენ მათ ზაფხულის ცხელ დღეებს. მეცნიერთა ზოგიერთი მონაცემი მიკროკლიმატთან დაკავშირებით ასეთია: ზაფხულის პერიოდში ღია სივრცესთან შედარებით სკვერებსა და ბულვარებში ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსის 1,5-3 გრადუსით დაბალია, ხოლო ტენიანობა 2-8 პროცენტით მაღალი. ქალაქის პარკებში ეს სხვაობა აღწევს შესაბამისად 6,5-10 პროცენტს და 10-13 პროცენტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2,5-3 გრადუსით ტემპერატურის სხვაობა ადამიანისთვის უკვე შესამჩნევია. ხეებისა და ბუჩქების ჩრდილი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე "არასასიცოცხლო" ჩრდილი. მაგალითად, მაღლივი შენობებისა.

მნიშვნელოვან მიკროკლიმატურ ეფექტს იძლევა ღია გრუნტი, თუ ის დაფარულია მწვანე საფარით, რომელიც ასფალტის საფართან შედარებით ადამიანისთვის 40 პროცენტით ნაკლებ სითბურ რადიაციას იძლევა.

ამით არ ამოიწურება ქალაქის მცენარეთა და ხე-ბუჩქების სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა. ის ხელს უწყობს ჰაერის იონიზაციის ამაღლებას ადამიანის საკეთილდღეოდ. ცნობილია, აგრეთვე, რომ 1 ჰექტარი ნარგავები 1 საათის განმავლობაში შთანთქავენ საშუალოდ 8 კილოგრამ ნახშირმჟავა გაზს, არსებითად ამცირებენ თავის ტერიტორიაზე ჰაერის სხვადასხვა მავნე გაჭუჭყიანებულ ნივთიერებათა კონცენტრაციას: გოგირდის ანჰიდრიდს $SO_2$, -0,27-დან 0,08 მ 2/მ 3, გოგირდწყალბადს $H_2S$ (მომწამლავი გაზი) 0,007 მგ/მ 3-მდე და აზოტის ჟანგს $NO_2$ 0,22-დან 0,007 მგ/მ 3-მდე.

კარგადაა ცნობილი მწვანე ნარგავების ხმაურსაწინააღმდეგო ეფექტი, რაც მის ბგერის ამრეკლავ უნარს გამოხატავს და აღწევს 75 პროცენტს. სქელვარჯიანი (ხშირძირიანი) ხეების დარგვა რამდენიმე რიგად ახშობს ხმაურის დონეს 8-10 დეციბელით 50 მეტრის ფარგლებში, ასუსტებს ქარის სიჩქარეს 20 პროცენტით საწყისთან შედარებით. ხეების ჯგუფი აკავებს მტვერის 21-86 პროცენტს და 19-44 პროცენტით ამცირებს ჰაერის გაჭუ4ჭყიანებას მავნე მიკროორგანიზმებით.

მწვანე ნარგავების საშუალებით შეიძლება დავარეგულიროთ სინოტივისა და ჰაერის ტემპერატურის რეჟიმი ქალაქის ეკოსისტემაში, გავაუმჯობესოთ ქალაქის ატმოსფეროს რადიაციული მახასიათებლები, მოვახდინოთ გაჭუჭყიანებული ატმოსფეროს გაწმენდა. ცნობილია, რომ მცენარეები ჰაერიდან შთანთქავენ 50-60 პროცენტ ტოქსიკურ გაზს, მაშინ, როცა ატმოსფერული სინოტივე 5-20 პროცენტს, ნიადაგი 5-10 პროცენტს, წყალსაცავები და ცხოველები 5 პროცენტზე ნაკლებს.

ამასთანავე, ქალაქის მწვანე ნარგავები წარმოადგენენ გარემოს ხარისხის მგრძნობიარე ინდიკატორს. ისინი ასრულებენ ბიოინდიკაციურ როლს ბიოქიმიურ, ფიზიოლოგიურ ანატომიურ და მორფოლოგიურ დონეებზე.

ცნობილია, რომ ქალაქების დაგეგმარებისას საჭიროა გამწვანებას დაეთმოს მთელი ტერიტორიის 50 პროცენტზე მეტი წყალსაცავებთან და მდინარეებთან ერთად, ხოლო ქალაქის ფარგლებში ერთ მაცხოვრებელზე ნორმა უნდა შეადგენდეს საშუალოდ 20-25 კვადრატულ მეტრს (გამომდინარე ქალაქის სიდიდიდან, გეოგრაფიული ზონიდან და სხვა ფაქტორიდან). მაგალითად, თბილისში დღეისათვის საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების ნორმატიული მაჩვენებელი კატასტროფულად დაბალია და ერთ კაცზე საშუალოდ 5,2 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

თბილისის ერთიანი გამწვანება-გაყვავილნარების, ანუ თბილისის ურბოფიტოსისტემის პროგრამა, როგორც წესი, ქალაქის გენერალური გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი უნდა იყოს. ამიტომ მართალია, დღეს არ გვაქვს თბილისის ახალი გენგეგმა (ძველი ხანდაზმული და ვადაგასულია), ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქში არის მდგრადი ტერიტორიები, რომლებიც არ ექვემდებარებიან ცვლილებებს, ამ შემთხვევაში შეიძლება ეტაპობრივად ამ პროგრამის განხორციელება. ისედაც ქალაქის გამწვანება-გაყვავილნარების მშენებლობის პროექტის განხორციელების პროცესი ნატურაში მწყობრი სისტემით ხდება. გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები დანიშნულების მიხედვით მისი განთავსება, მაგალითად: მნიშვნელოვან ცალკეულ ქალაქგეგმარებით ობიექტებთან, ქალაქის ცენტრში, საკულტო ნაგებობის მიმდებარე ტერიტორიებზე, მდინარის სანაპიროებზე, ქალაქის შემოსასვლელებში და ა.შ.

ყოველი კონკრეტული ადგილისათვის დენდროპროექტის მიხედვით გათვალისწინებული უნდა იქნეს გამწვანება-გაყვავილნარების გაფორმების გარკვეული კომპოზიციები, როგორიცაა: ხე-ბუჩქი, მხოლოდ ყვავილები, კომბინირებული, თემატური, მიქსი, ორნამენტული კომპოზიციები და სხვ. იქ, სადაც ქალაქის ბუნებრივი ლანდშაფტი არ იძლევა სასურველ მხატვრულ შედეგს, შეიქმნება ხელთქმნილი გარემო, ანუ რეკონსტრუქციის შედეგად ჩამოყალიბდება ხელოვნური ლანდშაფტი.

ქალაქის ტერიტორიის გამწვანება-გაყვავილნარება კლასიფიცირდება დანიშნულების მიხედვით, აგრეთვე, როგორც საერთო სარგებლობის (რეკრიაციული ტერიტორიები: ტყე-პარკები, დასვენების ზონა, პარკები, ბაღები, მათ შორის ბოტანიკური ბაღი, სკვერები, ზოოპარკები); შეზღუდული სარგებლობის ტერიტორიები (საცხოვრისის გამწვანებული უბნები, საზოგადოებრივი, სამრეწველო უბნები და ზონები); სპეციალური დანიშნულების ტერიტორიები (სანიტარულ-დაცვითი ნარგავები, ხე-ბუჩქები, ყვავილები ქუჩებისა და გზების გასწვრივ და ა.შ.).

მწვანე მშენებლობაში გამოიყენება გამწვანება-გაყვავილნარების შემდეგი მეთოდები და ფორმები: სტაციონალური (მცენარეების ჩარგვა გრუნტში), მობილური (ნარგავების ჩარგვა სპეციალურად გადასატან ლარნაკებში, კასრებში, ვაზებში, კონტეინერებში და ა.შ.), კომპაქტური (ვერტიკალური - ეს უკანასკნელი არანაკლებ მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც დედაქალაქს აქვს მეხუთე ფასადის აღქმის იდეალური შესაძლებლობები სხვადასხვა მხრიდან; მრავალდონიანი გამწვანება, მათ შორის შენობების ფასადები და სახურავები და ა.შ.).

ქალაქის ტერიტორიის გამწვანება-გაყვავილნარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს თბილისის თვითმყოფადობის ობიექტური მიზეზების გათვალისწინება, როგორიცაა:

- კლიმატური პირობები, ანუ თბილისისათვის დამახასიათებელი ვეგეტატიური პერიოდი (მცენარეთა ზრდა-განვითარება); თბილისი, როგორც ისტორიული ქალაქი ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, თბილისი, როგორც მრავალეროვანი ქალაქი; საკუთრების ფორმა ქალაქში, რა ნაწილი იმყოფება კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში, რაც განაპირობებს შესაბამის ფორმას ამ საკითხის რეგულირებისას და ა.შ.

ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ადამიანის კეთილდღეობის ინდექსის, მისი ერთ-ერთი მთავარი პარამეტრის, კერძოდ ადამიანის დღეგრძელობის ინდიკატორს ანუ "ცხოვრების ხარისხის" ამაღლების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მწვანე ნარგავები, "ცოცხალი სილამაზის" სისტემა ქალაქში, ლანდშაფტის ფორმა, როგორც გამომსწორებელი სტრატეგია და ყოველივე ეს არა მხოლოდ "გამწვანების" ასპექტში დანახული, არამედ როგორც მნიშვნელოვანი საშუალებები ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებისა და საცხოვრებლად ოპტიმალური გარემოს ჩამოყალიბებისა. თავისუფალი სივრცეების, ბუნებრივ-ანთროპოგენურ გარემოს განვითარების ხელშეწყობა, მისი გამწვანება-გაყვავილნარების ქვეშ ინტენსიური ათვისება ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა და იმ ღონისძიებების წინაპირობაა, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად და იმ დეფიციტის აღმოსაფხვრელადაა საჭირო, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ქალაქთან დაკავშირებული ყოველი მასშტაბური საქმიანობა ძვირი სიამოვნებაა, რა თქმა უნდა, თუ მას მთლიანობაში განვიხილავთ. მაგრამ, ვითვალისწინებთ რა ქალაქის დღევანდელ ეკონომიკურ მდგომარეობას და ქალაქში სიახლის კეთების სურვილს, ის შეიძლება შესრულდეს ეტაპობრივად, იმისდა მიხედვით, თუ რა შესაძლებლობა ექნება ქალაქის ბიუჯეტს. ამ ეტაპზე მთავარია ქალაქის მნიშვნელობის დადებითი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. წინადადების მოწონების შემთხვევაში, სპეციალისტებთან ერთად შემუშავებული იქნება თბილისის ურბოფიტოსისტემის კონკრეტული სამოქმედო, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პროგრამა.

## ინფოთეკა

### არველაძე "ალკმაარში" დარჩა

Sky sports-ის ცნობით, ჰოლანდიის "ალკმაარის" ქართველმა თავდამსხმელმა შოთა არველაძე კლუბში 2008 წლამდე დარჩება - ქართველსა და ჰოლანდიურ კლუბს შორის ახალი ხელშეკრულება გაფორმდა.

"რიგი უცხოური კლუბები არველაძით იყვნენ დაინტერესებულნი, - ამბობს ალკმაარელთა ტექნიკური დირექტორი მარსელ ბრანდისი, - მან კი გადაწყვიტა, ისევ ჩვენს კლუბში გააგრძელოს კარიერა, რისი დასტურიცაა ერთი წლით გახანგრძლივებული თანამშრომლობა".

### ზაბ ჯუდა მძარცველებს დაერია

რა გასაკვირია, თუ ნახევრად საშუალო წონის მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ზაბ ჯუდა იოლად გაუმკლავდა ხულიგნებს, რომლებიც მის გაძარცვას ლამობდნენ.

ის იყო, სისხამ დილით ჯუდა მანჰეტენის ერთ-ერთ რაიონში სასეირნოდ გავიდა, რომ უმალ სამი მძარცველის ყურადღება მიიპყრო. უფრო სწორად, მძარცველების ყურადღება ზაბ ჯუდას სამკაულებმა მიიპყრეს. მუშტი-კრივის ოსტატი მძარცველთა შეტევას იოლად გაუმკლავდა - მომხდურებს კუდით ქვა ასროლინა. მძარცველებს ისღა დარჩენოდათ, მსოფლიო ჩემპიონს გასცლოდნენ, მაგრამ ისტორია ამით არ დასრულებულა. ჯუდა ხულიგნებს საკუთარი "ლამბორჯინით" გამოეკიდა. დაბნეული მძარცველები ხეს შეეჯახნენ, ერთ-ერთი მათგანი ტაქსიდან გადმოხტა და გაქცევა სცადა, მაგრამ ხელი მოეცარა. ტაქსის მძღოლიც დიდი კერკეტი ვინმე აღმოჩნდა - თავდამსხმელები პოლიციაში მიაბრძანა.

"იდიოტების ჯგუფი იყო, რომელიც ვერ აკონტროლებდა საკუთარ ქმედებას. აშკარაა, მისამართი შეეშალათ", - მოგვიანებით აცხადებდა ზაბ ჯუდა.

### იაგრი წმინდანი არ არის

ჩეხ ჰოკეისტს იარომირ იაგრს მართვის უფლება ჩამოართვეს. radio.cz-ის ცნობით, ჰოკეისტმა საკუთარი ავტომანქანა ნომრებით 68-68 ინვალიდებისთვის განკუთვნილ ადგილზე გააჩერა. ეს პრაღის ცენტრში, ვაცლავის მოედანზე მომხდარა. იაგრმა თავი იმართლა: ნიშანი არ შემინიშნავს, წმინდანი კი არ ვარო.

### "ტურ დე ფრანსის" გამარჯვებული პასუხს ელის

მას შემდეგ, რაც "ტურ დე ფრანსის" გამარჯვებულმა, 30 წლის ამერიკელმა ფლოიდ ლენდისმა დოპინგზე პირველი შემოწმება ჩააგდო, ველოსპორტის გულშემატკივარი მოუთმენლად ელის საკონტროლო B სინჯის შედეგებს. საბოლოო შედეგები დღეს გახდება ცნობილი. ყოველ შემთხვევაში, ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი B სინჯის შემცველობას დღეს გამოამზეურებს.

შეგახსენებთ, რომ ლენდისს სისხლში ჭარბი რაოდენობით აღმოაჩნდა ტესტოსტერონი.

### რეიესს გაურკვევლობა "რეალთან" საქმეს ურთულებს

ლონდონის "არსენალის" ესპანელი თავდამსხმელი ხოსე ანტონიო რეიესი გვარწმუნებს, რომ ორშაბათამდე მოაგვარებს მადრიდის "რეალში" გადასვლას. "როიტერის" ცნობით, 8 აგვისტოს "არსენალი" ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო მატჩის პირველ შეხვედრას ზაგრების "დინამოსთან".

"მთავარ მწვრთნელს ჩემთვის არაფერი უთქვამს. ამიტომ არ ვიცი, სამშაბათს ვითამაშებ თუ არა. მგონია, რომ არა. ცხადია, თუ მწვრთნელმა მათამაშა, ეს გაართულებს ჩემს გადასვლას "რეალში". თუ მითხრეს, უნდა ითამაშოო, ვითამაშებ", - აცხადებს რეიესი.

საქმე ის არის, რომ თუ რეიესმა "დინამოს" წინააღმდეგ ითამაშა, მაშინ "რეალში" გადასვლის შემთხვევაში ესპანელს ევროთასებზე თამაშის უფლება აღარ ექნება.

### ტოგო და განა ლონდონში გახურდებიან

ტოგოს საფეხბურთო ნაკრებს ამხანაგური მატჩი ელის განელებთან. "როიტერის" ცნობით, აფრიკელთა შეხვედრა შედგება ლონდონში, 15 აგვისტოს. მატჩის მიზანია აფრიკის ნაციათა თასისთვის მზადება.

# ფარერების შემადგენლობა ცნობილია

მიხეილ აბაიშვილი

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ეროვნული ნაკრების სტარტამდე ორი კვირაც არ დარჩა. "ხუთჯვაროსნები" პირველ შეხვედრას ფარერის კუნძულებზე, ადგილობრივ მეთევზეებთან ჩაატარებენ. შეცდომა არ გეგონოთ. ფარერების ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა მოყვარულია და მათი ძირითადი პროფესია ფეხბურთს არ უკავშირდება. კუნძულელ ვიკინგებს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ჰყავთ, რომელიც მეტ-ნაკლებად ცნობილ გუნდში თამაშობს. ეს გახლავთ ინგლისის "ქოვენთრის" ნახევარმცველი კლაუს იორგენსენი. ყველა სხვა მოთამაშე ადგილობრივ სამოყვარულო ლიგაში ასპარეზობს. ფარერის კუნძულების ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდია "ტორსჰაგენი", რომელიც შესაძლოა ახსოვთ კიდეც ქართველ გულშემატკივრებს. ეს გუნდი ორი წლის წინ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის "ვიტ ჯორჯიას" შეხვდა. ვეტერინარებმა თბილისში გამართულ მატჩში 5:0 დაამარცხეს "ტორსჰაგენი". თუმცა, საპასუხო შეხვედრაში "ტორსჰაგენმა" რევანში აიღო - 3:0 დაამარცხა ჩვენი ჩემპიონი. მათი საუკეთესო კლუბისა არ იყოს, ფარერის კუნძულების ნაკრების დამარცხება საკუთარ მოედანზე არცთუ იოლი საქმეა. ნებისმიერ მაღალი დონის გუნდს ეს საკმაოდ უჭირს. თუმცა, ამ გუნდთან თუნდაც ფრე აშკარად უარყოფითი შედეგი იქნება და თუ ვერ მოიგო, საქართველოს ნაკრებს, მის ახალ მთავარ მწვრთნელთან ერთად, გამართლება არ ექნება.



კალაძემ შეიძლება ფარერებში არ ითამაშოს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინფორმაციით, კლაუს ტოპმიოლერი, სავარაუდოდ, 7 აგვისტოს დაასახელებს ეროვნული ნაკრების შემადგენლობას. ამ დღეებში მორიგი კალენდარული მატჩები გაიმართება უკრაინასა და რუსეთში, სადაც თავმოყრილია ჩვენი ეროვნული ნაკრების კანდიდატთა დიდი ნაწილი.

ფარერელთა მთავარმა მწვრთნელმა იოგვან მარტინ ოლსენმა კი რჩეული 22 ფეხბურთელი უკვე დაასახელა.

**მეკარეები:** მაკელსენი ("ტორსჰაგენი"), იენსენი ("კლასვიკი")

**მცველები:** დანიელსენი ("კლასვიკი"), ოესენი ("ტორსჰაგენი"), იოჰანსენი ("ტვოროირი"), მორტენსენი ("ტორსჰაგენი")

**ნახევარმცველები:** ტორლეიფსონი ("ტორსჰაგენი"), ბენიამინსენი ("ტორსჰაგენი"), ნიელსენი ("ტორსჰაგენი"), ბორგი ("ტორსჰაგენი"), მანსენი ("სკალა"), სამუელსონი ("სტრეამერი"), იორგენსენი ("ქოვენთრი")

**თავდამსხმელები:** რ. იაკობსენი ("ტორსჰაგენი"), მადიორდი ("ტორსჰაგენი"), მ. იაკობსენი ("რუნავიკი"), სამუელსენი ("კვავლავიკი"), ფლოტემი ("ფრემად ამაგერი")

იოგვან მარტინ ოლსენი წინა შესარჩევ ციკლში მთავარი მწვრთნელის თანაშემწის მოვალეობას ასრულებდა - ეხმარებოდა ცნობილ დანიელ სპეციალისტს ალან სიმონსენს.

საქართველოსთან მატჩის შემდეგ, კერძოდ, 2 სექტემბერს, ფარერის კუნძულების გუნდს გასვლითი მატჩი ელის შოტლანდიის ნაკრებთან. ამავე დღეს თბილისში ვუმასპინძლებთ მსოფლიო ვიცე-ჩემპიონს საფრანგეთის ნაკრებს.

# ამერიკა დოპინგ-სკანდალში იხრჩობა

*ამერიკის სარბენ ბილიკებზე მოვლენები არა და არ ცხრება. აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯასტინ გატლინის მწვრთნელს ტრევორ გრემს, ფაქტობრივად, აუკრძალა აშშ-ის ტერიტორიაზე მუშაობა. ამერიკის ოლიმპიზმის მამების ასეთი გადაწყვეტილება იმითაა განპირობებული, რომ გრემთან მყოფ სპორტსმენთა დიდი ნაწილი მხილებულია დოპინგის ხმარებაში.*

100 მეტრზე რბენაში მსოფლიო ჩემპიონი ჯასტინ გატლინი და მისი მწვრთნელი ტრევორ გრემი დოპინგ-სკანდალში გაეხვნენ 22 აპრილს, კანზას სიტიში ასპარეზობის შემდეგ - გატლინს სისხლში ტესტოსტერონის ჭარბი რაოდენობა აღმოაჩნდა.

საკუთარი კარიერის განმავლობაში ტრევორ გრემს არაერთ მორბენალთან ჰქონდა საქმე, რომლებიც შემჩნეული იყვნენ აკრძალული პრეპარატების მოხმარებაში. მათ შორისაა მსოფლიო რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში ამერიკელი ტიმ მონტგომერი. "შავ სიაში" გრემის მეორე ქვეშევრდომის ჯასტინ გატლინის შეყვანა ბოლო წვეთი აღმოჩნდა ამერიკის სპორტის ხელმძღვანელობისთვის.



ჰელსინკში მსოფლიოს ჩემპიონობიდან ერთ წელიწადში გატლინი დოპინგ სკანდალში გაეხვა.

2001 წელს გატლინი უკვე შემჩნეული იყო აკრძალული პრეპარატის - ამფეტამინის მოხმარებაში. მაშინ გატლინი აშშ-ის ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას იცავდა. გატლინი დისკვალიფიკაციით არ დაუსჯიათ, რადგან გაირკვა, რომ აკრძალული პრეპარატი მორბენლის ორგანიზმში სამედიცინო პრეპარატის მეშვეობით მოხვდა. თუმცა, ამერიკელი მძლეოსანი გააფრთხილეს, განმეორებით შემთხვევაში სამუდამო დისკვალიფიკაცია არ აგცდებაო.

გატლინთან დაკავშირებით ვერდიქტი ჯერჯერობით არაა გამოტანილი, მაგრამ, როგორც ჩანს, სასჯელი უმკაცრესი იქნება. ცუდ დღეშია დამსახურებული მწვრთნელიც. ტრევორ გრემის ქვეშევრდომები გამოტოვებენ "ოქროს ლიგის" მეექვსე ეტაპს ბერლინში, რომელიც სექტემბრის პირველ რიცხვებში დაიწყება.

უსიამოვნო ვითარებაა "ტურ დე ფრანსის" გამარჯვებულ ფლოიდ ლენდისთან დაკავშირებითაც, რომელიც ასევე ელის ანტიდოპინგური კომიტეტის გადაწყვეტილებას. ამბობენ, დოპინგთან მებრძოლთა ვერდიქტი ლენდისის სასარგებლო ნამდვილად არ იქნებაო.

"ამერიკის მძლეოსნობის ასოციაცია (USATF) მხარს უჭერს აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის პოზიციას იმ სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, მენეჯერებთან დაკავშირებით, რომლებიც იყენებენ დოპინგს, - აცხადებს USATF-ის პრესატაშე ჯილ ჯირი, - ჩვენი პოზიცია ყველაზე ხისტია. მომავალშიც აგრესიულ პოლიტიკას გავატარებთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც დოპინგურ თაღლითობებში არიან გარეულნი".

# ბუკმეიკერები ფსონებში შუმახერს ხედავენ

*"ფერარის" გერმანელი მრბოლის ზედიზედ მოგებულმა სამმა რბოლამ და "რენოს" ესპანელი მესაჭის ფერნანდო ალონსოს "გერმანიის დიდ პრიზზე" წარუმატებელმა ასპარეზობამ საჩემპიონო რბოლას ინტრიგა დაუბრუნა. კვირას სამეფო რბოლათა მსოფლიო ჩემპიონატის "უნგრეთის დიდი პრიზი" თამაშდება. ალონსოსა და გერმანელს შორის ქულებში სხვაობა 11 ქულამდე შემცირდა. "ჰუნგარორინგზე" დიდი ამბებია მოსალოდნელი.*

უნგრეთი პირველი აღმოსავლეთევროპული ქვეყანაა, რომელმაც კარი შეუღო ფორმულა 1-ს. სპორტული რბოლები უნგრეთს 1980-იან წლების შუაში ეწვია, მაშინ, როდესაც სამეფო რბოლათა იმპრესარიომ ბერნი ეკლსტოუნმა საჩემპიონატო კალენდრის გაფართოება განიზრახა. უფრო სწორად, ეკლსტოუნის მიზანი იყო "დიდი პრიზებით" "რკინის ფარდა" ჩამოეხია, მაგრამ სამეფო რბოლათა სრულფასოვნად მასპინძლობამდეც კი ბუდაპეშტის ცენტრში არსებულ პარკში იყო აგებული ხუთკილომეტრიანი ტრასა, სადაც ეწყობოდა რბოლები უნგრეთის დიდ პრიზზე.

ეკლსტოუნმა ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერა 1985 წლის 10 სექტემბერს, ხოლო ოქტომბრიდან უნგრეთის ხელისუფალთა დაფინანსებით მშენებლობა დაიწყო.

ბუდაპეშტიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 20 კილომეტრის მოშორებით, კარტოფილის მინდვრის ადგილზე რეკორდულ დროში (ტრასა რვა თვეში მოეწყო) აღმოცენდა "ჰუნგარორინგის" ავტოდრომი.

ახლანდელი პილოტებიდან უნგრულ მიწაზე უმარჯვიათ: მიხაელ შუმახერს (4-ჯერ), ჟაკ ვილნევს (2-ჯერ) და თითოჯერ კიმი რაიკონენს, ფერნანდო ალონსოსა და რუბენს ბარიკელოს (2003 წელს 22 წლის ფერნანდო ალონსომ "უნგრეთის დიდ პრიზზე" კარიერის პირველი გამარჯვება იზეიმა.-რედ.).


შუმახერმა ჩემპიონატს ინტრიგა შეემატა.

...მსოფლიო ჩემპიონატის მე-13 ეტაპამდე ერთ თემაზე საუბრით საფორმულე სამყორო შეიშალა. საუბრის თემა "ფერარის" ტექნიკური დირექტორის როს ბრაუნის წლის ბოლოს სკუდერიელებთან შესაძლო განშორებაა. ბრაუნის სავარაუდო წასვლა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ არსებობს ალბათობა: ბრაუნს შესაძლოა უკან გაჰყვეს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი. საქმე ის არის, რომ მიხაელი და ბრაუნი 15 წლის განმავლობაში ერთად მუშაობენ.

სპეციალისტთა უმეტესობა იმასაც ამბობს, როს ბრაუნის წასვლა "სკუდერიელთა" შესაძლებლობებს დააკნინებსო.

...მისთვის წარმატებულ "უნგრეთის დიდ პრიზზე" მონაწილეობას არ მიიღებს BMW-ს მრბოლი ჟაკ ვილნევი. კანადელის ადგილს დაიკავებს გუნდის ტესტ-პილოტი რობერტ კუბიცა. მნიშვნელოვანია, რომ კუბიცა გახდება საფორმულე რბოლთა ისტორიის პირველი პოლონელი მესაჭე.

რამდენიმე სიტყვა ბუკმეიკერთა პროგნოზებზე. ისინი დარწმუნებული არიან, რომ გამარჯვება შუმახერს დარჩება - მიხაელის გამარჯვებაზე ჩასული ფსონები ორჯერ აღემატება ალონსოზე გაკეთებულ ფსონებს, ხოლო ექვსჯერ - "უნგრეთის დიდი პრიზის" შარშანდელ გამარჯვებულს რაიკონენს.

## ინფოთეკა

### ფერგიუსონი ნახევარდაცვას უყურებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი აღიარებს, რომ კლუბი დაინტერესებულია "ვილიარეალის" ნახევარმცველის მარკო სენას შეძენით.

"გვინდა ჩვენს რიგებში თამაშობდეს სენა, მაგრამ ჩვენი ინტერესების არეალში კიდევ არაერთი ცნობილი ფეხბურთელიც შედის. ვცდილობთ გამოვნახოთ სხვადასხვა ვარიანტი იმისთვის, რომ გავაძლიეროთ ნახევარდაცვა. ვიმედოვნებ, მომავალ კვირას საკითხთან დაკავშირებით ყველაფერი გარკვეული იქნება", ბი-ბი-სისთან ინტერვიუში აცხადებს ფერგიუსონი.

### ბეკენბაუერი პატრულის მტერი ყოფილა

ადმინისტრაციულმა სასამართლომ სამსახურიდან დაითხოვა მიუნხენის პოლიციის ობერკომისარი, რომელმაც სიჩქარის გადაჭარბების გამო ჯარიმა არ გამოუწერა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტისა და კლუბ "ბავარიის" პრეზიდენტს ფრანც ბეკენბაუერს.

42 წლის ობერკომისარი, რომელიც, ამავე დროს, კლუბ "ბავარიის" საპატიო წევრია, 2005 წლის ზაფხულში ბეკენბაუერთან მანქანაში მყოფმა წესრიგის დარღვევაზე თვალი დახუჭა.

კერძოდ, ბეკენბაუერმა სიჩქარეს გადააჭარბა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა პატრულს და გააჩერა. როდესაც საბუთები მოთხოვეს, ობერკომისარმა ბეკენბაუერის ნაცვლად საკუთარი საბუთები წარუდგინა კოლეგებს. ამასთან, პატრულს განუცხადა, რომ სიჩქარის გადაჭარბების მიზეზი თვითონ იყო - დავალებაზე მეჩქარებოდა და ბეკენბაუერი დამეხმარაო.

მოსამართლე კორნელია ზაუტერ-შვარცმაიერის განცხადებით, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება მძიმე დანაშაულია და მისი ჩამდენი სასწრაფოდ უნდა დავითხოვოთ სამსახურიდანო.

სასამართლომ გაითვალისწინა, რომ კანონდამრღვევი პოლიციელი ადრეც შეუმჩნევიათ მსგავს ქმედებაში. კერძოდ, შარშან, 10 ივნისს, პოლიციის ფოტოაპარატს "ბავარიის" სამსახურებრივი გაჩერების სიახლოვეს დაუფიქსირებია ბეკენბაუერი. ჯარიმისგან თავის დაღწევაში "ბავარიის" პრეზიდენტს მაშინაც ხსენებული ობერკომისარი დახმარებია. ოღონდ მაშინ იოლად გამოძვრა - 8-თვიანი პირობითი სასჯელი და არც პოლიციიდან დაუთხოვიათ.

### ამერიკელებმა არაამხანაგურად დაამარცხეს პუერტორიკოელები

კალათბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ ამერიკის ეროვნულმა ნაკრებმა პირველი ამხანაგური მატჩი გამართა პუერტორიკოს ნაკრებთან. აშშ-ის ნაკრებმა პუერტორიკოელები 114:69 დაამარცხა. ამერიკელებიდან ყველაზე შედეგიანები იყვნენ კარმელო ენტონი (18 ქულა) და დუეინ ვეიდი (14). მსოფლიო ჩემპიონატი 19 აგვისტოს აიღებს სტარტს. მასპინძელი იაპონიაა.

### პაკიაო ცოტასაც იჩხუბებს და წავა

ცნობილმა ფილიპინელმა მოკრივემ მენი პაკიაომ განაცხადა: პროფესიულ რინგზე კიდევ რამდენიმე ორთაბრძოლის ჩატარება მაქვს განზრახული და კარიერასაც დავამთავრებო.

"შესაძლოა, ორი ორთაბრძოლის შემდეგ საბოლოოდ დავასრულო კარიერა. მინდა თავად ვუხელმძღვანელო საკუთარ საწარმოს".

პაკიაოს საკუთრებაში არსებულ კომპანიებს შორისაა ფარმაცევტული ფირმა, სურსათის მაღაზია, მეფრინველეობის ფერმა და ლატარია. ფილიპინელ მოკრივეს არ სურს რინგიდან ისე წავიდეს, რომ შერყეული ჰქონდეს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რადგან რინგს მიღმა ცხოვრებიდანაც სიამოვნების მიღება უნდა.

18 ნოემბერს პაკიაო სამ სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონს ერიკ მორალესს უნდა შეხვდეს, მერე კი, იმის მიუხედავად, თუ როგორ დასრულდება შეხვედრა, რევანშის აღება სურს პირველ მსუბუქ წონაში WBC-ს ჩემპიონ მარკო ანტონიო ბარერასთან, რომელმაც 2003 წლის 15 ნოემბერს სან ანტონიოში დაამარცხა.

# ფესტივალი "ახალი ტალღა"

ლევან შანშიაშვილი

2005 წელს, 8 აგვისტოს, ბათუმში პირველად ჩატარდა როკ-ფესტივალი "ახალი ტალღა". ჯგუფები: "ბექა და ათინა", Young Georgian Lolitaz, Green Mama, "ნიჟარა" და რამდენიმე სხვა პირველები იყვნენ, ვინც ეს ფესტივალი გახსნეს. ფესტივალი კლუბ "კოორდინატ 41/41"-ში ჩატარდა. ითვლება, რომ ფესტივალმა წარმატებით ჩაიარა. წელს კი ფესტივალი ორი დღის მანძილზე გრძელდებოდა (29-30 ივლისი). შარშანდელთან შედარებით ჯგუფებიც მეტი იყო. ყველაფერი ღამის მატარებელში დაიწყო. ჯგუფები ერთად მიემგზავრებოდნენ ფესტივალზე. წარმოიდგინეთ ერთი ვაგონი, რომელშიც ყველა ყველაფერზე უკრავს, აკუსტიკური გიტარა და, რა თქმა უნდა, ბევრი სასმელი. დილაუთენია ბათუმში ჩასულებს მალევე, დაახლოებით 3 საათში, მისცეს სასტუმროს ნომრებში შესვლის უფლება და მუსიკოსები ე.წ. საუნდ-ჩეკზეც დაიბარეს სასწრაფოდ. რამდენიმე ჯგუფმა, მათ, ვინც მატარებელში გამოიძინეს და ცოტა ხნით გამოაკლდნენ მხიარულებას, ხმის გასასწორებლად შეძლეს მისვლა. ამასობაში საღამოს 9 საათიც მოვიდა, მაგრამ კონცერტი არ იწყებოდა. არაპუნქტუალური ორგანიზატორები ხალხის მოსვლას ელოდნენ და ფესტივალის გახსნა ერთი საათით დააგვიანეს.

პირველად სცენაზე ჯგუფი "ბექა და ათინა" (ბათუმი) ავიდა, რამდენიმე სიმღერა შეასრულეს და კონცერტიც დაიწყო. ამ დღესვე გამოვიდნენ ჯგუფები "ქართული ვერსია" (ქუთაისი), და რამდენიმე სხვა. პირველმა დღემ სწრაფად ჩაიარა. ორგანიზატორების თქმით, ჰედლაინერი ჯგუფები მეორე დღისთვის შემოინახეს.

ფესტივალის მეორე დღეს საიდანღაც გამოჩნდნენ ბათუმელი თუ თბილისელი პანკები, გოთები, მეტალისტები და ღიპიანი ბიძები. ენერგიაც შეიცვალა, როცა სცენაზე რობი კუხიანიძე ჯგუფ "აუტსაიდერთან" ერთად ავიდა. ხალხი ამოძრავდა. ასე ვთქვათ, რობის ექსპრომტად შექმნილმა მუსიკამ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ყველას, რომ ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერ აპარატურაზე შეიძლება დაკვრა. რობიმდე ვიღაც რეპერები ცდილობდნენ "აეგდოთ" ხალხი, მაგრამ... კონცერტი ჯგუფმა "ვიტამინმა" გააგრძელა. მათ სამი წლის წინ ბაკურ ბურდულთან ერთად ჩაწერილი ჰიტი - "რეკორდი" შეასრულეს და, ასე ვთქვათ, წარმატებულად დაუკრეს პროგრამა. ჯგუფი String-იც იყო ამ ფესტივალზე. მათაც გვიან მოუხდათ სცენაზე ასვლა. სულ რაღაც 50 კაცილა იყო დარჩენილი, მაგრამ მეგობრები მათ ამხნევებდნენ. ჯგუფ "ვიტამინის" წევრებმა სცენაზეც მოახერხეს ასვლა და ვოკალისტ დათო ლომიძესთან ერთად იმღერეს უკვე გაჰიტებული სიმღერა "ჩვენ ერთი გუნდი ვართ".

ტრადიციულად კარგად "გახერხეს" ჯგუფმა Nina's Dimention-მა. "ტელესკოპმა" კი ჯერ ხალხი მოიზიდა, შემდეგ ერთფეროვანი სიმღერებით გაყარა. ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორიც ავიდა სცენაზე ჯგუფ "ნიჟარასთან" ერთად. საშინელი მუსიკა იყო. სტუმრებიდან ვიღაცამ წამოიძახა: "როგორც საშინლად დაგვხვდა, ისევე საშინლად მღერისო". ალბათ მართალიც იყო, რადგან ჩასვლისთანავე მუსიკოსებს მარტო კარაქიანი პური დახვდათ და ორი დღე სულ ეს ეკერათ პირზე. სიმღერაც არის და სიმღერაც. ეს ხომ უბრალოდ რეჩიტატივი იყო. კარგი იქნებოდა, ეს რეჩიტატივიც კარგად წაეკითხა. მოკლედ, ძირითადად დემონების, ერთლარიანებისა და ინდუსტრიის თაობაზე "მღეროდა".

ცოტა ხანში ლადო ბურდულმაც დაუძახა თავისი ჯგუფის წევრებს. "ნიჟარის" გამოსვლის შემდეგ მას მსმენელთა მწირი რაოდენობაღა დარჩა. ფესტივალი "სახაშე" - ეს იყო პირველი, რაც მან სცენაზე ასვლისთანავე თქვა და ფაქტობრივად პროგრამის დამთავრებამდე გარკვევით სხვა არაფერი უთქვამს.

თუ შარშან ყველა, ასე თუ ისე, კმაყოფილი იყო, წელს მხოლოდ რამდენიმე პანკმა ისიამოვნა. იმედია, მომავალ წელს ორგანიზატორები პირველ რიგში ჯგუფების აზრს გაითვალისწინებენ და, შესაბამისად, ფესტივალიც წარმატებით ჩაივლის.



რობი კუხიანიძე.



ლადო ბურდული.



ჯგუფი "ვიტამინი".



"სტრინგი".

# გერმანელი ექსპრესიონისტის სურათი

გერმანელი ექსპრესიონისტის ერნესტ კირხნერის სურათი - "ბერლინის ქუჩის სცენა", რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დააბრუნეს ომამდელმა მფლობელებმა, ნიუ იორკის კრისტის აუქციონზე იქნება გაყიდული. ექსპერტები სურათს აფასებენ 18-25 მილიონ დოლარად. აუქციონი შედგება 2006 წლის 8 ნოემბერს.

"ქუჩის სცენა", რომელიც მხატვარმა 1913 წელს შექმნა, 1936 წლამდე ეკუთვნოდა ეროვნებით ებრაელი გერმანელი კოლექციონერის ოჯახს. ნაცისტებმა კირხნერის სურათი "დეგენერატობად" აღიარეს და მუზეუმებში და საზოგადოებრივ შეკრებებზე მისი გამოფენა აკრძალეს. 1980 წლამდე ის ხელიდან ხელში გადადიოდა. შემდეგ გერმანიის მთავრობამ შეისყიდა ბერლინის მუზეუმისთვის, თუმცა კოლექციონერის შთამომავალმა დაამტკიცა, რომ სურათი მათ ოჯახს ეკუთვნოდა.

კირხნერის ეს ნამუშევარი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სურათია, რომელიც მან მისი კარიერის აღმავლობის დროს დაწერა. თუმცა მხატვარმა ნაცისტების ზეწოლის გამო 1938 წელს თავი მოიკლა. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს აუქციონებზე მხოლოდ ორმა სურათმა მოხსნა რეკორდი. ესენია: ეგონ შილერის ნამუშევარი, რომელიც 21,6 მილიონ დოლარად გაიყიდა და გუსტავ კლიმატის სურათი (135 მილიონი). ორივე ეს სურათი არც ისე დიდი ხნის წინ დაუბრუნდათ ომამდელ მფლობელებს.



# "ა-სტუდიოს" გიტარისტი ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა

რამდენიმე დღის წინ მოსკოვში მომხდარი ავტოავარიის შესახებ, რომლის დროსაც "მიცუბიშის" მარკის ჯიპი და "კამაზი" შეეჯახნენ ერთმანეთს, ალბათ ვერავინ გაიგებდა, "მიცუბიშის" საჭესთან ცნობილი რუსული ჯგუფის "ა-სტუდიოს" ერთ-ერთი წევრი ბაგლან სადვაკასოვი რომ არ მჯდარიყო. მუსიკოსი ავტოავარიის შედეგად ადგილზევე გარდაიცვალა. მასთან ერთად დაიღუპა მგზავრიც.

შემთხვევა 2 აგვისტოს, დაახლოებით დღის ორ საათზე მოსკოვის ერთ-ერთ ტრასაზე მოხდა. სამაშველო ჯგუფის ინფორმაციით, მგზავრების გადარჩენა შეუძლებელი იყო, რადგან "მიცუბიში" შეტაკებისთანავე ცეცხლმა მოიცვა. თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ ავტოავარიაში დამნაშავე იყო სადვაკასოვი, რომელმაც ვერ მოასწრო შუქნიშანთან მდგარი სატვირთო მანქანის უკან დამუხრუჭება.

ბაგლან სადვაკასოვი "ა-სტუდიოს" ჯერ კიდევ მაშინ შეუერთდა, როდესაც ჯგუფი ალმა-ატაში მოღვაწეობდა. იგი ჯგუფის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად ითვლებოდა. ბოლო დროს უილბლობა მის თანამდევად იქცა. იანვარში დასასვენებლად შრილანკაზე გაემგზავრა. უკანა გზაზე თვითმფრინავს, რომელშიც ბაგლანი დანარჩენ რუს ტურისტებთან ერთად იჯდა, ცეცხლი მოედო და მფრინავი იძულებული გახდა ავარიული დაჯდომა განეხორციელებინა. "როგორც ჩანს, ჩვენი სიმღერა Улетаю წინასწარმეტყველებასავით იყო. თვითმფრინავის სალონში საშინელი პანიკა ატყდა, ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა, ირგვლივ ბოლი იდგა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა", - ამბობდა მოსკოვში დაბრუნებული სადვაკასოვი. მის ცხოვრებაში მომხდარი მორიგი კატასტროფა კი მისთვის ფატალური აღმოჩნდა.

ბოლო დროს ჯგუფი დიდ წარმატებებს აღწევდა. გამოუშვეს რამდენიმე ახალი ჰიტი. ბევრს მუშაობდნენ სტუდიაში და დიდ დროს უთმობდნენ საკონცერტო მოღვაწეობასაც. ბეგლან სადვაკასოვთან ერთად ბოლოს ჯგუფი იურმალას ფესტივალ "ახალ ტალღაზე" გამოვიდა. სადვაკასოვი ჯგუფის წევრებისა და მსმენელის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა. მასზე ხშირად ხუმრობდნენ იმის გამო, რომ ძალიან დაბნეული იყო და ბევრჯერ ჩავარდნილა სასაცილო სიტუაციაში.

ერთ შემთხვევას კი სადვაკასოვი განსაკუთრებულად იხსენებდა: ლონდონში, სტუდია "მეტროპოლისის" შესასვლელთან, შემთხვევით დევიდ გილმორს შეეჯახა. "ახლა შემიძლია მშვიდად მოვკვდე - საკუთარი თვალით ვნახე გილმორი", - აღნიშნა მუსიკოსმა.

"ა-სტუდიო" 1987 წელს ალმა-ატაში შეიქმნა. თავიდან "ალმატა" ერქვა, შემდეგ "ალმატა-სტუდიო" დაარქვეს. ბეგლან სადვაკასოვი ჯგუფს მოგვიანებით შეუერთდა და მის მუდმივ წევრად იქცა.

კარიერის დასაწყისში ჯგუფი ექსპერიმენტებს მიმართავდა. ძალები მოსინჯა ფიუჟენსა და ნიუ-ვეივში, თუმცა არც ეროვნული მუსიკა დავიწყებიათ. 1989 წელს "ა-სტუდიო" მოსკოვში ალა პუგაჩოვამ თავის თეტრში მიიწვია, სადაც ხუთი წელი იმუშავეს. ამ პერიოდში ჯგუფს ნამდვილი წარმატება ეწვია. სიმღერები "ჯულია", "თეთრი მდინარე" და "სტოპ, ლამე" რუსული მუსიკალური ბაზრის ჰიტებად იქცა.

"ა-სტუდიო" წარმატებით დადიოდა გასტროლებზეც საფრანგეთში, ესპანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. რამდენიმე წლის წინ ჯგუფმა აიყვანა ქალი მომღერალი პოლინა გიფისი, რომელმაც "ა-სტუდიოს" სტილი და მიმართულება მკვეთრად შეცვალა. თუმცა 2004 წელს მან სოლო კარიერის გაგრძელება გადაწყვიტა და ადგილი ქეთა თოფურიას დაუთმო.

ბეგლან სადვაკასოვს სამშობლოში გადაასვენებენ და ალმა-ატაში დაკრძალავენ.



მოკლედ

## ნიკოლსონის და ფრიმენის დუეტი

ცნობილი კინომსახიობების, ჯეკ ნიკოლსონისა და მორგან ფრიმენის ვარსკვლავური დუეტი რეჟისორის რობ რაინერის ახალ ფილმში შედგება.

ახალი ფილმის გადაღებები ოქტომბერში დაიწყება პრემიერა კი 2007 წლისთვისაა დაგეგმილი. როგორც რეჟისორი აღნიშნავს, მას ჯეკ ნიკოლსონთან ფილმში "რამდენიმე კარგი ბიჭი", თანამშრომლობის გამოცდილება აქვს და საკმაოდ წარმატებული ალიანსი გამოვიდა.

სურათი ორი დაავადებული მამაკაცის შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც გადაწყვეტენ სიკვდილის წინ საბოლოო სურვილის ასასრულებლად საავადმყოფოს კედლები დატოვონ და სამოგზაუროდ წავიდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ზორინი - კანიბალის მსხვერპლი

რუსი რეჟისორი, დოკუმენტალისტი ევგენი ზორინი კანიბალის მსხვერპლი გახდა.

29 წლის კრასნოდარის მცხოვრები ალექსანდრე პოიარკოვი დანაშაულში უკვე გამოტყდა. სამართალდამცავებმა ჩატარებული ჩხრეკის შედეგად გაარკვიეს, რომ დოკუმენტალისტთან მკვლელს მისსავე ბინაში შელაპარაკება მოუვიდა. პოიარკოვმა მსხვერპლს დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემდეგ მისი გვამი დაანაწევრა.

მკვლელობის შესახებ ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ საკანალიზაციო მილებში ადამიანის სხეულის ნაწილები აღმოაჩინა, რომელიც ზორინს ეკუთვნოდა. მის ბინაში სხეულის სხვა ნაწილებიც აღმოჩნდა, რომლებსაც, როგორც გამოძიებამ დაადასტურა, მკვლელი საკვებად იყენებდა. ევგენი ზორინი კინორეჟისორთა კავშირის გილდიის წევრი იყო და რუსეთის პროვინციების შესახებ დოკუმენტურ ფილმებს იღებდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კლასიკურ სტილში შესრულებული ალბომი

ცნობილმა მუსიკოსმა პოლ მაკარტნიმ, თავის ახალ, ლათინურენოვან ალბომზე მუშაობა დაასრულა. ალბომს სათაურიც ლათინური აქვს, "ესსე კორ მეუმ" და იგი 26 სექტემბრიდან გაიყიდება.

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 22 ივლისს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და შესყიდვის ობიექტს დაემატოს 2 ლოტი (პოზიცია):

3. ლოტი - ვარკეთილი, შუამთის ქუჩა, ჯავახეთის ქუჩა, ვარკეთილის ზემო პლატო, III მასივის I, III, IV, VI, VII, VIII, IX, X კვ, - 20 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 19 ძირი II კატეგორიის ხის გადაბელვა, 405 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 235 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 36 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

4. ლოტი - ილია ჭავჭავაძის გამზირი, მუშთაიდის პარკის მიმდებარე ცაბაძის და მაიაკოვსკის ქუჩები - 7 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 186 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა, 62 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 17 ძირი I კატეგორიის ხის მოჭრა;

# განცხადება "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად

**1. ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1 100 ლარი);**
**2. ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის დირექტორი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1 100 ლარი);**
**3. ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის საერთაშორისო პროგრამების სამმართველოს უფროსი - 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი).**

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომში - კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- უცხო ენების ცოდნა;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი;
- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება და კომუნიკაბელობა.
- ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- უცხო ენების ცოდნა;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება;
- ანალიტიკური და ლოგიკური აზროვნების უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება და კომუნიკაბელობა.
- საერთაშორისო პროგრამების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:
- უმაღლესი განათლება;
- უცხო ენების ცოდნა;
- კომპიუტერული საოფისე პროგრამების ცოდნა;
- ორგანიზნაწატორული უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაბელობა.

კონკურსს ატარებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. შრომის წიგნაკის ასლი დედანთან ერთად (არსებობის შემთხვევაში);
4. ორი ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
5. საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა აგრეთვე უნდა წარმოადგინონ სამოტივაციო წერილი:
- ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე - კულტურის სფეროს მართვის გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი ქმედებებისა და რეფორმების შესახებ.
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობაზე - კულტურის რეგიონული პოლიტიკისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ.
- საერთაშორისო პროგრამების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე - ქართული კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციისათვის აუცილებელი ქმედებების შესახებ.

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში 10-დან 18 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი ჩატარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირის განმალვობაში.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები ("საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: თბილისი, მარჯვენა სანაპიროს ქ. №4. ტელ: 99-54-59; 98-74-31; 98-74-30.

*საჯარო სამსახურის ბიურო*

# შპს "საქართველოს ფოსტა" ატარებს კომერციულ კონკურსს შპს "საქართველოს ფოსტის" ბალანსზე რიცხული ფართების ქირავნობის წესით გაცემის მიზნით

ქირავნობით გაიცემა შემდეგი ფართები:
1. ფილიალ "ფოთის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 13 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 3.85 ლარს (სულ: 50.05 ლარი);
2. ფილიალ "მესტიის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 15 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 2.0 ლარს (სულ: 30 ლარი);
3. ფილიალ "ახმეტის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 12 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 2.5 ლარს (სულ: 30 ლარი);
4. ფილიალ "ლაგოდეხის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 8 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 5.0 ლარს (სულ: 40 ლარი);
5. ფილიალ "საჩხერის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 26 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 2.0 ლარს (სულ: 52 ლარი);
6. ფილიალ "ზესტაფონის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 30 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 4.0 ლარს (სულ: 120 ლარი);
7. ფილიალ "ბორჯომის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 20 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 7.5 ლარს (სულ: 150 ლარი);
8. ფილიალ "ხაშურის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 20 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 3.5 ლარს (სულ: 70 ლარი);
9. ფილიალ "ჩოხატაურის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 15 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 3.0 ლარს (სულ: 45 ლარი);
10. ფილიალ "მარტვილის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 15 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 2.0 ლარს (სულ: 30 ლარი);
11. ფილიალ "ბათუმის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 6 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 15.0 ლარს (სულ: 90 ლარი);
12. ფილიალ "ხაშურის ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 19 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 3.5 ლარს (სულ: 66.50 ლარი);
13. ფილიალ "ჩხოროწყუს ფოსტის" ადმინისტრაციულ შენობაში 12 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 5.0 ლარს (სულ: 60 ლარი);
14. ფილიალ "სამტრედიის ფოსტის" სოფ. დიდი ჯიხაიშის საფოსტო განყოფილებაში 22 კვ მ არასაცხოვრებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 5.0 ლარს (სულ: 110 ლარი);
15. ფილიალ "აჭარის ფოსტის" შუახევის საფოსტო განყოფილებაში 25 კვ მ თავისუფალი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 2.00 ლარს (სულ: 50 ლარი);

16. შპს "საქართველოს ფოსტის" ფილიალ "თბილისის ფოსტამტის" №62 საფოსტო განყოფილებაში 55 კვ მ გამოუყენებელი ფართი. საწყისი საიჯარო ქირა 1 კვ მ ფართზე შეადგენს 40.00 ლარს (სულ: 2.200 ლარი).

ფასები წარმოდგენილია დღგ-ს გარეშე.

დამატებითი პირობები:
1. ხელშეკრულების გაფორმებისას გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია სამი თვის ვადაში ჩაატაროს მიმდინარე და სარემონტო სამუშაოები მის მიერ ქირავნობის წესით დროებით სარგებლობაში აღებულ ფართში გამქირავებელთან შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ხოლო რემონტზე გაწეული ხარჯები გამქირავებლის მიერ არ ანაზღაურდება;
2. ხელშეკრულების გაფორმებისას გამარჯვებული პრეტენდენტი შპს "საქართველოს ფოსტის" სალაროში წინასწარ იხდის სამი თვის ქირავნობის გადასახადს.

კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 21 აგვისტოს 16 საათზე შპს "საქართველოს ფოსტის" სათაო ოფისში მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მ. №2.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 20 ლარს, რომელიც მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს შპს "საქართველოს ფოსტის" სალაროში.

კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყება 7 აგვისტოდან 10-დან 18 საათამდე და დასრულდება 18 აგვისტოს 18 საათზე.

კონკურსში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ:
1. განაცხადი;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
3. გადახდის ქვითარი (გამოცხადებული ყოველთვიური ქირის 10%-ს პრეტენდენტი იხდის ბე-ს სახით ბილეთის საფასურთან ერთად ფოსტის სალაროში);
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს, ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
5. კონკურსი ჩატარდება ღია წესით და იმავე დღეს გამოცხადდება გამარჯვებული ფიზიკური თუ იურიდიული პირი;
6. აუცილებელია პრეტენდენტის დასწრება კონკურსზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიერ შემოტანილი განაცხადი არ დაექვემდებარება განხილვას და არ ანაზღაურდება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბილეთის ფასი;
7. პრეტენდენტთა წინადადებების შეფასებისას უპირატესობა მიენიჭება იმ პირთა განაცხადებს, რომლებიც კონკურსის ჩატარების დღეს შემოგვთავაზებენ საწყის ღირებულებასა და სხვა კონკურსის მონაწილე პირებზე მეტი საფასურის გადახდას;
8. ხელშეკრულება მხარეებს შორის გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენიდან 10 დღის ვადაში;
9. დამქირავებელი ვალდებულია საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციის (რეალიზაციის) შემთხვევაში შეწყვიტოს საწარმოს (აღნიშნული ფართის) პრივატიზაციამდე (რეალიზაციამდე) საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმების გადახდის გარეშე, რაც ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის საკონკურსო (სააუქციონო) და სახელშეკრულებო პირობებშია.

დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ მიმართონ შპს "საქართველოს ფოსტის" საკონკურსო კომისიას მისამართზე: ვაგზლის მ. №2. ტელ.: 966009, 340029.

*შპს "საქართველოს ფოსტა"*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სპორტული ინვენტარის შესყიდვაზე.**

**საქონლის აღწერილობა:**

| | საქონლის დასახელება | აღწერილობა | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | კრივის რინგი | სტანდარტული, პროფესიონალური | 3 ცალი |
| 2 | კალათბურთის ფარები, ძელებით ტაბლოთი | სტანდარტული, პროფესიონალური | 3 წყვილი |
| 3 | ძიუდოს ტატამი | სტანდარტული, პროფესიონალური | 3 ცალი |
| 4 | საჭიდაო ხალიჩა | სტანდარტული, პროფესიონალური | 3 ცალი |
| 5 | ხელბურთის კარები, ბადით | სტანდარტული, პროფესიონალური | 2 წყვილი |
| 6 | ფრენბურთის ძელები, ბადით | სტანდარტული, პროფესიონალური | 1 წყვილი |
| 7 | ტაბლო | სტანდარტული, პროფესიონალური | 1 ცალი |
| 8 | მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა | პროფესიონალური, წვიმა გამძლე | 8 ცალი |
| 9 | სტრიდბოლის კარები, ძელებით | სტანდარტული, პროფესიონალური | 4 ცალი |

- დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეუძლიათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარის წარმოდგენის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49/ა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სატენდერო კომისიის აპარატში **2006 წლის 25 აგვისტოს 17:00 საათამდე.**

- პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით **2006 წლის 28 აგვისტოს 11:00 საათიდან 17.00 საათამდე**, ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირისათვის:**
- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან)
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმისწარმოება (ცნობას სასამართლოდან)

**ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობას ქმედითუნარიანობის შესახებ (ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილების მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საბანკო რეკვიზიტები)
- ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ ქონის შესახებ.
- საკვალიფიკაციო მონაცემების მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც.
- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**- სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:**

*მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში*

*სახაზინო კოდი - 302003000*

*ანგ. N200122900 საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107*

*გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი.*

- შესყიდვების პროცესში, კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი.
- ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.
- ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 28 აგვისტოს 17:00 საათზე.**

**- სატენდერო წინადადების შეფასება მოხდება 29 აგვისტოს.**

- საქონლის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან **60** კალენდარული დღე.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ

**ირაკლი სამყურაშვილი 899 77-71-03**

**თენგიზ ღურწკაია 899 22-92-80**

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური (ქ. თბილისი, გ.ცაბაძის ქ.N8, სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი, კოდი N220101502 ანგარიშის N145530800, საიდენტიფიკაციო კოდი 202195070) აცხადებს ტენდერს ქალაქ თბილისში ქუჩებისა და მოედნების საგზაო მონიშვნის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია 120000 გრძივი მეტრი საგზაო მონიშვნის სამუშაოები.

2. მიწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 30 ოქტომბრამდე.

3. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, უცხო ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე) და წარმოდგენილი იქნეს სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 25 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 25 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, გ.ცაბაძის ქ.N8, IV სართული, ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას
- იურიდიულ პირთათვის:
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
- ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
- ფიზიკური პირისათვის:
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთათვის:
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ინფორმაციას არაუმეტეს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ (სამუშაოების მითითებით).
- ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (აუდიტორული დასკვნა)
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

**შენიშვნა:** არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

5. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის ქვითრის წარმოდგენის შემდეგ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი N220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006Qწლის 5 აგვისტოს 12 საათიდან 2006 წლის 24 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი გ.ცაბაძის ქ.N8, IV სართული, ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, სატენდერო კომისიის აპარატი.

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნესტორ არჩუაძე - საკონტაქტო ტელეფონი 34 61 28, პაატა ლასურაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 34 09 81

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო" (ქ. თბილისი, გ.ცაბაძის ქ.N8, სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N400467860) მოწყობილობა-დანადგარების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 ლოტად:

**I ლოტი - 3 ცალი ავტოსარეცხი აპარატი;**

**II ლოტი-3 ცალი კომპრესორი კომპლექტაციით;**

**III ლოტი- 3 ცალი უკამერო საბურავის დასაშლელი მოწყობილობა(უნივერსალური, R15-დან R24-მდე), 3 ცალი საბურავის სარემონტო კომპლექტი, 3 ცალი პნევმატური ქანჩგასაღები, 3 ცალი მექანიკური ამწე (დომკრატი).**

**IV ლოტი- 3 ცალი გენერატორი.**

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის ვადაში. ტენდერში გამარჯვებულმა მოწყობილობა-დანადგარების მიწოდება უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისში შემდეგ მისამართებზე: ხევძმარის ქ. N1, ჟორესის ქ. N7 და სარაჯიშვილის ქ.N23.

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველი მოსაკრებლის 200ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ(სს საქართველოსბანკისცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N400467860) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებას შეძლებს 2006Qწლის 5 აგვისტოს 10 საათიდან 25 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ.N8 II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

4. პრეტენდენტმა ტენდერში მონაწილეობის სურვილის განაცხადი უნდა წარმოადგინოს 2006 წლის 29 აგვისტოს 10 საათიდან 30 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ცაბაძის ქ. N8 II სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. წარმოდგენილ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დახურულ კონვერტში მოთავსებული სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილს უნდა ერთვოდეს ქართულ ენაზე ნოტარიულიდ დამოწმებული თარგმანი) და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი და 3 Aასლი).

5. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

5.1 იურიდიულ პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის წევრებს: დ. ენუქიძე მობ: 877747797; ზ.შენგელია, ტელეფონი 34-10-29 მობ: 899 909-303.

*სატენდერო კომისია*

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს მანქანა-მექანიზმებისა და დაზგა-დანადგარების შეკეთების მომსახურების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე: ქ. თბილისი, თამარ-მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ოთხ ლოტად ***მანქანა-მექანიზმებისა და დაზგა-დანადგარების შეკეთების მომსახურების*** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი:: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყივების სააგენტო, რის შემდგომაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტის № | მომსახურების დასახელება | რაოდ |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისში მანქანა-მექანიზმებისა და დაზგა-დანადგარების შეკეთება და ერთი წლის განმავლობაში ყველა სხვა თანამდევი ტექნიკური მომსახურება | 181 ც |
| 2 | ქ. ხაშურში მანქანა-მექანიზმებისა და დაზგა-დანადგარების შეკეთება და ერთი წლის განმავლობაში ყველა სხვა თანამდევი ტექნიკური მომსახურება | 82 ც |
| 3 | ქ. სამტრედიაში მანქანა-მექანიზმებისა და დაზგა-დანადგარების შეკეთება და ერთი წლის განმავლობაში ყველა სხვა თანამდევი ტექნიკური მომსახურება | 90 ც |
| 4 | ქ. ბათუმში მანქანა-მექანიზმებისა და დაზგა-დანადგარების შეკეთება და ერთი წლის განმავლობაში ყველა სხვა თანამდევი ტექნიკური მომსახურება | 64 ც |

3. შესრულების ვადა: მხარეთა შეთანხმებით.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება დალუქული კონვერტებით, ქართულ ან/და რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **30 აგვისტოს** 9სთ 00წთ-დან - 18 სთ 00 წთ-მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15. მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო. ***სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში.***

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. მსგავსი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტია, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ. მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. მსგავსი სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-იანი საბანკო გარანტია, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:**

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, მომსახურების განხორციელების ვადები.

2. ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდ. მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) ხარჯთაღრიცხვა (ნიმუში წარმოდგენეილი სატენდერო დოკუმენტაციაში) მომსახურების აღწერილობით.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 47 44; 56 51 85.

*სატენდერო კომისია*

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ინტელექტუალური მომსახურეობის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს ინტელექტუალური მომსახურეობის შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და ტექნიკური დავალება.

2. შესასრულებელი ინტელექტუალური მომსახურეობა:

*რკინიგზის ლიანდაგის მიმდინარე მოვლა-შენახვის ინსტრუქციის მე-2 ნაწილის შედგენა;*

*გამოცემა პოლიგრაფიულ დონეზე, ქართულად, შავთეთრი ვარიანტი, ზომა A-5, რაოდენობა-200 ეგზემპლარი.*

*შემდგენელი - საქართველოს ტექნიკური უნვერსიტეტი.*

*შესრულების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში;*

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება ქართულ ან/და რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **29 აგვისტოს** 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

*იურიდიული პირებისათვის :*

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. ინფორმაცია მსგავსი პროექტების შედგენის გამოცდილების შესახებ

*ფიზიკური პირებისათვის :*

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. ინფორმაცია მსგავსი პროექტების შედგენის გამოცდილების შესახებ.

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იყოს "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად სატენდერო წინადადების ღირებულების მითითების გარეშე.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ 56 33 51

*სატენდერო კომისია*

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ აკუმულატორების შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების ცვლილება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 18 ივლისს გამოცხადებულ **აკუმულატორების შესყიდვის შესახებ** სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს „საქრთველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლილება, კერძოდ ლოტ №1-ში დამატებული იქას:

1. აკუმულატორი 6სტ-190 - 8 ცალი;
2. აკუმულატორი 6სტ-140 - 45 ცალი;
3. აკუმულატორი 6სტ-132 - 55 ცალი;

რის მიხედვითაც შესყიდვის ობიექტი განისაზღვროს შემდეგნაირად:

| ლოტი | საქონლის დასახელება | რაოდ. |
|---|---|---|
| 1 | აკუმულატორი 6სტ-190 | 8 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-140 | 45 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-132 | 55 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-75 | 11 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-130 | 5 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-60 | 8 ც |
| | აკუმულატორი 6სტ-100 | 10 ც |
| | აკუმულატორი სსპ-100 | 350 ც |
| | | 350 ც |
| | აკუმულატორი სსპ-200 | 12 ც |
| | აკუმულატორი სსპ-400 | 48 ც |

შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოცხადებული აკუმულატორების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

*სატენდერო კომისია*

# ქალაქ თბილისის მთავრობა

TBILISI

დადგენილება № 19.15.381

„25" ივლისი 2006 წ.

# ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

"შპს ფირმა "ლისის ტბაზე", კაფე "ლისის ტბის" მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობის უფლებით დამაგრების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 21 თებერვლის №05.77.251 დადგენილებით, შპს ფირმა "ლისის ტბას" დაუმაგრდა კაფე "ლისის ტბის" მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთი დროებით სარგებლობის უფლებით. შპს ფირმა "ლისის ტბას" დაევალა, არსებული წესით, ერთი თვის ვადაში გაეფორმებინა ხელშეკრულება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტთან.

ქ. თბილისის მთავრობა მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 21 თებერვლის №05.77.251 დადგენილებით განსაზღვრული პირობებისა და მათი შესრულების მდგომარეობის გარკვევის მიზნით, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესები (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავი, 115-121-ე მუხლები), ხოლო იმავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 21 თებერვლის №05.77.251 დადგენილებით, შპს ფირმა "ლისის ტბისათვის" კაფე "ლისის ტბის" მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობის უფლებით დამაგრება, თავისი თანამდევი სამართლებრივი შედეგების გათვალისწინებით, სწორედ სახელმწიფო (მუნიციპალური) საკუთრების განკარგვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-53-ე მუხლების, 76-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის, 85-ე, 95-ე, 99-ე, 115-ე, 116-ე მუხლებისა და 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესი კოდექსის 22 მუხლის მე-3 ნაწილისა და "საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის №120 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის - ქ. თბილისის მერიის დებულების 64-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. "შპს ფირმა "ლისის ტბაზე", კაფე "ლისის ტბის" მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობის უფლებით დამაგრების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 21 თებერვლის №05.77.251 დადგენილების შესრულების მდგომარეობის გარკვევის მიზნით ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციამ უზრუნველყოს:

ა) წინამდებარე დადგენილების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება და დაინტერესებულ მხარეთათვის გადაგზავნა (გადაცემა);

ბ) "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მოთხოვნების გათვალისწინებით, საქმესთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარის მოწვევა ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

3. წინამდებარე დადგენილება ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

*ქ. თბილისის პრემიერი თემურ ქურხული*

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №16
5-6 აგვისტო, 2006



ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო - საქართველომდე და საქართველოს შემდეგ

## ინტენსიური თერაპია საგანძურისთვის

2

## 100 გრამი
6



მთვრალი ბედის სიმღერა

## უახლესი ისტორია
8

პრეზიდენტ გამსახურდიას გადასვენება გროზნოში



## დროთა კავშირი
10




წმინდა სიცრუე

მაია ჭალაგანიძე

# ინტენსიური თერაპია საგანძურისთვის

*პარიზში დავით ლორთქიფანიძის ვიზიტის შემდეგ გადაწყდა: მთელი საფრანგეთის მთელი სამუზეუმო პოლიტიკის განმსაზღვრელი, მთელი საფრანგეთის კულტურული მემკვიდრეობის მთავარი მკვლევარი, კონსერვაციის მთავარი სპეციალისტი და საფრანგეთის მუზეუმების კვლევითი და სარესტავრაციო ცენტრის დირექტორი საქართველოს ეწვეოდა და უძველესი კულტურის, მაგრამ მწირი სამუზეუმო გამოცდილების მქონე ქვეყანას დაეხმარებოდა. ქალბატონ ქრისტიანე ნაფას დმანისში, პირველი ევროპელების მიწაზე შევხვდი.*

## მანამდე

ორი წლის წინ დათო ლორთქიფანიძემ ინტერვიუში გვითხრა, **"ქვეყანას პოლიტიკურ მნიშვნელობას მხოლოდ პოლიტიკოსები არ ანიჭებენ, პირველი ევროპელები, ოქრომრავალი კოლხეთი - ერთად ეს ქვეყნის უძლიერესი ბრენდიაო".** ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენი მოსწავლეებისთვის მუზეუმში ექსკურსია ყველაზე მოსაწყენი რამ იყო, არქეოლოგიური გათხრები კი მათთვის ბოლო 15 წლის განმავლობაში ისევე ხელმიუწვდომელი გახლდათ, როგორც საოცნებო "დისნეი-ლენდი". ამიტომაც საქართველოს ეროვნულ მუზეუმის გენერალური დირექტორის, პროფესორ დავით ლორთქიფანიძის ის სიტყვები ცოტათი ფანტაზიის სფეროდან გვეჩვენა. დღეს სულაც არ არის ფანტაზია ის, რომ ეროვნულ მუზეუმში ხშირ-ხშირად განახლებადი ექსპოზიციები ოქრომრავალი კოლხეთი იქნება ეს, პირველი ევროპელები თუ ხალიჩების კოლექცია - ყველა უძლიერესი ბრენდია და სულ მალე არც ის იქნება ფანტაზია, რომ ახალი თაობისთვის მუზეუმი ცოდნის შესაძენად ისეთივე მნიშვნელოვანი ადგილი გახდება, როგორიც ნებისმიერი (უფრო სწორად, კარგი) სკოლაა.

წლების განმავლობაში მუზეუმებში შექმნილი ვითარების, უფულობაზე მუდმივი წუწუნის და ხელისუფლებებისგან წყალობის მოლოდინის გამო დაირღვა ექსპონატების შენახვის პირობები, რამაც უნიკალური კოლექციები მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა.

## ახლა

დღეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში სარეკონსტრუქციო სამუშაოები რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს - შენობების, არსებული სისტემის და ექსპონატთა რეაბილიტაციის კუთხით. იქმნება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სარესტავრაციო და საკონსერვაციო ცენტრი. ამიტომ აუცილებელი გახდა მუზეუმების კოლექციების გადაადგილება, რისთვისაც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში სპეციალური საკოორდინაციო ჯგუფი შეიქმნა. ეს ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს მუზეუმის რესტავრატორებთან ტრანსპორტირებისას ექსპონატების უსაფრთხოება რომ დაცული იყოს. კონსულტაციებით იქმნება კოლექციების გადაადგილების დეტალური გეგმა, რათა მუზეუმის რეკონსტრუქციის დასრულებამდე საგანძური საკადრის პირობებში ინახებოდეს.

საკოორდინაციო ჯგუფი სპეციალურ დოკუმენტსაც ქმნის, სადაც ზუსტად იქნება გაწერილი ექსპონატების შეფუთვის, შენახვის, მოვლისა და დაცვის დეტალები. არსებული დოკუმენტის შექმნისას გამოიყენება ქრისტიანე ნაფას სპეციალური სახელმძღვანელო "კოლექციების კონსერვაციის პროგრამა".

**დავით ლორთქიფანიძე: ჩემთვის, პირადად, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რაც დღეს ქართულ ეროვნულ მუზეუმში ხდება. რაც დავიბადე ამ კოლექციების ტკივილი მესმის. ალბათ, მუზეუმის სხვა დირექტორებიც წუხდნენ ამაზე, მაგრამ კონკრეტული გეგმის რეალიზაცია, გეგმისა, თუ როგორ ვუშველოთ მუზეუმს, არ შემდგარა. დღეს ამის საშუალება გვეძლევა. გვყავს დიდი დონორი "ქართუ ჯგუფის" სახით. ჩვენ გვჭირდება მუზეუმის გადარჩენისა და მოვლის უზუსტესი გეგმა, მაგრამ არ გვაქვს თანამედროვე დაგეგმვის გამოცდლება. ქალბატონი ქრისტიანე ნაფა არის ადამიანი, რომელსაც აქვს კონკრეტული გეგმა პირველი წუთიდან და თუ ჩვენ ამას მივყვებით, შევქმნით სახელმძღვანელო მოდელს ქართული მუზუმებისთვის. ნებისმიერი სახელმძღვანელო აუცილებლად ადაპტირებული უნდა იყოს არსებულ პირობებთან და ადგილობრივ მუზეუმთან.**

**ეროვნული მუზეუმის ცვლილება - შენობების, სისტემის, სამუზეუმო ქუჩის განვითარების - ეს თავიდან ბოლომდე მომავლისთვის საჭირო დიდი ბიზნეს ქეისია. ამ ცვლილებების უმნიშვნელოვანესი პუნქტი იქნება კოლექციების მოძრაობა და სარესტავრაციო ლაბორტორიები. ეს იგივეა, ქვეყანას ინტენსიური თერაპიის ძლიერი ცენტრი რომ ჰქონდეს. ლაბორატორია მთელი საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას მოემსახურება. თუ დაჭირდება, ინტენსიური თერაპიის კურსი ნებისმიერ ექსპონატს ჩაუტარდება და ეს ყველაფერი თბილისში იქნება. თუ საფრანგეთში, მუზეუმების ქვეყანაში მხოლოდ ერთი ასეთი ცენტრი აქვთ, საქართველოს მასშტაბითაც საკმარისი იქნება.**



ქრისტიანე ნაფა.

## მადამ ნაფა

არაოფიციალურად უახლოეს მომავალში მას ლუვრის დირექტორობას უწინასწარმეტყველებენ. ქრისტიანე ნაფა საფრანგეთის კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მთავარი სპეციალისტი და საფრანგეთის მუზეუმების კვლევითი და სარესტავრაციო ცენტრის დირექტორია. ცენტრი საფრანგეთის ყველა მუზეუმს ემსახურება და განსაზღვრავს მუზეუმების პოლიტიკას კოლექციების კონსერვაციისა და რესტავრაციის მიმართულებით. ქალბატონი ნაფა, სხვადასხვა წლებში იყო არაბული კულტურის ინსტიტუტის მუზეუმის დირექტორი, საფრანგეთის მუზეუმების მთავარი რესტავრატორი, ლუვრის აღმოსავლეთის ხელოვნების განყოფილების კონსერვაციის სპეციალისტი, უშუალოდ ხელმძღვანელობდა "კე ბრანლის" მუზეუმის შექმნას და შემდგომში მისი დირექტორი გახლდათ. "კე ბრანლი"-ს შექმნა ჟაკ შირაკის საპრეზიდენტო პროექტი იყო, რომელიც გამოჩენილი არქიტექტორის, ჟაკ ნოელის დაპროექტებულია.

სწორედ ამ პროექტის წარმატებულად განხორციელების შემდეგ, ქრისტიანე ნაფამ შექმნა სპეციალური სახელმძღვანელო კოლექციების პრევენციული კონსერვაციის, რესტავრაციისა და შენახვის, ასევე მათი ტრანსპორტირების, შეფუთვის წესების შესახებ.

**"მრავალი პროექტი მქონია სხვადასხვა ქვეყანაში. მონაწილეობა მიმიღია კოლექციების შეფასება-ექსპერტიზაში აზიაში, სამხრეთ ამერიკაში და სხვაგანაც, მაგრამ მუზეუმის შექმნის პროექტის ფარგლებში კოლექციების შეფასებასა და სარესტავრაციო-საკონსერვაციო ცენტრის ჩამოყალიბებაში პირველად მიხდება მონაწილეობა. ჩამოვედი, რათა პირადად მენახა კოლექცია და აქ მუშაობის გადაწყვეტილება ისე მიმეღო. ვნახე არამხოლოდ საექსპოზიციო, არამედ საცავებში დაცული ექსპონატები - არქეოლოგიური მასალა, ფერწერა, აღმოსავლური კოლექცია და მინდა გითხრათ, რომ არაჩვეულებრივი სიმდიდრის პატრონები ხართ."**

ამიტომაც იყო ძალზე მნიშვნელოვანი ქალბატონი ნაფას ვიზიტი თბილისში, რომელიც საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა. ქართული მხარის ინიციატივით ჩატარდა სემინარი, სადაც საკოორდინაციო ჯგუფმა ეროვნული მუზეუმის კოლექციების კონსერვაციისა და გადაადგილების პროგრამა წარადგინა. ქრისტიანე ნაფამ კი თავის მხრივ, მხარდაჭერა აღუთქვა ეროვნული მუზეუმის ინიციატივას.

**"კოლექციების შექმნაში პირველ რიგში სისტემატიზაცია და მათი კონცეპტუალიზაციაა მთავარი, ანუ იმის წამოწევა, რაც მხოლოდ ქართული კულტურისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითად, სამკაულებში აქიმენიდური და ბერძნული ელემენტებია, მაგრამ გამოკვეთილად ჩანს, რომ სწორედ კოლხურ ოქრომჭედლობასთან გვაქვს საქმე და ეს უნდა იყოს მთავარი თემა. ძველ თბილისში დავდიოდი და ერთად ვნახე თავმოყრილი დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა ელემენტები, მაგრამ ვხედავ, რომ ტრადიციული, ქართული კულტურა არამხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის სინთეზი, არამედ რაღაც კიდევ უფრო მეტია"** - ამბობს ქალბატონი ქრისიტიანე ნაფა **- "როცა პარიზში ჩავალ, კოლეგებს ვეტყვი, რომ ჩემი ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო - საქართველომდე და საქართველოს შემდეგ."**

ვფიქრობთ, მადამ ნაფას ეს სიტყვები საუკეთესო საჩუქარია დღევანდელი იუბილარისთვის, დათო ლორთქიფანიძისთვის. ჩვენ ვუერთდებით ამ სიტყვებს და ყველა სხვა მილოცვას, რომელსაც დმანისის არქეოლოგიური ბაზის მშვენიერ ვერანდაზე წარმოთქვამენ იუბილარის მეგობრები და კოლეგები.



დავით ლორთქიფანიძე და ქრისტიანე ნაფა.



სემინარზე.

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. № 12, 13, 15

# კიდობანი დიდია...

...ფართე საზოგადოება არ იცნობს თავის ყველაზე მამაც და მოხერხებულ მეხანძრეს, პოლიციელს, მებრძოლს, ლითონზე მქარგავ საუკეთესო შემდუღებელს, წარმოდგენაც არა აქვს, თუ რომელი დურგლისა, თუ ქირურგის ხელია ყველაზე მოქნილი და უზადო, არ იცნობს ყველაზე გამჭრიახ ვექილს, დიპლომატს, მოსამართლეს, არ იცის საქართველოს პირველი მევენახის გვარ-სახელი და, საერთოდ, უნიათო ტელევიზიის გამო ქართველ კაცს თავის ქვეყანასთან (ტელეეკრანზე) აკავშირებს მარტოოდენ ცეკვა-თამაში, ან ერთი გაუთავებელი სიმღერაააააააა...

პროფესიონალიზმია თემატიკის დიაპაზონის სიფართოვე და მისი სიღრმისეული ინტერპრეტაცია... აი, საცაა დაიწყება "იმედის" საინფორმაციო გამოშვება... ისევ დანაშაული, ისევ გაქალაქებული სოფლელების აყალმაყალი, ისევ ხიდაშელის კაპასი გამოხედვა და დაუღალავი ლაპარაკი, ბერძენიშვილის ენაწყლიანობა, კირკიტაძე, ბურჯანაძე და დეპუტატები, დეპუტატები...

...არ ვიცი რატომ, მაგრამ "იმედმა" გადამალა ნამდვილი რუსეთი, ფაშიზაციით, ქსენოფობიით, ტოტალური კორუფციით, ყოველდღიური დაკვეთილი მკვლელობებით, სიჩოვის ტრაგედიით, დალნივოსტოკში მთვრალ მეხანძრეთა გამო ადამიანების დაღუპვით, ჩეჩნეთში ხალხის ყოველდღიური ხოცვით...

სამაგიეროდ, "სიმართლის" ჭინჭრით უმოწყალოდ წკელპავს საქართველოს...

* * *

...ტელევიზია არც სარკე და არც ზიარჭურჭელია, სინამდვილეს არც გულგრილი კაცის თვალით უნდა აკვირდებოდეს და არც უმრავლესობას "უსწორებდეს" ქეიფს... ეკრანზე არეკლილი, თითქოს უმნიშვნელო სიუჟეტი, აჟღერებული ჰანგი, წარმოთქმული სიტყვა - ყველაფერი ეს და მრავალი სხვა ქვეყნის გაძლიერებას უნდა ითვალისწინებდეს. ამის გარეშე ტელევიზია, მის მეპატრონეთა თუ მომსახურეთა უსაზღვრო ამბიციურობის მიუხედავად, მარტოოდენ ბოროტების კვესია!

ჩვენმა ტელევიზიამ შემოქმედებითი ორიენტაცია შევარდნაძის "მეორედ მოსვლის" შემდეგ დაკარგა, როცა კომპარტიის ცეკას ნომენკლატურა საქართველოს მეორედ შეესია და მისი დაუფარავი ძარცვა დაიწყო. მაშინ ქვეყნის ერთადერთი ტელევიზიის სათავეში დარგის უცოდინარნი მოვიდნენ...

ყველას გვახსოვს, საქართველოს ბედი წყდებოდა - მტარვალი ძირძველ მიწას გვგლეჯდა, საქართველოს ყუმბარებს აყრიდა, "ჩვენი" ტელევიზია კი ამ დროს ხაჭაპურის რეკლამით ერთობოდა - "ჯერ გასინჯეთ, მერე განსაჯეთ"-ო...

ფრონტზე მებრძოლები გვაკლდნენ, შევარდნაძის ტელევიზია კი ომში დაღუპულ გმირებს სრულიად საქართველოს პანაშვიდებს უწყობდა - "...აღარ მოხვალ, აღარ შემოაღებ სახლის კარს"... მოთქვამდა დიქტორი ქალი... ამის შემდეგ დედებმა შვილები ომში აღარ გაუშვეს და ვერც გავამტყუნებთ...

ქართული ტელეეთერი მაშინ "გაბაზრდა", დაეკარგა სიმაღლე, ავტორიტეტი... შემოიჭრა პროვინციული კილო-კავი, ქუჩური სლენგი, კულტურა დაეკარგა მეტყველებას, ხოლო გრამატიკას - წესრიგი, სიმკაცრე... დღეს ნებისმიერ უწიგნურს შეუძლია მრავალსაუკუნოვან ქართულ



*ცნობილი ფოტო და ტელეჟურნალისტი, მრავალი ჟურნალისტის აღმზრდელი სანდრო მამასახლისი სოფელში გადაბარგდა და დროდადრო, როცა ფიქრი და დარდი მოეძალება, იქიდან გვეხმიანება ხოლმე. თანაც ყოველ ჯერზე გვთხოვს, მკითხველი აუცილებლად გააფრთხილეთ - აბა, ჩვენ რა ვიცით, დაბერდა ეს ჩვენი სანდრიკა და ხანდახან მწარე-მწარეებსაც გამოურევს ხოლმეო. ამ თხოვნასაც ვუსრულებთ და მისი დიდი კიდობნიდან ტკბილ-მწარე ფიქრებსაც გთავაზობთ.*

სიტყვას ჭიტლაყი ამოჰკრას, ხოლო სანაცვლოდ რუსული შემოათრიოს. ასე გაგვიჩნდნენ, ფორტუნა, კურიერი, პოსტი, ჩინოვნიკი, ბარიერი, კლიმატი, შტურმი, არენა... დღეს ეთერიდან ზოგჯერ ისეთი უწმაწური სიტყვა მოისმის, რომ მარტოობაში მყოფიც კი ვერ ვაკადრებ თავს, აღარაფერს ვამბობ იმ გონებრივ პათოლოგიაზე, რომელიც ესოდენ მკვეთრად შეიმჩნევა "სტერეო პირველის" დიალოგებში...

სამწუხაროდ, ზოგიერთი ტელესტუდიის "ხელმძღვანელობა" დღემდე "ტრყემალზეა", ერთი ციცქნა მჟავე ნაყოფი დაშაქრული საზამთრო ჰგონია... წარმოდგენაც არა აქვს, თუ აქ, ჩემს ღარიბეს სოფელში, წითელქალაქში, რა ვითარებაა, როგორ ვცხოვრობთ, რაებზე ვდარდობთ... დღემდე ვბჭობთ - რა კავშირშია ჩვენთან მარადონა თავისი ტიტლიკანა დედაკაცებით, როცა საბჭოთა ადამიანები ისევ ძველი ცხოვრების წესით მოქმედებენ - საოჯახო ნაგავს ისევ ყრიან, სადაც კი მოესურვებათ, გზა კასპიდან ნოსტემდე ისევ ისეა დანგრეული, რომ მეურმეებიც კი ერიდებიან - მინდვრებით დადიან - სათიბს აფუჭებენ... ანდა რა შუაშია ავტომობილების გაუთავებელი ვერნისაჟები, როცა არცთუ უსაქმურს, ძრავიანი, ჩვეულებრივი ხელის სათიბი მენატრება. ასევე რა შუაშია ბრაზილიისა თუ არგენტინის ფრიად კომფორტულ, რამდენიმე აბაზანის მქონე სრა-სასახლეებში მცხოვრები, კარგად გამოკვებილი, სულერთთავად აღგზნებული ხალხის თავგადასავლები, როცა ჩემს ამოდენა სოფელში (2 000 კომლია!) ერთი აბანოც არა გვაქვს, ხოლო ეზოებში ონკანების უმრავლესობას საკეტი საერთოდ არ გააჩნია - წყალი თქრიალით, შეუჩერებლივ მოდის. მერე, საღამო ხანს, წვეთიც კი სანატრელი ხდება, რადგან მარაგი მთლიანად დაიცალა...

... ჩემი სოფლიდან ოკამამდე ბარე 18 კილომეტრია. წარმოიდგინეთ, მთელი ეს გზა, ორივე მხარეს, ნაგვითაა მოფენილი. დამეთანხმებით, რომ ეს უმსგავსობა ნოლაიდელის ჩადენილი არ არის... ამას წინათ მუზეუმის ერთი მესვეური ტელეკამერის წინ ჩიოდა - მთავრობა ყურადღებას არ გვაქცევსო, სახურავზე შიფერი გატყდა და ნახეთ, წყალი როგორ ჩამოგვდისო... მერე, შე კაი კაცო, ნახმარი შიფერი, მაგრამ გამოსადეგი, სულ ერთი ლარი ღირს, ადი და გამოცვალე, ამაზე ქვეყანას რას აწუხებ...

ჩვენ თანაცხოვრების წესები გადაგვავიწყდა... არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ, როცა რამდენიმეს ერთდროულად ერთი და იგივე საგანი გვსურს, ერთმანეთს ვაცალოთ თუ ერთდროულად ვეძგეროთ...

აი, ტიპიური სურათი, როცა ქუჩაში მოძრაობა შეჩერებულია - წინ ვილაც აბდალი მძღოლი "გაიჩხირა", ამ დროს მარცხენა მხრიდან, საწინააღმდეგო, შემხვედრი მიმართულებით ერთი-მეორის მიყოლებით მიქრიან ჩვენი თანამემამულეები და... კიდევ მეტად ამძიმებენ მდგომარეობას...

გამოდის, რომ 21-ე საუკუნეში თავშეკავების უნარი არ გაგვაჩნია, დღესაც ჩვენი ერთ-ერთი უმძლავრესი ინსტინქტი ატროფირებულია...

ადამიანს პირუტყვისგან უპირველესად თავშეკავების უნარი განასხვავებს. ცივილიზაციის დაწყების დღე, ალბათ, იყო ის წამი, როცა ველურმა თავისი ფიზიოლოგიური სურვილი სხვის თვალწინ კი არ დაიკმაყოფილა, არამედ თავი შეიკავა, ბუჩქებს ამოეფარა.

* * *

...არც თეატრი და კინოა მთავრობის საქმე - მათ თავისი შესანახი ფული მაყურებელში უნდა ეძებონ, მე რა შუაში ვარ - ქვეყნის ბიუჯეტის მეწილე მეც ხომ ვარ?! მაშ, ჩემს ისედაც საწყალ ჯიბეს რომ ჩამოეკონწიალეთ, რა უფლებით? ნამუსი რაღა უყავით - წარმოდგენები, ფილმები გინდათ სოციალისტურად (სახელმწიფოს ხარჯზე!) შექმნათ, მაგრამ თავად კაპიტალიზმში იცხოვროთ. ამერიკის ყველაზე ჩამორჩენილი შტატის ბიუჯეტის მეოცედიც არ გააჩნია საწყალ საქართველოს. სამაგიეროდ თეატრებს, ესტრადას, მუზეუმებს, ფესტივალებს აფინანსებს, ამერიკა კი... არავის! იქ, ვთქვათ, პრეზიდენტ ბუშს თეატრისა თუ კინოს ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეც კი ვერ გაუბედავს, ფული მომეციო... ჩვენთან დღე ისე არ გავა, რომ ტელევიზიით არ მოვისმინო ვინმე "გულმხურვალე პატრიოტის" შეგონება - თუ მთავრობამ ფული არ გამოყო, ეს საქმე დაიღუპებაო... თუ მართლა თვლი, რომ ამ საქმეს ესაჭიროება ფული, მიდექ-მოდექი, თუნდაც საკუთარი ბინა გაყიდე და დააფინანსე, ხოლო თუ სახლი გენანება, მაშინ გაჩუმდი და დაწყნარდი, სხვის ხარჯზე ნუ ქართველობ...

აი, კიდევ (ჩემთვის) ახალი ამბავი - სახელმწიფოს ხარჯზე დაუარსებიათ რაღაც მუსიკალური ცენტრი... მუსიკას (ნამდვილ მუსიკას ვგულისხმობ), ამ უძირო და უკიდეგანო კოსმოსურ უსასრულობას, როდი შეიძლება ცენტრი ჰქონდეს - ფიზიკის კანონის შესაბამისად, ცენტრისაკენ სწრაფვა უთუოდ გამოიწვევს დიდ აფეთქებას... ვთქვათ, მოსალოდნელი "აფეთქება" არ გაშინებთ, კარს რო კბილებამდე შეიარაღებული ურჩხული მართლა მოგვადგა, ქვეყნის მესამედი უკვე მიიტაცა და ახლა დანარჩენის გადასაყლაპავად რომ ემზადება, ვერ ხედავთ, ნუთუ ვერ ხვდებით, რაოდენ სერიოზული ვითარებაა... თავად მზადა ვარ, განუსაზღვრელი დროით პურსა და წყალზე დავრჩე, ოღონდაც თავგანწირვისთვის მზადმყოფი ჩვენი ძლიერი ჯარით პატარა ქვეყნების გულადი მჩაგვრელი თუ არ შევაშინო, მაგრა ჩავაფიქრო მაინც...

ამიტომ დღეს ვაგნერს სტინგერი მირჩევნია, ბრამს - აბრამსი, ბლუტნერს - პარაბელუმი, ჩაიკოვსკის - კალაშნიკოვი, ალა პუგაჩოვას - კატუშა...

* * *

...სანამ ძაღლის წყაროზე თოვლია, გაზაფხულზე არც კი იფიქრო... მე კი წინაპართა ამ ლამის ანდერძად დანატოვარს ანგარიში არ გავუწიე - კვლები გავაკეთე და ხახვი, ნიორი, გოგრა (ალაგ-ალაგ), ჭარხალი და ყველანაირი მწვანილი დავთესე... იმ ხანობას ერთი ლაზათიანი წვიმაც იყო და, როგორც იტყვიან, იმედიანად განვეწყვე... მაგრამ აპრილის ბოლოს, ერთ ულრუბლო და უქარო ღამეს, ტყიდან ყინვა წამოვიდა...

უთენია გარეთ ვიყავი - წყლით სავსე ვედროდან ყინულის თხელი დისკო ამოვიღე და კინაღამ გავთავდი... ვენახისკენ გავიქეცი - ვაზიც ჩემებრ გათამამებულიყო, ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე თბილი დღე გაზაფხული ჰგონებია და ყლორტების ამოყრა დაუწყია... ჰოდა, ყველა გაშავებული დამხვდა...

მე რომ მოვტყუვდი, აბდალი ვარ და ალბათ იმიტომ, მაგრამ ვაზი, ბრძენი ვაზი როგორღა მოტყუვდა, როგორ დაუჯერა მაცდურ აპრილს...

...გაზაფხული თავისი ფრთებით მერცხალს მოაქვს, სანამ ის არ აჭიკჭიკდება, არც კი იფიქრო სითბოსა და მზის ალერსზე... მაგრამ ჩემი შეცდომის მიზეზი უფრო სხვაა, თუნდაც ის ალიაქოთი, რომელიც ბეღურებმა ამიტეხეს - საკმარისი იყო გარიჟრაჟზე თრიალეთის რომელიმე ქედის მონახაზი ოდნავ გამოჩენილიყო, რომ მერცხლებივით გააბამდნენ ერთმანეთთან გაუთავებელ საუბრებს... ჩემი სულაც არ ერიდებოდათ - სახლშიც შემოდიოდნენ, თამამად სხდებოდნენ სწორედ ამ საბეჭდ მანქანაზე, რითაც აი, ამ წუთში ვმუშაობ, დაივლიდნენ მაგიდას კიდით კიდემდე, შეუჭმელს ნამცეცს არ დატოვებდნენ, ხოლო როცა მზე ცაზე აგრიალდებოდა, ყველა ერთად (სახურავზე მათი ოთხი ოჯახი მეგულება) ჰაერში აიჭრებოდნენ და მათ ბედნიერ ჟივილხივილს ბოლო არ უჩანდა...

...გამოგიტყდებით, მერცხალზე მეტად ბეღურები მიყვარან... მართალია, მათ მერცხლებივით ფრაკი არ აცვიათ, მოხდენილად არ გამოიყურებიან, ზომითაც და ფერითაც უფრო თაგვებს წააგავენ, სამაგიეროდ სიცივესა და ყინვაში მარტო არ მტოვებენ, არ მღალატობენ, უავდრობაში ყოველთვის ჩემთან არიან, ჩემს ბედ-იღბალს იყოფენ.

...ამიტომაც არ ვუწყრები ასე მიამიტურად რო გაუხარდათ თბილი დღეების მოსვლა და ბებერი, მეც გაზაფხულის დადგომაში დამაჯერეს...

* * *

...დასავლეთი კვლავ ტრაგიკულ შეცდომას უშვებს - საწვავის ხელოვნური გაძვირებით ყველაზე აგრესიულ ქვეყანას ამდიდრებს და აძლიერებს...

სიმპტომატიური იყო - ჩეკისტმა და შეთავსებით რუსეთის პრეზიდენტმა, დედამიწის მთელ საქრისტიანოს აღდგომის ნათელი დღე ბალისტიკური, ჩამოუგდებადი ახალი რაკეტის გამოცდის წარმატებით დამთავრების ამბით მიულოცა. ე.ი. ატომის ყუმბარის მიმტანი, აბსოლუტური იარაღით, ანუ საყოველთაო სიკვდილით "გაახარა"... რუსეთის დიდმა ნაწილმა (ამაში დარწმუნებული ვარ) საბედნიერო, სააღდგომო "მოლოცვა" კმაყოფილებით მიიღო... სანთლით ხელში ეკლესიებში ლოცულობდნენ და ხარობდნენ, თავიანთი დიადი ქვეყნის სენსაციური წარმატების გამო...

* * *

...რუსეთი კავკასიას არ თმობს - ყოველ შემთხვევაში, დასავლეთისაკენ სწრაფვაზე რიტორიკა ბაქოში საგრძნობლად შემცირდა, ხოლო სომხეთში მტარვალის დიდი შენაერთი განლაგდა. ამის გარდა, დისტანციური მართვის ყუმბარასავით, ყარაბახი მუდმივ მზადყოფნაშია - ბაქოსა და ერევანს შიშის ზარსა სცემს მისი შესაძლებელი აფეთქება... მაგრამ სომხები იმედოვნებენ, რომ რუსეთის მმართველობისა და კულტურის სტრუქტურებში ბარაქიანად ჩათესლილი მრავალმილიონიანი მათი დიასპორა უსაფრთხოების საიმედო გარანტიაა...

ქართველების აბდალი ნაწილი იმედოვნებს, რომ დროთა ვითარებაში რუსებს გული რატომღაც "მოულბებათ" და ისინი ნებაყოფლობით სოხუმსა და ცხინვალს დათმობენ... სხვათა შორის, ასეთნაირად ფიქრობენ ის მცირერიცხოვანი რუსი ინტელიგენტებიც, რომლებსაც თავის ხელისუფლებასთან შეხება არა აქვთ. ამ მხრივ ორივენი - როგორც უაღრესად გულუბრყვილონი, შესაბრალისნი არიან...

ისტორიას არ ახსოვს, რომ რუსს სისხლით დზაპყრობილი მიწა თავისი ნებით დაეთმოს და თუ ასეთი მაინც მომხდარა, სანაცვლოდ სხვა უფრო მნიშვნელოვანი არ მიეღოს - გაყავს საქართველოდან თავისი ფრიად მოძველებული ბაზები, სამაგიეროდ სამარადჟამოდ იტოვებს აფხაზეთსა და ცხინვალეთს... თუ დასავლეთმა რაიმე სერიოზული გაფრთხილება არ მისცა მოსკოვს, უახლოეს მომავალში მოსალოდნელია მისი საქართველოსკენ მოძრაობის რადიკალიზაცია...

ამიტომ ფიქრი თბილისის, სოხუმისა და ცხინვალის დიდი შერიგების თაობაზე, უპერსპექტივო მგონია... სანამ იქ რუსი დგას, არაფერი შეიცვლება...

* * *

**ეს კი "ურა პატრიოტების" საყურადღებოდ:**

**სახელმწიფოს სამი მოვალეობა აკისრია - 1. ქვეყნის საზღვრების დაცვა; 2. ქვეყნის შიგნით კანონმდებლობის დაცვა; 3. საბანკო-საკრედიტო ბერკეტებით ეკონომიკის მართვა.**

**ეს არის და ეს, დანარჩენი, ძმებო, ჩვენი პირადი საქმეა...**

# ბუზღუნა







თბილისის ქუჩებზე მოისპო უსაფრთხოების ჰარმონია და დამკვიდრდა სამოყვარულო ქაოტური თვითშემოქმედება. ეს ნათლად ჩანს მოყვანილი კოლაჟიდან.

## ტესტი

ვინ გააჩერებს
ამ თვითშემოქმედებას?

სავარაუდო პასუხები:

ა) ქალაქის მერი;

ბ) ქალაქის პრემიერი;

გ) ორივე ერთად;

დ) ვერც ერთი.

ბუზღუნა ასრულებს თავის დანაპირებს და შპს "შუქნუშნის" გენერალურ დირექტორს, ბატონ ნ. გაბელაიას აცნობს ახალი სქემის ორ ვარიანტს - წერეთელი-ყოფილი მაგნიტოგორსკის" გადაკვეთაზე, რომელიც ბევრად ოპტიმალურია ვიდრე დღეს არსებული.

ბუზღუნა იმედს იტოვებს, რომ შუქნიშნის სამუშაო ციკლებს ფაზების მიხედვით თავად შპს "შუქნიშანი" დაითვლის.







პირველი ვარიანტი




მეორე ვარიანტი



მერაბ ლორთქიფანიძე

# ტურისტული რაკეტა, რომელიც კუდზე ჯდება

თანამედროვე ასტრონავტები და კოსმონავტები კოსმოსში ვერტიკალურ მდგომარეობაში გადიან, მაგრამ ზოგი მათგანი კაპსულით ბრუნდება, ზოგი კი იმავე საფრენი აპარატით ეშვება, რომლითაც მისია შეასრულა. მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი იმავე, ვერტიკალურ მდგომარეობაში დაბრუნებულიყვნენ მიწაზე.

ეგ არაფერი, სულ ოთხი წელი და ნებისმიერ ადამიანს (მარტო ასტრონავტებს არა) ექნება იმის შესაძლებლობა, რომ კოსმოსური ტურზმის კომპანია “ბლიუ ორიჯინის” სალაროში იყიდოს ბილეთი (არცთუ ძვირადღირებული), რომლითაც კოსმოსშიც იმოგზაურებს და ზუსტად იმ ადგილზე დაეშვება, საიდანაც ვოიაჟი დაიწყო.



ჩვენი რუბრიკის ერთგულ მყიდველს ალბათ ემახსოვრება პუბლიკაციები კონკურს X-პრაიზის შესახებ, რომლის მონაწილეებსაც ევალებოდათ ისეთი აპარატების შექმნა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა კოსმოსის ქვედა ფენებში ასვლა და იქიდან უხიფათოდ დაშვება. ამ კონკურსის მიზანი კოსმოსური ტურიზმისთვის საფუძვლის ჩაყრა და განვითარება იყო. კონკურსში ოცზე მეტი განაცხადი შევიდა, მათგან ერთი კი საინტერნეტო მაღაზია “ამაზონ.კომ-ის” დამაარსებელ ჯეფ ბეზოსის კომპანია “ბლიუ ორიჯინს” ეკუთვნოდა.

მაგრამ განაცხადის შეტანის შემდეგ, “ბლიუ ორიჯინის” მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ არანაირი ინფორმაცია არ გავრელებულა. მოკლედ, X-პრაიზი პრაქტიკულად ბეზოსის კომპანიის პროექტის გარეშე ჩატარდა და კოსმოსურ ტურიზმსაც საძირკველი ჩაეყარა - ამ სფეროთი რამდენიმე ცნობილი ბიზნესმენი, მათ შორის, ბრიტანელი სერ რიჩარდ ბრენსონი და მის მიერ ახლად შექმნილი კომპანია “ვირჯინ-გალაქტიკი” დაინტერესდა.

ახლა კი ირკვევა, რომ ბეზოსის კომპანიას დრო ტყუილად არ დაუკარგავს. მართალია, კონკურსში თავისი ნამუშევრის წარდგენა ველარ შეძლო, მაგრამ სამაგიეროდ, საკუთარი პროექტის განხორციელებას თავადვე შეუდგა და ამისათვის, პირველ რიგში, შტატ ტექსასში შეიძინა მიწის ნაკვეთი (დაახლოებით 668 კვადრატული კილომეტრი, რაც დაახლოებით მოსკოვის ფართობის ნახევარია), რომელზეც მალე საკუთარ კოსმოდრომს ააშენებს.

კომპანია “ბლიუ ორიჯინისა” და აშშ-ის ავიაციის ფედერალური სამმართველოს სპეციალისტებმა ერთობლივად შეიმუშავეს დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ ბეზოსის წამოწყება არანაირ უარყოფით გავლენას არ იქონიებს როგორც აღნიშნული ტერიტორიის ფლორასა და ფაუნაზე, ასევე ადგილობრივ მოსახლეობაზეც - იმ ადგილის მახლობლად (40 კილომეტრში), სადაც კოსმოდრომი უნდა აშენდეს, მდებარეობს პატარა ქალაქი ვან ჰორნი, რომლის მოსახლეობა დაახლოებით 3 ათასია.

სწორედ პროექტის ეკოლოგიურობის განხილვა გახდა იმის საბაბი, რომ ბეზოსის წამოწყება გახმაურებულიყო. მილიარდერის კომპანიამ დაამტკიცა, რომ მისი კოსმოდრომიდან გაშვებული მისივე რაკეტები არანაირ ზიანს არ მიაყენებენ ადგილობრივ ბუნებას და მოსახლეობას.

ამ განხილვის დროს გაირკვა, რომ “ბლიუ ორიჯინის” პროექტი ფაქტობრივად ექსპერიმენტულ რაკეტა “დელტა კლიპერ იქსპერიმენტალის” (იგივე DC-X-ის) ბაზაზე შეიქმნა. პროექტი DC-X თავის დროზე, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტისა და კოსმოსის კვლევის ეროვნული სააგენტოს შეკვეთით მოამზადა კომპანია “მაკდონელ დაგლასმა”, რომელიც 1997 წელს “ბოინგს” შეუერთდა. ოღონდ, პირვანდელი პროექტისგან განსხვავებით, “ბლიუ ორიჯინის” მიზნები გაცილებით მოკრძალებულია - საფრენმა აპარატმა მგზავრების (ტურისტების) კოსმოსისა და ატმოსფეროს საზღვარზე (დაახლოებით 100 კილომეტრის სიმაღლეზე) აყვანა უნდა უზრუნველყოს.

“დელტა კლიპერს” ერთი მთავარი თვისება გამოარჩევდა - ვერტიკალური სტარტის გარდა, ის ვერტიკალურადვე უბრუნდებოდა სასტარტო პოლიგონს და თანაც, ამას არნახული სიზუსტით აკეთებდა. რაკეტა ბალანსირებას ახერხებდა ჩართული რაკეტებისგან გამოყოფილი რეაქტიული ჭავლის ხარჯზე, დაშვების ბოლო სტადიაში კი მას პარაშუტიც ეხმარებოდა.

ანალოგიური თვისება გააჩნია “ბლიუ ორიჯინის” აპარატსაც, რომელსაც დაუდასტურებელი ინფორმაციით, ბეზოსმა “ნიუ შეპარდი” უწოდა. როგორც ამბობენ, მილიარდერმა ეს პირველი ამერიკელი ასტრონავტის, ალან შეპარდის პატივსაცემად გააკეთა.

“ნიუ შეპარდი” კონუსური ფორმისაა. ქვედა ნაწილში მისი დიამეტრი 7 მეტრამდეა, სიმაღლე კი - 15 მეტრი. აპარატის ქვედა ნაწილში განთავსებულია თხევად საწვავზე მომუშავე ოთხი რეაქტიული ძრავი, რომლებიც საწვავად იყენებს წყალბადის ზეჟანგს და საავიაციო ნავთს.

“ნიუ შეპარდის” ავზებში დაახლოებით 54 ტონა საწვავი თავსდება, რაც კოსმოსური აპარატის მთლიანი მასის დიდი ნაწილია (ზუსტი მონაცემები არ სახელდება). სამაგიეროდ, ცნობილია, რომ ყველა ძრავის მთლიანი წევა დაახლოებით 100 ტონა უნდა იყოს. მათი მეშვეობით კი აპარატმა 110 წამში უნდა მოასწროს (მაქსიმალური სიჩქარე დაზუსტებული არაა) 40 კილომეტრის სიმაღლეზე ასვლა. ეს რომ მოხდება, ყველა ძრავი გაითიშება და “ნიუ შეპარდი” ფრენას ინერციით გააგრძელებს. კოსმოსის ზღვართან მიახლოებისას, მისი სამი (ან მეტი) მგზავრი უწონადობაში რამდენიმე წუთს გაატარებს.






ფრენის პიკის შემდეგ დაიწყება თავისუფალი ვარდნა, მერე კი “ნიუ შეპარდი” ძრავებს კვლავ ჩართავს და მისი მეშვეობით დაუბრუნდება ზუსტად იმ სასტარტო მოედანს, საიდანაც რამდენიმე წუთით ადრე აფრინდა.

ცნობისათვის, კოსმოდრომის მთელი ინფრასტრუქტურა ბეზოსის მიერ ნაყიდი რანჩოს ტერიტორიის დაახლოებით 1%-ს დაიკავებს. დანარჩენი მიწა კი იმისთვისაა საჭირო, რომ ტრაექტორიიდან გადახრის შემთხვევაში (ამის ალბათობა ამინდის გაუარესების დროსაა მოსალოდნელი), “ნიუ შეპარდმა” უსაფრთხოდ დაშვება მოახერხოს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბეტონის პლატფორმაზე დაშვების პროცესი. “ბლიუ ორიჯინის” პროექტი ორი ტიპის დაშვებას ითვალისწინებს. ერთია ტურისტების კაპსულისა და მზიდი მრავალჯერადი რაკეტის ერთად დაშვება. მეორე ვარიანტით კი (მეტი უსაფრთხოებისთვის) რაკეტა და კაპსულა განცალკევებით დაჯდებიან. ამათგან რაკეტა თავისი ძრავების მეშვეობით, “ცეცხლოვანი კუდით” დაჯდება, კაპსულას კი ამაში პარაშუტი დაეხმარება. ამასთან, მეორე ვარიანტი ნებისმიერ შემთხვევაში იქნება გათვალისწინებული, ოღონდ კაპსულა რაკეტას მხოლოდ ავარიულ სიტუაციებში დაშორდება და მგზავრთა უსაფრთხო დაშვებას უზრუნველყოფს.

აპარატის მართვისთვის აუცილებელი ელექტრონული მოწყობილობა პილოტის კაპსულაში განთავსდება. ეს იმისთვის კეთდება, რომ მართვის ცენტრთან კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში, პილოტს რაკეტის დასმის საშუალება ჰქონდეს.

“ბლიუ ორიჯინი” ირწმუნება, რომ პირველ საცდელ ფრენებს მათი რაკეტა წელსვე შეასრულებს. თითოეული ფრენა მხოლოდ ერთწუთიანი იქნება და მათ დროს რაკეტა მაქსიმუმ 610 მეტრის სიმაღლეზე ავა. პირველი ექსპერიმენტების მთავარი ამოცანა ასაფრენ პლატფორმაზე რაკეტის რბილად დასმა იქნება.

მომდევნო სამი წლის განმავლობაში კომპანიას განზრახული აქვს წლიურად 25-25 საცდელი ფრენის შესრულება, რომელთა საბოლოო მიზანი 100 კილომეტრის სიმაღლეზე ასვლა (უპილოტოდ) იქნება. თუ სატესტო ფრენები წარმატებულად განხორციელდება, კომპანია ტურისტული კოსმოსური რეისების განხორციელებას 2010 წელს დაიწყებს. ამასთან, ბეზოსი იმედოვნებს, რომ წლიურად 52 რეისის განხორციელება იქნება შესაძლებელი.

დაბოლოს, გავიხსენოთ “დელტა კლიპერი”, რომელმაც გასული საუკუნის მიწურულს რამდენიმე წარმატებული ფრენა შეასრულა. მათ შორის, ერთ-ერთის დროს ყველაზე მაღლა, 3.14 კილომეტრამდე აფრინდა. ამასთან, ერთხელ რეკორდულად მცირე დროში (26 საათში) მოხერხდა დაშვებიდან განმეორებითი სტარტის აღება. ეს სარეკორდოდ მცირე დროა მრავალჯერადი რაკეტის ორ სტარტს შორის.

სამწუხაროდ, ერთ-ერთი ექსპერიმენტული ფრენის დროს “დელტა კლიპერმა” კატასტროფა განიცადა - დაშვების დროს დაშვებულ იქნა შეცდომა, რასაც აპარატის განადგურება მოჰყვა. ამ ავარიის შემდეგ, “მაკდონელ დაგლასმა” ახალი რაკეტა აღარ დაამზადა, რადგან ეს პროექტი მეტისმეტად ძვირადღირებულად იქნა მიჩნეული.

ბევრი სპეციალისტი, რომლებიც თავის დროზე პროექტ “დელტა კლიპერზე” მუშაობდნენ, ახლა “ბლიუ ორიჯინში” მუშაობს. ასე რომ, კომპანიას თავის პროექტზე მუშაობა სუფთა ფურცლიდან არ დაუწყია...

მოამზადა
მათე კრავეიშვილმა

# მთვრალი გედის სიმღერა

## 80-იანი წლების საბჭოთა "მშრალი კანონი"



### ვინ იყო ავტორი?

კამპანია 1985 წლის 17 მაისს დაიწყო და მის ავტორობას, როგორც წესი გორბაჩოვს ან ლიგაჩოვს მიაწერდნენ, თუმცა ეს მთლად სწორი არაა, რადგან ლოთობასთან ბრძოლის კომპლექსური გეგმა ჯერ კიდევ ბრეჟნევის დროს არსებობდა და დიდი დაკრძალვების ეპოქამ, ასევე განუწყვეტელმა ქელეხებმა (1982-1985 წლებში ერთმანეთს მიეწყვნენ ბრეჟნევი, ანდროპოვი და ჩერნენკო) ხელი შეუშალა პარტიისა და მთავრობის გეგმების განხორციელებას.

უკვე 1984 წელს, პრობლემის შესასწავლად პოლიტბიუროსთან სპეციალური კომისია შეიქმნა მიხაილ სოლომენცევის ხელმძღვანელობით. ამ კომისიის მუშაობის შედეგი იყო ცკ-სა და მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება, რომელიც 1985 წლის 17 მაისს გამოქვეყნდა.

ანტიალკოჰოლური კომპანიის ისტორიაში მრავალი დამთხვევა და სტერეოტიპი იყო, ხოლო პირველი სტერეოტიპი, რა თქმა უნდა, გორბაჩოვის ავტორობას შეეხებოდა, რომელიც, ყველამ იცოდა, წვეთს არ სვამდა. ალკოჰოლი გორბაჩოვს, როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაში შეზიზღდა. ყოფილი გენსეკის პრეს-მდივანი ანდრეი გრაჩოვი თავის მემუარებში წერდა, რომ 15 წლისას მიხაილ სერგეიჩს ძალზე უსიამოვნო ამბავი გადახდა თავს: მოსავლის აღებასთან დაკავშირებით გამართულ დღესასწაულზე, ბრიგადის წევრმა კომბაინერებმა, სადაც იგი მამასთან ერთად მუშაობდა, გადაწყვიტეს მიხაილი კაცად ექციათ და წყლის ნაცვლად მოტყუებით სუფთა სპირტით სავსე დიდი ჭიქა ახუხინეს. როგორც თავად გორბაჩოვი იტყოდა, "მას შემდეგ დალევისგან სიამოვნება არ მიმიღიაო". გარდა ამისა, მიხაილ სერგეიჩს ლოთი ძმა ჰყავდა...

ყველაფრის მიუხედავად, როცა გორბაჩოვის ავტორობაზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გენსეკი იგი მარტის შუა რიცხვებში გახდა, დადგენილება კი სულ რაღაც ორ თვეში შევიდა ძალაში. ცხადია, ასეთ მოკლე დროში მთელი პროექტის შემუშავება და კონტროლი წარმოუდგენელი იქნებოდა. მეორე სტერეოტიპი - ხალხის წარმოდგენაში ლოთობასთან ბრძოლა "პერესტროიკის" უმთავრეს ელემენტად იქცა. ეს მოსაზრებაც, რა თმა უნდა, მთლად სწორი არ იყო. თავად პოლიტბიუროში და ცკ-ში სხვადასხვანაირად აფასებდნენ მიმდინარე მოვლენებს. ალექსანდრ იაკოვლევი იხსენებს, რომ დადგენილების გაცნობის შემდეგ თმები ყალყზე დაუდგა, იმდენი რამ იკრძალებოდა მასში. ამ დადგენილების წინააღმდეგნი იყვნენ ივან ბოლდირევი და ნიკოლაი რიჟკოვიც (მაშინდელი ცკ-ს წევრები). პროექტის თავგადაკლული მომხრე მხოლოდ ეგორ ლიგაჩოვი იყო, რომელიც ყოველ სხდომაზე ვიღაცას ტუქსავდა, ხან საქართველოს, ხანაც მოლდავეთს. იჭყლიტებოდა "გოსპლანის" თავმჯდომარის მოადგილეც, რომელიც სურსათის საკითხებს განაგებდა. ზეწოლა კოლოსალური იყო, პარტიის წევრებს სერიოზულ საყვედურს უცხადებდნენ, სხდომებს იწვევდნენ... თავიდან ეს ანტიალკოჰოლური მოძრაობა სრული ისტერიკით მიმდინარეობდა, თუმცა ერთი წლის შემდეგ ვნებები ცოტათი ჩაცხრა.

თავად გორბაჩოვი მაინცდამაინც არ იყო ასეთი მკაცრი ზომების მომხრე და ამერიკულ მშრალ კანონს ადარებდა მიმდინარე მოვლენებს, თუმცა იმ პერიოდში გორბაჩოვი საკმაოდ სუსტი პოლიტიკური ფიგურა იყო, ხელისუფლებაში ახლად მოსული და ცკ-პოლიტბიუროში ჯერ არ ჰყავდა "თავისი ხალხი", ამიტომ იძულებული იყო ძველი პარტიელების ნებაზე წასულიყო და მათ მიერ შემოთავაზებულ კანონს დათანხმებოდა. ამის გამო ხალხის რისხვა სწორედ "გენსეკს" დაატყდა და იგი ლოთობასთან ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. მის შესახებ იგონებდნენ ანეკდოტებს და მეტსახელად გორბაჩოვს "მინერალური მდივანიც" კი შეარქვეს.




### დასაწყისი




ყველაფერი 1985 წლის მაისში დაიწყო. ე.წ. "ზაპოისთან" ბრძოლის საქმე კი ძალიან მარტივად გადაწყდა, გაძვირდა არაყი, ღვინო და ლუდიც კი, ფასებმა 45%-ით მოიმატა, შემოიღეს ნაირნაირი შეზღუდვები. საცალო ვაჭრობა მხოლოდ 14 საათიდან იწყებოდა (რითაც ფაქტობრივად გამოირიცხა ე.წ. "პახმელიაზე" ადრე გამოსვლის შანსები), ხელზე კი მხოლოდ ორ, ზოგ შემთხვევაში კი ერთ ბოთლს იძლეოდნენ. სასტიკად აიკრძალა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სმა, სასმელი გაქრა სახინკლეებიდან, საჩებურეკეებიდან, სასადილოებიდან და კაფეებიდან. გამონაკლისს მხოლოდ რესტორანი წარმოადგენდა, მაგრამ იქაც არ ახარებდნენ კლიენტს, რადგან ერთ კაცს მხოლოდ 100 გრამი არყისა და 150 გრამი ღვინის დალევა შეეძლო (ესეც, რა თქმა უნდა 14 საათის შემდეგ).

შემცირდა სპირტიანი სასმელის წარმოება: არაყს ორჯერ ნაკლებს უშვებდნენ, იაფფასიანი ღვინოების წარმოება კი, ზოგიერთი მონაცემით, ხუთჯერ შემცირდა. ამასთანავე, როგორც ლიგაჩოვი ამტკიცებდა, კონიაკის წარმოებამ ძველი პოზიციები შეინარჩუნა, შამპანურმა კი ერთნახევარჯერ გაზარდა წლიური ბრუნვა. კამპანიის იდეოლოგების, სოლომენცევისა და ლიგაჩოვის გეგმის მიხედვით, 1988 წლისთვის ხილ-კენკრეულის ღვინის (ბორმოტუხა) წარმოება მთლიანად უნდა შეჩერებულიყო.

ყველაფერ ამას დაერთო ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, გაზეთის ფურცლებზე იბეჭდებოდა უზარმაზარი სტატიები საერთო რუბრიკებით "ძირს სმა" ან "გაუმარჯოს ფიზკულტურას", სადაც ყვებოდნენ ქარხნებსა თუ კოლმეურნეობებში მიმდინარე ანტიალკოჰოლური კამპანიის დადებით მხარეებზე და სპირტიანი სასმელების ქარხანათა წვენების ქარხნებად გადაკეთების ამბებს. მართლაც, პროცესის დაწყებიდან ორ-სამ თვეში, წვენები გაიაფდა და ძალიან ბევრმა ქარხანამ შეიცვალა პროფილი. სწორედ მაშინ გაჩნდა ქვეყანაში მასიურად ხილის სიროპები და სხვა "სიროფები", მაგალითად ღვინის ბოთლებში ჩამოსხმული უცნაური წვენები გაუგებარი გემოთი. ერთი სიტყვით, ძირითადი აქცენტი ამ ბრძოლაში ფასების აწევაზე და წარმოების შემცირებაზე კეთდებოდა. არც ერთს მოსალოდნელი ეფექტი არ მოჰყოლია. ფასების აწევამ ის გამოიწვია, რომ რუსეთში მამაკაცების უმრავლესობა ხელფასის ნახევარს კი არა, უკვე მთელ ხელფასს იხდიდა არაყში, და ოჯახს ულუკმაპუროდ ტოვებდა, წარმოების შემცირებამ კი დეფიციტი შექმნა, რის გამოც უზარმაზარი რიგები გაჩნდა მთელი თავისი ატრიბუტებით, ჭყლეტით, თავ-პირის გაერთიანებითა და აურზაურით.

### ვენახებიც გაჩეხეს

დეფიციტითა და არყის რიგებით არ ამოწურულა ანტიალკოჰოლური კამპანიის აბსურდულობა, ბრძოლის იდეოლოგებს კიდევ უფრო გამოუსწორებელი შეცდომები ჰქონდათ. პირველ რიგში, საუბარია ვენახების გაჩეხვაზე და ქარხნების პროფილის შეცვლაზე. ვენახების გაჩეხვას კატეგორიულად უარყოფდა ეგორ ლიგაჩოვი: "არანაირი მასობრივი გაჩეხვა არ ყოფილა! შესაძლოა ზოგან, გარკვეულ რეგიონებში ზედმეტად მოინდომეს, მაგრამ მოდით სტატისტიკას მივადევნოთ თვალყური: ანტიალკოჰოლურ კამპანიამდე ყოველწლიურად 5-6 მილიონ ტონა ყურძნეს ვიღებდით, გამოვთვალეთ და აღმოჩნდა, რომ იგივე რაოდენობის მოსავალი მოდიოდა 1985-1988 წლებშიც". ალექსანდრე იაკოვლევი მის საპირისპიროდ ამბობდა, რომ "სინამდვილეში გაცილებით მკაცრი ზომები მიიღეს, ვიდრე დადგენილებით იყო გათვალისწინებული..." ვენახის გაჩეხვის შესახებ ერთხმად ლაპარაკობენ საქართველოს, მოლდავეთისა და ყირიმელი მეღვინეები. ძალზე შემცირდა ვენახის ფართობებიც, ზოგიერთი ჯიში საერთოდ გადაშენდა. სხვათა შორის, იმ ადგილებში, სადაც ადრე ელიტური ტექნიკური ჯიშები მოდიოდა, ჩვეულებრივი, სუფრის ყურძენი მოჰყავდათ. ხშირი იყო ტრაგედიებიც. მაგალითად, ყირიმელმა მეღვინემ და სელექციონერმა პაველ გოლოდრიგამ, რომელიც ხედავდა, თუ როგორ ანადგურებდნენ ბულდოზერით მთელი მისი ცხოვრების საქმეს, თავი მოიკლა.

### ბიუჯეტის დანაკარგები

ძვირადღირებული იმპორტული მოწყობილობა საწყობებში ან ღია ცის ქვეშ იჟანგებოდა. ქარხნებში, პროფილის შეცვლისა და ალკოჰოლური დარგების "დარბევის" შემდეგ უნიკალური რეცეპტები და ტექნოლოგიები დაიკარგა. ძვირფასი სამარკო ღვინის მარაგიდან საფუარს აკეთებდნენ, დიდი იყო ბიუჯეტის დანაკარგებიც. არყით ვაჭრობას ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირის, განსაკუთრებით კი







რუსეთის ფედერაციის ბიუჯეტში. ძალზე ძნელია ზუსტად განსაზღვრო დანაკარგები და ის, თუ რამდენად ალმოჩნდა იგი საბედისწერო. ლიგაჩოვი ამბობდა: "ბიუჯეტი მართლაც დაზარალდა, მაგრამ სულ სხვა მიზეზების გამო. არც ისე სულელები ვართ, რომ ბიუჯეტის შესაძლო ზარალი ვერ გაგვეთვალა. დიახ, დანაკარგს მოველოდით და ამიტომ 45%-ით გავზარდეთ ფასები. ამის მიუხედავად არანაირი დეზორგანიზაცია, არანაირი სერიოზული საბიუჯეტო კრიზისი ანტიალკოჰოლური კამპანიის გამო არ ყოფილა". იაკოვლევი კი პირიქით, ამბობდა, რომ სახელმწიფომ 100 მილიარდ მანეთზე მეტი დაკარგა (მაშინდელი ფულით) და ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სწორედ მაშინ დაიწყო საბჭოთა კავშირში ფინანსური კრიზისი. შესაძლოა ეს საბიუჯეტო პრობლემები არ იყო 80-იანი წლების ეკონომიკური კრიზისის უშუალო მიზეზი, მაგრამ აშკარაა, რომ მან ხელი შეუწყო მოვლენების განვითარებას, რადგან იგი სახელმწიფო ბიუჯეტში გაჩენილ სხვა პრობლემებს დაემთხვა: იმ წლებში ძალიან დაეცა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასი, რაზეც იყო დაფუძნებული ბრეჟნევის ეს "თიხისფეხებიანი კოლოსი", "ზასტოის" პერიოდის საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა აბსურდმა მწვერვალს მაშინ მიაღწია, როცა ძველი ფილმებიდან ქეიფის სცენების ამოჭრა დაიწყეს, ზოგი კინოსურათი კი საერთოდ აკრძალეს, თაროზე შემოდეს. იგივე ხდებოდა თეატრებშიც. რამდენჯერმე მოხდა სკანდალი საგარეო საქმეთა სამინისტროში - რადგან დიპლომატიურ მიღებებზე ალკოჰოლი ნებადართული იყო პროტოკოლის მიხედვით - თუმცა მოგვიანებით ხელი ჩაიქნიეს ამ უწყებაზე. 1985 წლის აგვისტოში სიფხიზლის საკავშირო საზოგადოება ჩამოყალიბდა, რომელშიც სულ მალე ბლომად ჩინოვნიკი და კარიერისტი გაერთიანდა.




## ბორჯომი "სტოლიჩნაია" და კონიაკის ჩაი

ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, რიგითი მოქალაქეები იჩაგრებოდნენ, არა ე.წ. "ალკაშები", არამედ ნორმალური ადამიანები, რომლებიც არც ისე ბევრს სვამდნენ, თუმცა დღესასწაულებს აუცილებლად სასმელით აღნიშნავდნენ, დაბადების დღეებს, ქორწილებსა და ა.შ. ასეთ "ღონისძიებებზე" (თუ ღვინისძიებებზე) ალკოჰოლი აკრძალული იყო, დაიწყო უალკოჰოლო ქორწილებისა და დაბადების დღეების ეპოქა (იმ პერიოდში, საქართველოში ერთმა ძალზე ცნობილმა კომკავშირულმა წყვილმა ლიმონათით გადაიხადა ქორწილი), თუმცა პრაქტიკამ აჩვენა, რომ გამჭრიახი საბჭოთა ადამიანისთვის არც ისე ადვილი იყო კისრის მოგრეხა. ზოგი არაყს ბორჯომის ბოთლში ასხამდა, შამპანურს გაზიანი წყლის სიფონებში, კონიაკს კი ჩაიდანში. უალკოჰოლო ღრეობები სერიოზულ ქეიფში გადაიზრდებოდა ხოლმე და მას ექსტრიმის ელემენტებიც ახასიათებდა (ექსტრემალური განცდები ძირითადად შემოსწრებულებთან იყო დაკავშირებული).

დიდი ამბები ტრიალებდა რესტორნებშიც, სადაც განუწყვეტელი გაწევ-გამოწევა იყო მეორე ას გრამზე და ა.შ. თუკი ოფიციანტის დათანხმებას ვერ ახერხებდნენ, სხვა ხერხებს მიმართავდნენ. მაგალითად, ძალიან ბევრი იყო ისეთი, ვინც თავისი "ფლიაჟკით" მიდიოდა რესტორანში და ჩასარტყმელად ტუალეტში შერბოდა. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ნელ-ნელა გააცნობიერა კამპანიის აბსურდულობა და მიღებული ზომების არაეფექტურობა: "თავისთავად იდეა არ იყო ცუდი, მაგრამ საქმეში ვერ ივარგეს. ყველაფერი თანდათანობით უნდა მომხდარიყო, წლების განმავლობაში..." - იხსენებდა მოგვიანებით გორბაჩოვი, თუმცა 1986-1987 წლებში ვერ ბედავდა კამპანიის შეჩერებას და შეცდომების აღიარებას.

## შინნახადების ბუმი

ანტიალკოჰოლური კამპანიის ყველაზე საშინელი შედეგი შინ გამოხდის, "სამოგონის კულტურის" აღზევება იყო. ყველგან ხდიდნენ, სოფელში, ქალაქში - "კომუნალკებსა" და კორპუსებში. ამისთვის შაქარი იყო საჭირო, ამიტომ 1986-1988 წლებში სერიოზული მოთხოვნილება იყო ამ პროდუქტზე. შესაბამისად გაჩნდა დეფიციტიც და კოლოსალური რიგებიც. შაქრის ტალონები ყველგან შემოიღეს, მოსკოვსა და ლენინგრადშიც კი, მაგრამ დეფიციტის პრობლემა ამან მაინც ვერ მოხსნა. მაგალითად ლენინგრადში შაქრის ნორმა ერთ სულ მოსახლეზე 2 კგ. იყო. ზოგისთვის ამდენი შაქარი ზედმეტიც იყო, მაგრამ რადგან იძლეოდნენ, უნდა აგელო. ეგორ ლიგაჩოვი აღიარებდა, "ხალხს გამომგონებლობის საოცარი ნიჭი აღმოაჩნდა, რომ მოგენდომებინა სახდელი აპარატების კოლოსალურ გამოფენას გამართავდი კაცი".

არყის წარმოების შემცირებით უზარმაზი შავი ბაზარის გაჩნდა, სადაც ისევ მაღაზიის მუშაკები და სპეცბაზების ხელმძღვანელები ტრიალებდნენ. აუარება წერტილი გაჩნდა, სადაც ნებისმიერ დროს ნებისმიერი რაოდენობის არაყი შეგეძლო გეყიდა. ერთი ბოთლის ფასი ზოგჯერ 30-40 მანეთს აღწევდა, რომელიც სახელმწიფო ფასზე 3-4-ჯერ უფრო მეტი იყო.

## ოდეკოლონები

ბევრი, ვისაც "სამოგონის" ფული არ ჰქონდა, ალტერნატიულ პროდუქტზე გადავიდა. სწორედ ამ დროს გაქრა აფთიაქებიდან ყველა სახის სპირტიანი ნაყენი, პარფიუმერიის მაღაზიებში კი "ტროინოი" ოდეკოლონზე არყის რიგები იდგა. სვამდნენ ყველაფერს რაც სპირტს შეიცავდა: ლოსიონებს, სპრეებს, ფანჯრების სარეცხ საშუალებებს და სხვა ტექნიკურ ქიმიკატებს. თავზეხელაღებულებმა დიხლოფოსსა და სამუხრუჭე სითხესაც გაუსინჯეს გემო. ამგვარი ექსპერიმენტები ძალიან ცუდად მთავრდებოდა, ბევრი იწამლებოდა, ბევრი კი უკანასკნელად ატარებდა მსგავს ექსპერიმენტს. გავრცელდა ტოქსიკომანია, წებოს, საღებავისა და ა.შ. ყნოსვის ტრადიცია ამ პერიოდში დამკვიდრდა (თუმცა ზოგი ექიმისა და სოციოლოგის აზრით, ტოქსიკომანებისა და ნარკომანების გაჩენა ანტიალკოჰოლურ კამპანიას არ უკავშირდებოდა, ეს უბრალო დამთხვევა იყო).

თუმცა, როგორც ამბობენ, ანტიალკოჰოლურ მოძრაობას თავისი პლიუსებიც აღმოაჩნდა. ოფიციალური თუ არაოფიციალური მონაცემებით ალკოჰოლის მოხმარება ძალიან შემცირდა. გარდა ამისა შემცირდა ალკოჰოლით გამოწვეული სიკვდიალიანობა, მოტეხილობები, ხულიგნობის, ჩხუბის ფაქტები და ა.შ.

ოცი წლის შემდეგ რუსეთში კვლავ დგას მშრალი კანონის საკითხი (საქართველოზე და "პერესტროიკის" დროინდელ მშრალ კანონზე მომავალში ცალკე წერილს შემოგთავაზებთ), რადგან დღეს გაცილებით მეტი ისმება (წელიწადში 14-18 ლიტრი ერთ სულ მოსახლეზე), ვიდრე 1984-1985 წლებში და რუსეთის მთავრობა სერიოზულად მუშაობს ალკოჰოლის შეზღუდვის პრობლემაზე. ზოგიერთი მხარის გუბერნატორმა უკვე პირველი "უკაზებიც" გამოუშვა ამის თაობაზე. ერთი სიტყვით, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, მანამდე კი ანეკდოტებით გავიხსენოთ ოცწლისწინანდელი მოვლენები.

■ 1988 წელს, ყირიმში ერთ-ერთ მაღაზიის კარებზე დიდი პლაკატი იყო გამოკრული - "სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა!". იმავე კარების მეორე მხარეზე კი განცხადება იკითხებოდა - "ნორმა - კაცზე ორი ბოთლი".

■ ხალხი ამბობდა, რომ ანტიალკოჰოლური კანონის გამოქვეყნებამდე მამაკაცების 40 პროცენტი ვერ ათავებდა, გამოქვეყნების შემდეგ კი 60 პროცენტს დაწყება არ შეეძლო.

■ მაშინ ასეთი ლოზუნგიც გაჩნდა: უალკოჰოლო ქორწილიდან - ქალწულებრივ ჩასახვამდე.

■ არყის რიგებს "გორბაჩოვის ყულფი" უწოდეს.

■ ერთი ლოთი ეკითხება მეორეს:

- ატომური ბომბი რაა?

- როცა არც შენ იარსებებ, არც არაყი, არც მე, არც არავინ.

- ნეიტრონული ბომბი რაღაა?

- როცა მე და შენ არ ვიარსებებთ, არაყი კი იქნება.

- მისმინე, ამისთანა რა ააფეთქეს ამ ჩემისებმა, მე და შენ ვარსებობთ და არაყი კი არაა?

■ ანტიალკოჰოლური კამპანიის დროს დირექტორს და მდივან ქალს კაბინეტში ჩაკეტვისაც კი ეშინოდათ, რათა ვინმეს არ ეფიქრა არაყს სვამენო.

■ ხუმრობით ორი მედალი შემოიღეს. მედალი ვაჟკაცობისთვის - მათთვის ვინც არ სვამს და მედალი მამაცობისთვის - მათვის ვინც სვამს.

■ რატომ იმატა "უკაზის" შემდეგ გაყრებმა:

უბრალოდ, ქმრების უმრავლესობამ პირველად შეხედეს თავიანთ ცოლებს ფხიზელი თვალით.






# პრეზიდენტ გამსახურდიას გადასვენება გროზნოში

**მერაბ კიკნაძე**
*დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი*

1994 წლის 5 იანვარს დილის 4 საათზე გროზნოში, "ნეფტიანკაზე", ნაქირავებ ბინაში, სადაც ცოლთან და მცირეწლოვან ვაჟთან ერთად ვცხოვრობდი, ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ბესარიონ გუგუშვილის ცოლმა, **ლია ერგემლიძემ** ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ამბავი შეგვატყობინა. რამდენიმე წუთში **სოსო თორია** მოვიდა და ერთად სასტუმრო "კავკაზში" წავედით, სადაც სამეგრელოდან ამ ამბის ჩამომტანი ზვიადის ორი მცველი - **ბაჩუკი გვანცელაძე** და **ზაზა ბურჯანაძე** იმყოფებოდნენ. **ბესო გუგუშვილი** ორ სხვა მცველთან - **რობინზონ მარგველანთან** და **გოჩა კეკენაძესთან** ერთად სამეგრელოში დარჩა. იქაური ამბების აღწერას აქ არ მოვყვები - ეს ყველაფერი დეტალურად აქვს მოთხრობილი თავად ბესარიონ გუგუშვილს და სხვა თვითმხილველებსაც. ერთს კი ვიტყვი: არავითარი საფუძველი ამ ხალხის პატიოსნებასა და ერთგულებაში ეჭვის შეტანისა არასოდეს გამჩენია. სამწუხაროა, რომ გარკვეულ მიზეზთა გამო ეს აუტანელი ტვირთი ძირითადად ამ ადამიანებს დააწვა.

ასე დასრულდა სრული გაურკვევლობა, რომელმაც 1993 წლის 5 ნოემბრიდან - ზუგდიდიში ადმირალ ბალტინის "ძლევამოსილი მარშის" შემდეგ დაისადგურა. ამ ორი თვის განმავლობაში ზვიადის შესახებ გროზნოში არაფერი ვიცოდით, გარდა რამდენიმე მწირი ცნობისა. 16 თუ 17 დეკემბერს სამეგრელოდან **გურამ აბსანძემ** ჩამოაღწია - როგორც ყოველთვის, მხნე და ოპტიმისტურად განწყობილი ჩანდა. ეს იყო და ეს. მანამდე კი ჩვეულებრივად გაცხოველებული მიმოსვლა საქართველოდან შეწყდა, თუ არ ჩავთვლით ბესო გუგუშვილის სიყმაწვილის მეგობრის, აწ უკვე გარდაცვლილი **არჩილ საჯაიას** რეგულარულ ჩამოსვლებს. ამ კაცის მეგობრული ერთგულება და თავდადება საარაკოა. 1992 წლიდან მოყოლებული, გროზნოში ოცჯერ თუ მეტად მოახერხა ჩამოსვლა და მთელს იქაურ ქართველობას, რითაც შეეძლო, გვამაგრებდა.

იმ დღესვე თბილისში ჩეჩნეთიდან სამთავრობო დელეგაცია გაფრინდა. ასეთი ოპერატიულობა გარდა ჭირისუფლობის ბუნებრივი გრძნობისა, იმითაც იყო გამოწვეული, რომ პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ ცნობის გავრცელებისთანავე **ჯ. იოსელიანმა** განაცხადა: "გამსახურდია ჩეჩნებმა თავად მოკლეს გროზნოში და გვამი საქართველოში ჩამოიტანესო". ამ დელეგაციამ შევარდნაძეს **ჯოხარ დუდაევის** სურვილი გადასცა - საქართველოს პირველი პრეზიდენტის თბილისში შესაფერისი პატივით დაკრძალვის შესახებ და იმ დღესვე დაბრუნდა (თუ მეორე დღეს, ზუსტად არ მახსოვს).

ჩეჩნებს თბილისიდან ქართული დელეგაცია ჩამოჰყვა. მათთან სამუშაო შეხვედრაზე მეც დამიძახეს. შეხვედრას ვიცე-პრეზიდენტი **ზელიმხან იანდარბიევი** და ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ესწრებოდნენ. უკვე ამ დროისათვის, მიუხედავად უმძიმესი სულიერი მდგომარეობისა, პრეზიდენტ გამსახურდიას ქვრივმა ქ-ნმა მანანამ სავსებით ნათლად ჩამოაყალიბა ზვიად გამსახურდიას ნეშტის გროზნოში გადმოსვენების სურვილი. ამის გამო მეც მკითხა რჩევა და დავეთანხმე, თუმც ისიც ვუთხარი: - ამით ოჯახი გროზნოს მიეჯაჭვება, რისთვისაც ძალიან მეცოდებით-მეთქი. ცხადი იყო, რომ ჩეჩნეთში ომის ზღვარზე ბალანსირების მდგომარეობა დიდხანს აღარ გასტანდა. ამ გადაწყვეტილებით მივედი ზემოხსენებულ შეხვედრაზე, როგორც პრეზიდენტის ოჯახის წარმომადგენელი, და არა დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე.



შეხვედრაზე მისულმა აღმოვაჩინე, რომ "ქართული დელეგაცია" პროკურატურის, უშიშროებისა და შსს გამომძიებლებით დაკომპლექტებული ჩვეულებრივი საგამოძიებო ჯგუფია, რომელიც საგამოძიებო ქმედებათა ჩასატარებლადაა ჩამოსული. "უბრალო საქმე ხომ არაა, ის კაცი საქართველოს პრეზიდენტი იყო... მოწმეები უნდა დავკითხოთ..." - განაცხადეს. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. "თოფს რომ ესროდით, მაშინ არ იყო პრეზიდენტი?" - ვკითხე. ამან გარკვეულწილად ჩეჩნების შეშფოთებაც გამოიწვია - განსაკუთრებით შს მინისტრის. საუბარი ჩემი მოთხოვნით რუსულად მიდიოდა. "ამ ხალხმა (ჩეჩნებს ვგულისხმობდი) შუამავლობის უკიდურესად საპასუხისმგებლო ტვირთი იკისრა და აქ მათთვის გაუგებარი არც ერთი სიტყვა არ უნდა ითქვას"-მეთქი. ჩეჩნებს პრეზიდენტის ოჯახის გადაწყვეტილება ვაცნობე, ცხადი იყო, რომ "დელეგაციას" არანაირი ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნდა, ამიტომ ვურჩიე, რომ ეს "უფროსებისათვის" გადაეცათ. ვეცადე ისიც ამეხსნა, რომ ეს გადაწყვეტილება შევარდნაძის რეჟიმისათვისაც მაქსიმალურად ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, რადგან თავიდან აარიდებდა სავარაუდო მასობრივ გამოსვლებსა და არეულობას. ამის შემდეგ შეხვედრა დავტოვე და თათბირი უჩემოდ გაგრძელდა.

იმავე საღამოს "კოშკში" პრეზიდენტის გვარდიის მეთაური, **აბუ არსანუკაევი** მოვიდა - "ბაჩუკის ჯოჰარი იბარებსო". "ბაჩუკიმ მხოლოდ დაკრძალვის ადგილი იცის, რაც შეეხება ოჯახის აზრს, ჯოჰარს მე უკეთ გადავცემ"-მეთქი. ამას მცირე შელაპარაკებაც მოჰყვა, მაგრამ საბოლოოდ ჯოჰართან მე და აბუ წავედით. იქ უკვე დაგვხვდნენ თვით ჯოჰარ დუდაევი, ზელიმხან იანდარბიევი, ჩეჩნეთის პარლამენტის წევრი, ქისტი **მათე ციხესაშვილი** და რამდენიმე ადამიანი, ვისი ვინაობაც აღარ მახსოვს. ჯოჰარს პრეზიდენტის ოჯახის თხოვნა გადავეცი ზვიადის ნეშტის გროზნოში გადმოსვენების შესახებ - რა თქმა უნდა, თუ ეს შესაძლებლად ჩაითვლებოდა. ისიც ვუთხარი, რომ თბილისიდან ჩამოსული ხალხი დელეგაცია კი არა, საგამოძიებო ჯგუფია, რომელიც ზვიადის ერთგულ თანამებრძოლებს - სულ ცოტა - დაკითხვას უპირებს. ჯოჰარმა წუთიერი ფიქრის შემდეგ თქვა: "ჩვენთვის ოჯახის სურვილი - კანონია" და ამ საკითხზე დისკუსია ჩანასახშივე შეწყვიტა. შემდეგ იანდარბიევს მიუბრუნდა და სთხოვა, ყველაფერი გადაედო და ამ საქმისათვის მიეხედა, რასაც ზელიმხანი უსიტყვოდ დაეთანხმა.

მეორე დღიდან დაიწყო სატელეფონო მოლაპარაკების 40-დღიანი უაზრო მარათონი, რომელსაც ზელიმხანი მათე ციხესაშვილის დახმარებით აწარმოებდა. ოჯახის მოთხოვნები ხუთ პუნქტად ჩამოვაყალიბეთ: იქმნება შერეული საერთაშორისო კომისია; ადგილზე ხდება მხოლოდ ამოცნობა; არ ტარდება სამედიცინო ექსპერტიზა (ქ-ნ მანანას განსაკუთრებული მოთხოვნა); ნეშტი დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადასვენებული ჩეჩნეთში; ამ საქმეში ჩართულ ყველა ადამიანს ეძლევა პირადი უსაფრთხოებისა და ხელშეუხებლობის გარანტიები.

"ოფიციალური თბილისის" მხრიდან ამ მოლაპარაკებაში თავიდან უშიშროების მინისტრის მოადგილე **ა. იოსელიანი** მონაწილეობდა, მოგვიანებით "სამთავრობო კომისია" შეიქმნა და სათავეში **ავთანდილ მარგიანი** ჩაუყენეს - როგორც ჩანს, ამ საქმისათვის შესაფერისი გონებაგახსნილობის გამო. მოლაპარაკებებში საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა **გურამ შარაძეც**, რომელიც თავს ორივე მხარეს შინაურად თვლიდა.

მოთხოვნების თითოეული მუხლი გაუთავებელი და მომქანცველი კამათის საგნად იქცა. ცხადი იყო, რომ თბილისიდან უბრალოდ დროს ჭიმავდნენ - სავარაუდოდ, პრეზიდენტის საფლავის მიგნების იმედით. ნერვები ისე გადაიძაბა, რომ დაცვის ბიჭები ჩეჩნებთან ერთად პრეზიდენტის ნეშტის ფარულ გადმოსვენებაზეც კი ალაპარაკდნენ. ზელიმხან იანდარბიევმა გასაოცარი მოთმინება და პრინციპულობა გამოიჩინა და ჯიუტად, მეთოდურად იცავდა მოთხოვნების თითოეულ მუხლს. მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ ლამის ყოველდღიურად ანგარიშს აბარებდა ჯოჰარ დუდაევს.

ერთ-ერთი ასეთი ანგარიშის შემდეგ, გვიან საღამოს, ჯოჰარმა დამიმარტოხელა და მკითხა: "ოჯახი როგორ არის?". მე ვუთხარი: "მდგომარეობის შესაბამისად"-მეთქი. "წამოდი, ვინახულოთ"...

ამ ამბის შეტყობის შემდეგ ჯოჰარის მეუღლე **ალა დუდაევა** ხშირად დადიოდა ქ-ნ მანანასთან. თავად ჯოჰარს კი, როგორც ჩანს, ეს ძალიან ემძიმებოდა. საერთოდ, "თავზეხელაღებული გენერალი" ახლოდან საკმაოდ მგრძნობიარე, გულჩვილიც კი ჩანდა. ზვიადის გარდაცვალების შემდეგ კი თვალებში სხვანაირი სევდა ჩაუდგა...

მივედით "კოშკში". პრეზიდენტის ქვრივი იმდენად მძიმედ იყო, რომ ლოგინიდანაც კი ვერ წამოდგა... ჯოჰარმა რამდენიმე საათი ზვიადის ოჯახთან ერთად გაატარა. "მე წინააღმდეგი ვიყავი ზვიადის საქართველოში დაბრუნების, მაგრამ ვერაფერი გავაწყვეო"... "ელცინს მოსკოვში ისეთი პრობლემები ჰქონდა, თითქოს საქართველოსათვის ვერ უნდა მოეცალა"-მეთქი (მოსკოვის არეულობას ვგულისხმობდი). "რუსები ჩვენთვის ყოველთვის მოიცლიანო"... სხვათა შორის, მაშინ თქვა: "დანამდვილებით ვიცი, რომ ჯარი ყაზარმიდან ვერაფრით ვერ გამოიყვანეს, მაგრამ ბოლოს გაიდარი ვენაში გადაფრინდა, 10 მლნ. დოლარი ნაღდი ფული ჩამოიტანა და დუმის შტურმისათვის "ალფას" დაურიგაო"...

თუ სწორად მახსოვს, იანვრის ბოლოს საქართველოდან გროზნოში მეორე, "საზოგადოებრიობის წარმომადგენელთაგან" შედგენილი დელეგაცია ჩამოფრინდა - ამჯერად ბევრად უფრო ხალმხრავალი და შეუდარებლად უფრო ეკლექტური, რადგან სანახევროდ "ზვიადისტებისაგან", სანახევროდ კი "სამოქალაქოში გამოწყობილი ბიჭებისაგან" შედგებოდა. ერთ-ერთი ამათგანი, რომელიც წინა დელეგაცის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა, დუდაევთან გამართულ მიღებაზე სატაბელო იარაღით შესვლას ცდილობდა... დელეგაციას გურამ შარაძე ხელმძღვანელობდა.

ამ შეხვედრაზე ჯოჰარი ხაზგასმით გულითადი და "აპოლიტიკური" იყო. "ჩვენ, პოლიტიკოსები, ძალიან ბევრს ვცოდავთ. თქვენ - ინტელიგენციას - ჩვენზე ბევრად უფრო მეტი სასარგებლო საქმის გაკეთება შეგიძლიათ... აბა რასა ჰგავს, პოლიტიკოსთა დაპირისპირებას თბილისში კავკასიური სულიერების კერა - "კოლხური კოშკი" შეეწირა... მე მესმის, რომ საქართველოს ხელისუფლებას საკმარისი სახსრები არა აქვს... ჩვენ ყველანაირად ხელს შეგიწყობთ - მასალითაც, მუშახელითაც - ეგებ ერთიანი ძალისხმევით აღვადგინოთო"...

ამან გურამ შარაძე განსაკუთრებით აღაფრთოვანა და შეხვედრის შემდეგ მითხრა: "ეს რა კაცი ყოფილაო!" "ეს იგივეა, რუსებს ვინმემ რომ შესთავაზოს: Ясная Поляна დაგინგრევიათ და ჩვენ აღგიდგენთ... თქვენი არ ვიცი, მე კი სირცხვილის ოფლმა დამასხა"-მეთქი. "მართალია, მე ამ კუთხით არ შემიხედავსო," - ცოტათი შეცბა.

ამ მისვლა-მოსვლისა და ყოველდღიური სატელეფონო საუბრების მიუხედავად, საქმე ადგილიდან არ დაძრულა. თბილისში ელცინის ჩამოსვლა იყო დაგეგმილი თებერვლის პირველ რიცხვებში და როგორც ჩანს, ამ საქმეში "დიდი ძმის" სანქციას ელოდებოდნენ.

ჩეჩნური მხარე ბევრს ეცადა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები მოეზიდა, მაგრამ ამ მოწოდებას მეზობელი ინგუშებისა და ლიტველების გარდა არავინ გამოეხმაურა. ლიტვიდან საგანგებოდ ოთხკაციანი ჯგუფი ჩამოვიდა, მათ შორის - ორი ლიტვის სეიმის წევრი და ერთი დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი, მაგრამ ერთკვირიანი ლოდინის შემდეგ უკანვე გაბრუნდა. "როგორც კი გადაწყდება გადმოსვენება, მაშინვე დავბრუნდებითო," - დაგვპირდნენ.

პრეზიდენტმა დუდაევმა დაკრძალვის ადგილის შესახებ არჩევანის გაკეთება მთლიანად ოჯახს მიანდო. რამდენიმე ალტერნატივა განიხილებოდა, მათ შორის: შეიხ მანსურის მოედანი (გროზნოს მთავარი მოედანი) და იქაური რუსული ეკლესიის ეზო. ეს უკანასკნელი სერიოზული განსჯის საგნად იქცა. პრეზიდენტის ვაჟ **ცოტნესთან** ერთად ეკლესია დავათვა-

ლიერეთ და დავრწმუნდით, რომ იქ შესაფერისი ადგილი არ მოიძებნებოდა. არჩევანი საბოლოოდ იქაური "კოშკის" ეზოზე შეჩერდა. საუბარია სამთავრობო რეზიდენციაზე, სადაც პრეზიდენტმა გამსახურდიამ გროზნოში ყოფნის ორი არასრული წელი გაატარა. მოგვიანებით ეს სახლი და მისი ეზო პრეზიდენტმა დუდაევმა საგანგებო ბრძანებულებით პრეზიდენტ გამსახურდიას ოჯახს გადასცა.

ჯოჰარ დუდაევს ოჯახის არჩევანი გადავეცი. "ეკლესიაზე თავი რატომ შეიკავესო," - იკითხა. "ჩათვალეს, რომ ეს არასწორი იქნებოდა. თქვენ ხომ უკეთ იცით, რომ თქვენი და პრეზიდენტ გამსახურდიას ურთიერთობა კონფესიებზე უფრო მაღლა იდგა"-მეთქი. ამის გაგონებაზე აღელვება ვერ დამალა.

ამასობაში თბილისში ჩამოსულ ელცინს თეთრი ჩოხით და ქამარ-ხანჯლით მოკაზმულმა ჯაბა იოსელიანმა წარმატებით უმასპინძლა და საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა. დიდი ყოყმანის შემდეგ, თებერვლის შუა რიცხვებში, ოჯახის ხუთივე მოთხოვნას დათანხმდნენ. ამ დროისათვის გროზნოში ჯერ პრეზიდენტის დაცვის დარჩენილმა ორმა წევრმა - რობინზონ მარგველანმა და გოჩა კეკენაძემ, მოგვიანებით კი - ბესარიონ გუგუშვილმაც ჩამოაღწიეს. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ბესოს მეუღლის - ლია ერგემლიძის უმაგალითო თავშეკავება და მხნეობა, რომელიც მთელი ამ აუტანელი გაურკვევლობის პერიოდში გამოავლინა.

საქმე გადასვენებაში მონაწილე პირთა სიის შეთანხმებაზე მიდგა. გროზნოდან გაგზავნილ სიაში სხვებთან ერთად უზენაესი საბჭოს ოთხი წევრისა და პრეზიდენტ გამსახურდიას ოთხი პირადი მცველის გვარი ფიგურირებდა. თბილისიდან დაბრუნებულ სიაში ოთხივე დეპუტატის, მათ შორის ჩემი გვარიც ამოშლილი აღმოჩნდა. გამოდიოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტის გადმოსვენებაში ქართული მხარე მხოლოდ პრეზიდენტის მცველით, ანუ მეგზურით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი და მთელი საფრთხე - ვინ იცის, რა დაგეგმილი პროვოკაციებისა - მხოლოდ ჩეჩნებს უნდა დასწოლოდა. ზელიმხანთან - დელეგაციის მეთაურთან - მივედი და ვთხოვე, რომ თან წავეყვანე. "ვერაფრის გარანტიას ვერ მოგცემ. Хочешь - езжай под свой страх и риск," - იყო პასუხი.

15 თებერვალს, გვიან ღამით, პრეზიდენტის ოჯახს დავემშვიდობე. ზვიადის უმცროსმა ვაჟმა, 14 წლის **გიორგიმ,** რომელიც ყველაზე უფრო მეტად ინარჩუნებდა მხნეობას, კარებამდე გამომაცილა, მცირე ზომის ფსალმუნნი მომცა და მითხრა: "თუ გაგიჭირდეს, 90-ე ფსალმუნი წაიკითხე." თან დაამატა: "თუ რამე დაგემართა, იცოდე - შენ შვილს მე ვუპატრონებო."

16 თებერვალს, დილით, ტუ-135 თვითმფრინავი გროზნოდან თბილისში გამოფრინდა. დელეგაციაში შედიოდნენ: ჩეჩნეთის ვიცე-პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ჩეჩნეთის პარლამენტის წევრი მათე ციხესაშვილი, ინგუში დისიდენტი და ზვიადის მეგობარი **ისა კოძოევი**, ლიტველები: ჯოჰარის მეგობარი და თანამებრძოლი **ვიტაუტას ეიდუკაიტისი**, სეიმის წევრი **ალგირდას პატაცკასი**, აგრეთვე ზელიმხანის დაცვის რამდენიმე წევრი; ქართველებიდან - რობინზონ მარგველანი და მე.

მიღწეული შეთანხმების თანახმად, თბილისში პროცედურული დეტალების საბოლოო დაზუსტების შემდეგ თვითმფრინავი სენაკში უნდა გადაფრენილიყო. თბილისში დაფრენისთანავე დელეგაცია სრული შემადგენლობით მოსალაპარაკებლად გაემართა. მე და რობინზონს წინასწარ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ მოლაპარაკებაზე არაფერი გვესაქმება, თუ რაიმე აუცილებლობა არ მოითხოვს და რომ პროცედურაში საბოლოო სტადიაზე ჩავერთვებით. ასეც მოხდა და თვითმფრინავში მარტონი დავრჩით. დაშვებისთანავე თვითმფრინავში გურამ შარაძე ამოვიდა, რომელსაც ჩემს დანახვაზე ფერი ეცვალა: "შეუთანხმებლად რატომ ჩამოხვედით, ახლა აქ ავთანდილ იოსელიანი ამოვა, მე პასუხს თქვენს უსაფრთხოებაზე ვერ ვაგებო" - და მალევე უკან გაბრუნდა. იოსელიანმაც, რომელსაც მაშინ არ ვიცნობდი, არ დააყოვნა. "თბილად" მოგვესალმა და ხელიც გამოიშვირა. მე არ ჩამოვართვი. "ხელს რატომ არ მართმევ?"- იკითხა. "არ გიცნობ და იმიტომ"-მეთქი. "მალე გამიცნობ!" - თქვა და წავიდა. თვითმფრინავს ტრაპი მოხსნეს და დაცვა დაუყენეს.

გამოირკვა, რომ "დეტალების დაზუსტებამ" ახალი სიმწვავე და დამხვდურების მხრიდან ყოყლოჩინობის ხასიათი შეიძინა. განსაკუთრებულად თურმე **ანზორ ბალუაშვილი** ცხარობდა: "თვითმფრინავში კრიმინალები გყავთ და ახლავე მათი დაკავების განკარგულებას გავცემო." "თვითმფრინავი ჩეჩნეთის ტერიტორიაა და ამის გაკეთებას არ გირჩევთო," - აუღელვებლად უპასუხა ზელიმხანმა. ესეც შენი под свой страх и риск! საბოლოოდ ზელიმხანის წყნარმა შეუვალობამ გაჭრა. გადაწყდა, რომ მეორე დღეს დილით სენაკში გადავფრინდებით და ყველაფერი პრეზიდენტის ოჯახის მოთხოვნების თანახმად ჩაივლის. ბალუაშვილის ყელყელაობასთან დაკავშირებით შარაძეს დანარჩენებისათვის უთქვამს: "რა გჭირთ, საქმე რომ ისრაელის პრეზიდენტს ეხებოდეს, ქართველს ამდენს ალაპარაკებდნენო?"

მოლაპარაკებების შუალედში თვითმფრინავში მათე ციხესაშვილი, გივი ლომინაძე, მიქელაძე და ავთანდილ იოსელიანი ამობრუნდნენ. იოსელიანმა რობინზონ მარგველანი დაიმარტოხელა და ეუბნება: "დაკრძალვის ადგილი უნდა გაამხილო - სხვანაირად არაფერი გამოვა. ხვალ იქ ხომ უსაფრთხოება უნდა უზრუნველვყო." რობინზონი შეცბუნებული ჩანს... "მითხარი, ჯაღრაშია, არა?" რობინზონმა თავი დაუქნია. "ასეც ვიცოდი!" - კმაყოფილმა იოსელიანმა ტაში შემოჰკრა.

მე ეს საუბარი ყურმოკვრით მესმოდა და ფერი მეცვალა. აკი მოვილაპარაკეთ, რომ დაკრძალვის ადგილს არ გავამხელთ, სანამ უშუალოდ იქ არ ავღმოჩნდებით! ზუსტი ადგილი მე არც ვიცოდი - რაში მჭირდებოდა? რობინზონისაკენ უკმაყოფილო მზერა გამეპარა. რობინზონს ჩაეღიმა და თვალი სხვებისათვის შეუმჩნევლად ჩამიკრა. ჩეკას "მზაკვრობას" სვანურმა "გულუბრყვილობამ" აჯობა...

თვითმფრინავიდან ჩემი ჩამოსვლის საკითხი ღიად დარჩა. მე მოვითხოვე, რომ პროცედურის საბოლოო სტადიაში ჩემთვის მონაწილეობის საშუალება მოეცათ. ამაზე იოსელიანმა მიპასუხა: "შენზე საქმეა აღძრული. თვითმფრინავიდან რომ ჩამოგიშვა, პირდაპირ საკანში უნდა მიგაბრძანო". მეორე დილით ზელიმხანმა თქვა: "არა უშავს, შენი მონაწილეობის აუცილებლობას ვერ ვხედავო". უსიტყვოდ დავეთანხმე.

დაღამდა. მოლაპარაკების მონაწილენი "საქმის ღირსეულად დამთავრების აღსანიშნავად" გაემართნენ. თვითმფრინავში დავრჩით მე, რობინზონი და ზელიმხანის დაცვის ოთხი წევრი. მთელი ქალაქი ჩაბნელებულია - აეროპორტის ჩათვლით. ყინავს. თვითმფრინავი კონსერვის ქილასავით მყისიერად გაიყინა. გვცივა და გვშია. კიდევ კარგი, ვიტას ეიდუკაიტისს გავახსენდით: "ბანკეტიდან" მცირეოდენი სანოვაგე, რამდენიმე ბოთლი ღვინო მოგვიტანა და რის ვაივაგლახით თვითმფრინავში ამოგვაწოდა (ტრაპი კვლავ მოხსნილი იყო).

მუსლიმებისათვის განსაკუთრებით მკაცრი მარხვის თვე - რამადანი იდგა. სანოვაგის დიდი ნაწილი კი ღორის ხორცია. ჩეჩნები გვეკითხებიან: "ეს რა არის?" ორჭოფულ მდგომარეობაში ავღმოჩნდით. ფრთხილად შევაპარე: "მგონი ღორის ხორცია"-მეთქი. "არა უშავს, მგზავრობისას ყველაფერი დასაშვებია!" - ერთად მივირთვით და ღვინოც დავაყოლეთ. ასეთია "ისლამური ფუნდამენტალიზმის" ჩეჩნური ვარიანტი. თუმცა ღვინომაც ვერ გვიშველა და მთელი ღამე თვითმფრინავში დავრბოდით, რომ არ გავყინულიყავით.

მეორე დილას თბილისიდან სენაკში ერთი ვერტმფრენის თანხლებით გავფრინდით. ქართული მხარის თხოვნით, თვითმფრინავში დამატებით უშიშროების სპეცრაზმიც განთავსდა, რადგან ვერტმფრენში ვერ დაეტია. თვითმფრინავში საწვავის ჩამატება გახდა აუცილებელი, რაშიც "გულუხვმა მასპინძლებმა" ჩეჩნებს თანხა საერთაშორისო ნიხრის მიხედვით გამოართვეს. ამაზეა ნათქვამი: "ძმამ ძმას ანგარიში უყოო..." ერთმა ჩეჩენმა, რომელზეც სპეცრაზმმა სათანადო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, მითხრა: "ასეთი ჯარით საქართველოს ძალიან გაუჭირდებაო." - ამათ ქართულ ჯართან არაფერი ესაქმებათ-მეთქი. სხვა რა მეთქმოდა...

ჩავფრინდით სენაკში. დელეგაციამ ვერტმფრენში გადაინაცვლა და რობინზონის მეგზურობით ჯიხაშკარისაკენ გაფრინდა, სადაც პრეზიდენტ გამსახურდიას ნეშტი დროებით **ზარანდიების** ოჯახში დაეკრძალათ. რობინზონმა ადგილი ჰაერიდანვე იპოვა. ყველაფერი საკმაოდ სწრაფად დამთავრდა. ზელიმხან იანდარბიევმა მარგიანს ხელშეუხებლობის პირობა შეახსენა. მარგიანმა თურმე იუკადრისა: "რა დევნა, როგორ გეკადრებათ, კვირიკეს ხატზე დავიფიცებ, რომ ამათ არავინ ხელს არ ახლებს. პირიქით, მადლობა უნდა გადავუხადოთ ამ ოჯახს, რადგან პრეზიდენტს საკადრისი პატივი მიაგესო." (გროზნოში დაბრუნების შემდეგ შევიტყეთ, რომ ოჯახის ოთხმოც წელს გადაცილებული უფროსი სენაკის პოლიციაში წაიყვანეს და სასტიკად გაუსწორდნენ. მცირეოდენი დროის შემდეგ ეს კაცი გარდაიცვალა. იანდარბიევმა ჩემი თანდასწრებით ტელეფონით უთხრა მარგიანს: "ეს იყო თქვენი პირობაო?" რა პასუხი მიიღო, არ ვიცი.).

პრეზიდენტის ნეშტი ვერტმფრენით სენაკის აეროდრომზე გადმოასვენეს, სადაც კვლავ წამოიწია ექსპერტიზის საკითხმა. ზელიმხანმა და ლიტველებმა თავისი გაიტანეს და ყველაფერი ვიზუალური დათვალიერებით შემოიფარგლა, რომელშიც პათანატომი **თამარ დეკანოსიძე** და პროფესორი **ვახტანგ ბოჭორიშვილი** მონაწილეობდნენ. ვიტას ედუკაიტისი და ალგირდას პატაცკასი აბეზარი ფოტოკორესპონდენტების მოგერიებას უნდებოდნენ. დაახლოებით საათნახევრის შემდეგ ჩეჩნეთიდან წამოღებული ქართული დროშა კუბოს გადავაფარეთ, თვითმფრინავში დავასვენეთ და გროზნოსაკენ გავფრინდით.



ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა
*ბენედეტო კროჩე*



# წმინდა სიცრუე

**ნოდარ ლადარია**
**ლეილა ბეჟარაშვილი**

ოდესღაც ამ ომს ჩვენც "დიდ სამამულოს" ვუწოდებდით. ახლა ვამბობთ: მეორე მსოფლიო ომი. პოლიტიკური ვითარება ხშირად ცვლის ტერმინოლოგიას, თუმცა ორი რამ მაინც უცვლელი რჩება — მსხვერპლის რაოდენობა და კიდევ ერთი რამ: ეს ომი ჩვენს ისტორიაში ყველაზე გასაიდუმლოებული ომია. ჩვენ ადვილად შევეგუებით ამ საიდუმლოს მოხსნას, მაგრამ რუსები...

თუმცა იმათ თავიანთ საქმეს მიხედონ.

1941 წლის ნოემბერში მოსკოვი პანიკით იყო მოცული. სტალინისათვის უკვე მზად იყო ბუნკერი ქალაქ კუიბიშევში. მთავრობა ფაცი-ფუცით წვავდა საიდუმლო საბუთებს, ზოგიერთს კი უბრალოდ ყრიდა. მრავალი შენობა უკვე მოემზადებინათ ასაფეთქებლად. არავის სჯეროდა, რომ დედაქალაქის შენარჩუნებას შეძლებდნენ.

ამასობაში მოსკოვის მისადგომებთან სულს ღაფავდა ყველა შესაძლებელი რესურსი: რეგულარული არმიის გარდა, სახალხო რაზმელები, სამხედრო სასწავლებლების კურსანტები, მილიცია... ვოლოკოლამსკის მიმართულებას იცავდა გენერალ პანფილოვის 316-ე მსროლელთა დივიზია. მართალია, თვით გენერალი ჩვენი ისტორიისათვის სრულიად უმნიშვნელოა, მაგრამ ეს გვარი ახსოვს ყველას, ვისაც საბჭოთა დროს უცხოვრია. მასთანაა დაკავშირებული ერთი სამხედრო-ჟურნალისტური მითი.

16 ნოემბერს გერმანელებმა შეტევა წამოიწყეს. სოფელ დუბოსეკოვოს მიმართულებით ოცზე მეტი ტანკი დაიძრა. ტანკებს წინ აღუდგა 29 მეომრისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა უფროსი კომისარი, ვასილ კლოჩკოვი. ოცდარვა მეომრის სახელი ცნობილია, ერთისა — არა.

ახლა კი ვნახოთ ამ ბრძოლის რამდენიმე პოპულარული აღწერა:

"ორმოცდაათზე მეტი მტრის ტანკი გამოჩნდა 29 საბჭოთა გვარდიელის წინ... მხოლოდ ერთი აღმოჩნდა სულმოკლე, ვინც ხელები მაღლა ასწია. რამდენიმე მებრძოლმა ერთმანეთთან შეუთანხმებლად და ბრძანების გარეშე ერთდროულად ესროლა მოღალატეს". — გასაგებია, რომ სწორედ ეს მოღალატე უნდა ვიგულისხმოთ ოცეულის ერთადერთ უსახელო წევრში.

"ოთხ საათზე მეტ ხანს გასტანა ბრძოლამ. უკვე 14 ტანკი უძრავად გაირინდა ბრძოლის ველზე... ანთებული თვალებით კლოჩკოვმა გადახედა თანამებრძოლებს და წარმოთქვა: ოცდაათი ტანკი დარჩა, მეგობრებო, ალბათ ყველას სიკვდილი მოგვიწევს. დიდია რუსეთი, უკან დასახევი კი არა გვაქვს, უკან მოსკოვია".

"სულ გვარდიელებმა 18 ტანკი და დიდძალი ცოცხალი ძალა გაანადგურეს. ჰიტლერელები ამჯერადაც ვერ გავიდნენ. თვით კომისარიც ხელყუმბარით შეუვარდა მტრის ტანკს, ააფეთქა და გმირულად დაიღუპა".

"პანფილოვის გვარდიელთა სიმტკიცე ქცევის ნორმად იქცა ათასობით მებრძოლისა და მეთაურისთვის".

საკმარისია. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სინამდვილეში გვარდიულის წოდება დივიზიას მხოლოდ 18 ნოემბერს მიენიჭა, აღწერილი მოვლენებიდან ორი დღის შემდეგ. რამე ხომ არ გამოგვრჩა? — ჰო, ის, რომ ხსენებული ლეგიონი დიდი დანაკარგების გამო იძულებული გახდა ახალ პოზიციებზე გადასულიყო, რის გამო მეთაურები თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ესეც ყოველგვარი გმირობის ჩვეული კონტექსტია.

ახლა კი ვნახოთ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები.

გმირების შესახებ პირველი ცნობა 1941 წლის 27 ნოემბერს გაჩნდა გაზეთ "კრასნაია ზვეზდას" ფურცლებზე. მცირე "ნიუსის" ავტორი იყო სამხედრო კორესპონდენტი, ვასილ კოროტეევი. მეორე დღეს იმავე გაზეთში გამოქვეყნდა ლიტერატურული მდივნის, ალექსანდრე კრივიცკის ვრცელი სტატია "28 დაღუპული გმირის ანდერძი". 1942 წლის 22 იანვარს მისივე ნარკვევში პირველად გამოქვეყნდა დაღუპულთა სახელები. ამ მასალებს საბჭოთა პრესა აქტიურად ავრცელებდა, ასე რომ, სულ მალე პანფილოველების ამბავი ყველამ იცოდა. აპრილში კი დასავლეთის ფრონტის სარდლობამ სტალინის წინაშე შუამდგომლობა აღძრა დაღუპულთათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მისანიჭებლად, რაც 1942 წლის 21 ივლისს დაკმაყოფილდა.




# გამარჯვების ფასი

როგორ უნდა მოიქცეს ჯარისკაცი ბირთვული აფეთქებისას? — უნდა ეცადოს ავტომატი გაწვდილ ხელებში დაიჭიროს, რომ გამდნარი ლითონი არ დაეწვეთოს სახაზინო ჩექმებს. ეს ტლანქი სალდათური ხუმრობა ადეკვატურად გამოხატავს რუსული პატრიოტიზმის არსს. და თუმცა არ არსებობს პატრიოტიზმი მითოლოგიის გარეშე, რუსული პატრიოტიზმის ნიშანდობლივი თავისებურება ისაა, რომ აქ მითები არასოდეს წარმოიქმნება სპონტანურად, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი არაცნობიერისაგან, არამედ მათ ყოველთვის ჰყავს ავტორი და აქვს უზენაესი სანქცია.

აი, მაგალითად, სახელგანთქმული კურსკის სატანკო ბრძოლა, რომელიც სოფელ პროხოროვკასთან მოხდა 1943 წლის 12 ივლისს. საბჭოთა სამხედრო ენციკლოპედია და მასთან ერთად მთელი პროპაგანდა ამტკიცებდა, რომ აქ რიცხობრივი უპირატესობით ვერმახტის შეიარაღებული ძალები სარგებლობდა. სინამდვილეში კი რიცხობრივი უპირატესობა გენერალ პეტრე როტმისტროვის მეხუთე სატანკო არმიის მხარეს იყო: გერმანელების მხარეზე იბრძოდა ესესელთა მეორე სატანკო კორპუსი გენერალ ჰაუსერის სარდლობით, რომელშიც შედიოდა 273 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, როტმისტროვის არმიამ კი 850 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი გამოიყვანა. კიდევ უფრო საინტერესოა დანაკარგთა შეფარდება: გერმანელებმა დაკარგეს 5 ტანკი და დაუზიანდათ 54; საბჭოთა ჯარებმა დაკარგეს 334 ტანკი და დაუზიანდათ დაახლოებით 400. მაშ ვინ მოიგო კურსკის ბრძოლა?

როდესაც შედეგები უმაღლეს სარდლობას მოახსენეს, როტმისტროვის ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ სტალინმა განსაჯა, რომ პროპაგანდისათვის აჯობებდა გამარჯვების გამოცხადება. ეფექტი გააძლიერეს იმითაც, რომ არარსებული წარმატებები მიაწერეს ავიაციასაც. მაგალითად, კურსკის კამპანიაში, სატანკო ბრძოლამდე ერთი კვირით ადრე, 6 ივლისს გერმანელებმა სულ 5 თვითმფრინავი დაკარგეს. სამაგიეროდ, ყველა ისტორიული წყარო ამტკიცებს, რომ 6 ივლისს საბჭოთა მფრინავმა, ალექსანდრე გოროვეცმა ერთი გაფრენისას 9 გერმანული გამანადგურებელი ჩამოაგდო და დაიღუპა. არავის მოუთხოვია ასეთ დროს აუცილებელი ფორმალობები: მოწმეთა ჩვენება, ჩამოგდებული თვითმფრინავების ფოტო და ა. შ. სინამდვილეში გოროვეცი მართლაც კარგი მფრინავი იყო: დაღუპვამდე მან 73 საბრძოლო გაფრენა ჩაატარა — სხვები გაცილებით უფრო ადრე იღუპებოდნენ.

ამგვარად გაგებულ პროპაგანდისტულ გმირობას თან ბევრი შეუსაბამობაც ახლავს. მაგალითად, 1941 წლის 24 აგვისტოს ასეულის კომისარი ალექსანდრე პანკრატოვი საკუთარი სხეულით გადაეფარა მტრის ტყვიამფრქვევს. 1942 წელს მას საბჭოთა კავშირის გმირობა მიანიჭეს. სამხედრო ცნობარებში მის შესახებ ნათქვამია: "გაიმეორა ალექსანდრე მატროსოვის გმირობა". საქმე ისაა, რომ მატროსოვმა თავისი სახელგანთქმული ქმედება ჩაიდინა 1943 წლის 23 თებერვალს — წლინახევრით გვიან პანკრატოვზე. რამ გამოიწვია ეს შეუსაბამობა: როგორც ეტყობა, თარიღმა, რადგან მატროსოვმა თავგანწირვა წითელი არმიის დღესასწაულს დაამთხვია და საბჭოთა "პიარისათვის" ეს გაცილებით უფრო მომგებიანი იყო. სხვათა შორის, დარეგისტრირებულ ანალოგიურ გმირობათა შორის მატროსოვამდე ორმოცდათხუთმეტია ჩადენილი, მაგრამ მატროსოვი მაინც პირველია სიაში სწორედ 23 თებერვლის ხათრით.

ასეა, გმირობის გასაფორმებლად საკმარისი არაა თავგანწირვა: იმაზეც უნდა იფიქრო, რომ პროპაგანდისტულ კალენდარს დაამთხვიო. სხვათა შორის, ამერიკელებსაც ჰყავთ ერთი ასეთი გმირი — როჯერ იანგი, რომელმაც იაპონელების ტყვიამფრქვევს შეუშვირა თავი 1943 წლის 31 ივლისს. იანგი სიკვდილის შემდეგ თავისუფლების მედლით დააჯილდოვეს და სამუდამოდ შეიყვანეს საბრძოლო დიდების სიაში. მაგრამ, ამ გმირობის პროპაგანდირება არავის დაუწყია — მსოფლიოში გავრცელებული აზრით, ჯარისკაცის ხელობა სიკვდილი კი არა, გამარჯვებაა.

# ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

მოგვიანებით, ბრძოლის ადგილზე აღმართეს მემორიალი, სოფლის კლუბში მოაწყვეს მუზეუმი, ალმა-ატაში დადგეს ძეგლი. გმირების სახელს ანიჭებდნენ ქუჩებს, მოედნებს, სკოლებს, კოლმეურნეობებს, მათ სადიდებლად იქმნებოდა ლექსები და პოემები, კომისარ კლოჩკოვის სიტყვები სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდა.

მაგრამ მანამდე, მითის შექმნის პარალელურად ვითარდებოდა სულ სხვა, არაპოპულარული, მაგრამ უფრო საინტერესო ისტორია.

1942 წლის მაისში დასავლეთის ფრონტის საგანგებო განყოფილებამ ტყვედ ჩაბარების მცდელობის ბრალდებით დააკავა ხსენებული ლეგიონის მებრძოლი დანიელ კუჟებერგენოვი, რომელიც ორიოდე თვით ადრე თავის პოემაში გმირად შერაცხა საბჭოთა პოეტმა ნიკოლაი ტიხონოვმა. დაკავებულმა აღიარა, რომ დუბოსეკოვოსთან ბრძოლაში არ მონაწილეობდა, ხოლო გმირის წოდების შესახებ გაზეთიდან შეიტყო. ლეგიონის მეთაურმა შესაბამის ინსტანციაში მაშინვე გააგზავნა პატაკი იმის შესახებ, რომ გმირობა შეცდომით მიანიჭეს დანიელს, სინამდვილეში კი უნდა მიენიჭებინათ მისი მოგვარის, ასკარ (სხვა წყაროების მიხედვით ალიასკარ) კუჟებერგენოვისთვის. ბრძანება შეასწორეს, თუმცა ეს ასკარ-ალიასკარი არასოდეს ყოფილა ლეგიონის სიებში.

სულ მალე, 1942 წლის აგვისტოში კიდევ სამმა საღ-სალამათმა "გმირულად დაღუპულმა" მოაკითხა ოქროს ვარსკვლავებს. ომის შემდეგ კი ნაცისტებთან თანამშრომლობისთვის დააკავეს მეხუთე პანფილოველი.

სსრკ სამხედრო პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, რომლის პროცესში სოფლსაბჭოს თავმჯდომარემ მისცა საინტერესო ჩვენება: გერმანელები დუბოსეკოვოში გერმანელები 1941 წლის 16 ნოემბერს შევიდნენ და მხოლოდ 20 დეკემბერს დატოვეს სოფელი წითელი არმიის შეტევის შედეგად. დიდთოვლობის გამო 1942 წლის თებერვლამდე არავის უძებნია დაღუპულთა გვამები. თებერვლის პირველ რიცხვებში სამი გვამი იპოვეს, მარტში კი კიდევ სამი, რომელთა შორის იყო კომისარ კლოჩკოვის ნეშტიც. ექვსი გვამი საძმო საფლავში დაკრძალეს, სხვა გვამები კი ხსენებულ ტერიტორიაზე არ ყოფილა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ იგივე შედეგებს მიაღწია პოლიტიკური სამმართველოს კომისრის, ვინმე მინინის ინდივიდუალურმა გამოძიებამ 1942 წელს. პანფილოველთა გმირობის ამბავი გამონაგონი აღმოჩნდა. მაგრამ ვისი?

სამხედრო კორესპონდენტი კოროტეევი 1941 წლის შემოდგომაზე დასავლეთის ფრონტის სარდლობაში იმყოფებოდა. იქ რომელიღაც კომისარმა ეგოროვმა უამბო, რომ დუბოსეკოვოსთან ლეგიონის მეხუთე ასეულმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტერს. მართალია, ეგოროვი თვითონ არ ყოფილა ამ შემთხვევის მოწმე, მაგრამ საქმის კურსში ლეგიონის კომისარმა შეიყვანა, თანაც უთხრა, რომ მეომართაგან ხმოლოდ ორი აღმოჩნდა მოღალატე. ეგოროვმა ურჩია კრივიცკის, დაეწერა საგაზეთო სტატია ასეულის გმირობის შესახებ.

მოსკოვში ჩასულმა კრივიცკიმ "კრასნაია ზვეზდას" რედაქტორს, დავით ორტენბერგს მოახსენა ყოველივე და კორესპონდენტსა და რედაქტორს შორის დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

რედ.: რამდენი მებრძოლია ასეულში?

კორ.: ალბათ არასრული ასეული იქნებოდა, ასე, 30 კაცი. ორი მოღალატე აღმოჩნდა.

რედ.: აჰა, ესე იგი, 28 მებრძოლი. ოღონდ ორი მოღალატე ბევრია. ერთი იყოს.

ასე დაიწერა პირველი "ნიუსი". ამის მერე ლიტერატურულმა მდივანმა კრივიცკიმ დაწერა ვრცელი სტატია, რომელიც ინფორმაციულად ეყრდნობოდა კოროტეევის მცირე შენიშვნას, დანარჩენში კი ავტორის მხატვრული წარმოსახვის იმედზე იყო. უფრო ვრცელი ნარკვევის დასაწერად 1942 წლის იანვარში კრივიცკი ადგილზე გაემგზავრა (იქიდან გერმანელები უკვე განდევნეს) და იქ შეხვდა ლეგიონის მეთაურსა და კომისარს. ამათ 28 გვარი რომელიღაც უწყისიდან ამოიწერეს და ჟურნალისტს მისცეს. საინტერესოა, რა უწყისი იყო — კმაყოფაზე აყვანის თუ ჩექმების გაცემის?

ამავე დროს, ჟურნალისტი სულაც არ გრძნობდა უხერხულობას იმის გამო, რომ მის მიერ აღწერილი ბრძოლის დეტალები სრული გამონაგონი იყო. ტოტალური პროპაგანდის პირობებში ამგვარი ვითარება მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნდა.

პროკურატურა ლეგიონის სარდლობასაც მიადგა. კომისარი დაღუპული იყო, მეთაურმა კარპოვმა კი გულახდილად აღიარა, რომ 1941 წლის 16 ნოემბერს 28 მებრძოლის გმირობა არ ყოფილა. ამ დღეს დუბოსეკოვოსთან იბრძოდა მეოთხე ასეული (და არა მეხუთე, როგორც კოროტეევს უთხრეს) და იმ ბრძოლაში 28 კი არა, ასზე მეტი მებრძოლი დაეცა. თვითონ მეთაური უარყოფდა 28 პანფილოველის გმირობის გამო კორესპონდენტთან შეხვედრასა და პატაკის დაწერას: ერთიც და მეორეც შეუძლებელი იყო, რადგან თვით მოვლენა არასოდეს მომხდარა. მხოლოდ იანვარში ჩასულა მასთან ლიტმდივანი კრივიცკი და უთქვამს, რომ საჭიროა მოინახოს 28 გვარდიელი, რომლებიც გმირულად დაეცნენ ფაშისტური ტანკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ლეგიონის მეთაურმა კრივიცკის განუცხადა, რომ ასეთი ბრძოლის ამბავი საერთოდ არ იცის, მაგრამ თუ საჭიროა კომისარს შეუძლია გვარების დასახელება. კომისარი, კაპიტანი გუნდილოვიჩი, ზეპირად უსახელებდა "გმირების" გვარებს, რადგან 28 პანფილოველის შესახებ ლიგიონში არავითარი დოკუმენტები არ ყოფილა და ვერც იქნებოდა.

პროკურატურის გამოძიება მთავრდებოდა შემდეგი დასკვნით: "28 პანფილოველი გვარდიელის პრესაში გაშუქებული გმირობა არის კორესპონდენტ კოროტეევის, "კრასნაია ზვეზდას" რედაქტორის, ორტენბერგისა და, განსაკუთრებით, ლიტერატურული მდივნის, კრივიცკის გამონაგონი". ამგვარად სსრკ მთავარმა სამხედრო პროკურორმა, იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტმა ნიკოლაი აფანასიევმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა მითს და თავისი დასკვნა კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს გადასცა.

არავინ იცის, რაზე იმსჯელა პოლიტბიურომ, მაგრამ საკითხი მითის სასარგებლოდ გადაწყდა: აბა, ძეგლებს ხომ არ დაანგრევდნენ. მართალია, საბჭოთა კავშირში ბევრი ძეგლიც დაანგრიეს, მაგრამ ეს ხომ "მავნე" ძეგლები იყო, გმირ პანფილოველებს კი სარგებლობა მოაქვთ, პატრიოტულ გრძობებს აღძრავენ.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ცნობილი მხატვარ-კარიკატურისტის, ბორის ეფიმოვის ორი მოგონება. ერთხელ შეიარაღებული ძალების პოლიტგანყოფილების უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა შჩერბაკოვმა კრივიცკის მოულოდნელად ჰკითხა: "თქვენი ნარკვევიდან გამომდინარე, ყველა 28 მებრძოლი გმირულად დაეცა, ვინ გადმოგცათ კომისარ კლოჩკოვის ბოლო სიტყვები?". კრივიცკიმ უპასუხა: "არავის გადმოუცია, მაგრამ მე ვიფიქრე, რომ კლოჩკოვს აუცილებლად უნდა ეთქვა რაღაც ამგვარი". შჩერბაკოვი დიდხანს მდუმარედ შესცქეროდა ლიტერატურულ მდივანს, მერე კი თქვა: "ძალიან სწორად იფიქრეთ, ამხანაგო კრივიცკი".

სხვა დროს მდიდარი წარმოსახვის მქონე მდივნის კაბინეტში მწერლები შეიკრიბნენ. მათ შორის იყვნენ ალექსანდრე ტვარდოვსკი და ვასილ გროსმანიც. როცა კაბინეტში ბორის ეფიმოვი შევიდა, როგორც ეტყობა, იქ შეკრებილი საზოგადოება კრივიცკის საყვედურობდა, რომ ისტორიის შელამაზება არ შეიძლება. პასუხად კრივიცკიმ მაღლა ასწია პანფილოველთა "გმირობაზე" დაწერილი თავისი ბროშურა და ხმამაღლა განაცხადა: "რაც არ უნდა ილაპარაკოთ, რა ეჭვებიც არ უნდა გამოთქვათ, მაგრამ აი ეს ნეხვი სულ მალე ისტორიულ პირველწყაროდ იქცევა, გესმით? — პირველწყაროდ".

კრივიცნისა და ორტენბერგის მითოლოგია მხოლოდ 1997 წელს იქნა მხილებული ჟურნალ "ნოვი მირის" ფურცლებზე. თუმცა არც მუზეუმი დახურულა და სასკოლო პროგრამიდანაც არავის ამოუღია პანფილოველთა გმირობის ამბები.

ამის მიზეზი ორია: ჯერ ერთი, მასობრივი კულტურისა და აზროვნების პრიმატი, რომელიც მკვიდრად დაკანონდა საბჭოთა მენტალობაში. ყველაზე კონკრეტულად ეს სულიერი მდგომარეობა შემდეგი წინადადებით აიწერება: როცა სამშობლო გვიბრძანებს, ჩვენში ყველა გმირი ხდება. მეორეც — სიკვდილისა და გმირობის ლამის გაიგივება, რომელიც ასევე ძალიან ძლიერია აღმოსავლური ქრისტიანობის წიაღში. გამარჯვება ნებისმიერ ფასად — ვითარება, როცა აბსტრაქტულ მიზანს კონკრეტული სიცოცხლეები ეწირება. სიკვდილი ერთადერთი მისაღები უკანდახევაა: გმირობის მიზანი ობიექტური სარგებლობის მოტანა კი არაა, არამედ ის უაზრო ეთიკური ეფექტი, რომ შენი თვალებით არ უნდა იხილო მტრის წარმატება. აბა, დაუკვირდით წინადადებას: "დაიღუპნენ, მაგრამ მტერი არ გაატარეს!". როგორღა არ გაატარეს, თუ დაიღუპნენ? — ამ უბრალო კითხვას არავინ არ სვამდა, ეს უბრალო კითხვა ეწინააღმდეგებოდა "ხალხის წმინდათა-წმინდა (ვარიანტი: ეროვნულ) გრძნობებს". საინტერესოა, როცა პატრიოტიზმს ეწინააღმდეგება ლოგიკა.

ამ პატრიოტულ ეიფორიაში კი არავის ახსოვს იმავე ლეგიონის მეოთხე ასეული, ის რომელიც მართლაც წინ აღუდგა გერმანულ ტანკებს სოფელ დუბოსეკოვოსთან და ერთიანად ამოიხოცა. აქ პატრიოტიზმს უკვე არა მხოლოდ ლოგიკა, არამედ ისტორიული ჭეშმარიტება ეწინააღმდეგება.

სამაგიეროდ იფურჩქნება სიძულვილი: ამის ერთ-ერთი მცირე, მაგრამ მეტად ნიშანდობლივი დადასტურებაა მეორე მსოფლიო ომის დროს ფართოდ გავრცელებული პლაკატი: "მამა, მოკალი გერმანელი!". არა მტერი, არა ნაცისტი, არამედ გერმანელი. ლოგიკასა და ჭეშმარიტებას მოკლებული პატრიოტიზმი მშვენივრად ეთვისება სისასტიკეს.

ასეა თუ ისე, როგორც ეტყობა, პატრიოტიზმი შესანიშნავად ყვავის ლოგიკისა და ჭეშმარიტების გარეშე. მაგრამ ჩვენ ჯერ არ დაგვისრულებია: აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი რამ: რომელი პატრიოტული თავი აიტანს იმ უბრალო აზრს, რომ ვერავითარი გმირობა და თავგანწირვა ვერასოდეს გადასწონის იმ საკაცობრიო ღორობას, რომელსაც არსებითად წარმოადგენს ნებისმიერი ომი.



*მითის ავტორები (მარცხნიდან მარჯვნივ): კრივიცკი, ორტენბერგი, კოროტეევი.*



*კრივიცკი (მარცხნიდან მეორე) დასავლეთის ფრონტის სარდლობაში 1942 წლის თებერვალი.*

## ხარუკი მურაკამი



ხარუკი მურაკამი 1949 წელს დაიბადა კიოტოში, იაპონიის ძველ დედაქალაქში, კლასიკური ფილოლოგიის მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა კლასიკური დრამის ფაკულტეტზე ვასედას უნივერსიტეტში. ტოკიოში ჯაზის ბარი ჰქონდა.

წერა 29 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ წელიწადში საშუალოდ ერთ რომანს წერს. იღვიძებს ექვს საათზე და წვება ათზე. 33 წლისამ სიგარეტს თავი დაანება, დაიწყო ვარჯიში.

დასავლეთში გაემგზავრა და იქიდან ევროპელის თვალით დაუწყო ყურება თავის სამშობლოს.

თავისი შემოქმედებით მურაკამი არღვევს ჩვეულ იაპონურ ფასეულობებს: "ეცადე იცხოვრო ჰარმონიულად გარე სამყაროსთან", "არ გამოეყო გარემოს და ყველაფერი იღონე კარიერისთვის". ის სიამოვნებით არღვევს ტრადიციებს, რის გამოც ბევრი იაპონელის სიძულვილიც დაიმსახურა. "მე მომწონს დროის ფლანგვა. ქვეყნად იმდენი რამ არის, რაც მიყვარს - ჯაზი, კატები, გოგონები, შეიძლება წიგნებიც. ყველაფერი ეს ცხოვრების გაგრძელებაში მეხმარება".




# ნადირობა ცხვრებზე

ირაკლი ბერიაშვილის თარგმანი

გაგრძელება. დასაწყისი იხილე № 11, 12, 13, 14, 15

ტელეფონთან გაშეშებული მდივანი თავის კუთხეში მიჯდა და გაყუჩდა. შეცბუნებული ჩემი მეწყვილე მისაღებში შევიდა, იქ სტუმარი დაინახა, ავტომატურად წარუდგა - ვინაობა და თანამდებობა დაასახელა. მხოლოდ მაშინ შეიცვალა სტუმარმა გარინდებული პოზა, შიდა ჯიბიდან წვრილი სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და შეწუხებულ-მოღუშული სახით გამოუშვა ბოლის ნაკადი. ოთახში ჰაერი შეინძრა და თითქოს განიმუხტა.

- დრო ცოტა მაქვს. ასე რომ, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, - ხმადაბლა თქვა უცნობმა და საფულიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო, ისეთი ბასრი ნაპირებით, ხელს გაიჭრიდი კაცი. ისე დადო მაგიდაზე, თითქოს მიბეჭდაო. არაბუნებრივი ფერის პლასტიკის მაგვარი ქაღალდიდან ქვეყანას შესცქეროდა წვრილი შრიფტით დაბეჭდილი შავი იეროგლიფები - სახელი და გვარი. არც წოდება, არც თანამდებობა, არც ტელეფონი. მხოლოდ ეს ოთხი იეროგლიფი. ბარათზე ერთი შეხედვითაც კი კაცს თვალები აგტკივდებოდა. ჩემმა მეწყვილემ სავიზიტო ბარათი ამოაბრუნა, დარწმუნდა მის უნაკლო სითეთრეში, კიდევ ერთხელ დახედა წინა მხარეს და უცნაურ სტუმარს შეხედა.

- თუ არ ვცდები, თქვენთვის ნაცნობია ეს სახელი, არა? - იკითხა მან.

- დიახ, ნაცნობია.



უცნაურმა სტუმარმა ოდნავ დაუკრა თავი, ნიკაპი სულ რამდენიმე მილიმეტრით დასწია ძირს. მზერა კი ისევ ისე, ერთ წერტილში მიჩერებული დარჩა.

- დაწვით.

- დავწვა?.. - ჩემი მეწყვილე პირდაღებული შეაცქერდა თანამოსაუბრეს.

- აი, ეს ბარათი. ახლავე. დაწვით, გეთაყვა, და გადაყარეთ ფერფლი, - სიტყვასიტყვით, თითქოს დანით თლისო, ისე თქვა უცნობმა. დაბნეულმა ჩემმა მეწყვილემ მაგიდიდან სანთებელა აიღო და ალი ბარათის ნაპირთან მიიტანა. მეორე კიდე თითებით ეჭირა. მოიცადა, სანამ პირველი ნახევარი დაიწვებოდა. მერე ცეცხლმოკიდებული ბროლის დიდ საფერფლეში ჩაუშვა. ერთხანს ორივე მდუმარედ მისჩერებოდა, როგორ ქრებოდა ქაღალდი, როგორ იქცეოდა ნაცრისფერ ფერფლად. როცა ბარათი ბოლომდე დაიწვა, ოთახში ყრუ, ტყვიასავით სიჩუმე ჩამოვარდა. როგორც ბრძოლის ველზე სასიკვდილო ხოცვა-ჟლეტის შემდეგ.

- მე აქ ვარ, როგორც ამ ბატონის ყველა ინტერესის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, - სიჩუმე დაარღვია სტუმარმა, - სხვაგვარად რომ ვთქვა, მინდა მერწმუნოთ, რომ ყველაფერი, რასაც მე გეტყვით, მისი პირადი ნება-სურვილის შესაბამისად გადმოგეცემათ.

- "სურვილები"... - გაიმეორა ჩემმა მეწყვილემ.

- "სურვილი" ყველაზე ლამაზი სიტყვაა სუბიექტის პრინციპული პოზიციის მოსანიშნავად შერჩეულ მიზანთან მიმართებაში. რა თქმა უნდა, - დაამატა უცნობმა, - შესაძლებელია სხვა გამოთქმებიც. გესმით ჩემი?

ჩემმა მეწყვილემ გონებაში სცადა თანამოსაუბრის ნათქვამი ადამიანურ ენაზე ეთარგმნა.

- მესმის...

- რაც არ უნდა იყოს, ჩვენ აქ არ შევუდგებით არც კონცეფციებზე და არც დიდ პოლიტიკაზე მსჯელობას. საუბარი მხოლოდ და მხოლოდ ბიზნესს შეეხება.

სიტყვა "ბიზნესი" ერთობ გარკვევით, გამოკვეთილად წარმოთქვა, აშკარა ამერიკული აქცენტით: "ბეიზნესი". წყალი არ გაუვა: უცხოელი წინაპრები სადღაც მეორე თაობაში მაინც ეყოლება.

- თქვენ ბიზნესმენი ხართ, მეც ბიზნესმენი ვარ. თუ რეალობას გავითვალისწინებთ, მაშინ ბიზნესის გარდა სხვა არაფერზე სალაპარაკო არც უნდა გვქონდეს. არარეალური საკითხებით კი სხვებმა იმტვრიონ თავი. ასე არ არის?

- ზუსტად ასეა, - უპასუხა ჩემმა მეწყვილემ.

- ჩვენი მოვალეობა იმით ამოიწურება, რომ არარეალურ კატეგორიებს დახვეწილ-მიმზიდველი სახე მივცეთ და რეალურობის მკაცრ ჩარჩოებში მოვაქციოთ... ადამიანებს ხშირად თვითონ ეხალისებათ არარეალურში გაქცევა. ყველაფერი კი იმიტომ ხდება, - სტუმარმა მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ისე დაუსვა მარცხენა ხელის შუა თითზე წამოცმულ ზურმუხტისფერ ბეჭედს, თითქოს ეფერებაო, - რომ ასე უფრო იოლი ეჩვენებათ. ამის გამოა, რომ ზოგჯერ არარეალური როგორღაც გამოდევნის, თითქოს გამორწყავს ხოლმე რეალურს. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არარეალურ სამყაროში ბიზნესის ადგილი არ არის. ასე რომ, ჩვენ ადამიანების იმ სახეობას წარმოვადგენთ, ვის გამოჩენასაც პრობლემები და გართულებები მოსდევს თან. ამიტომ, - წამით შეწყვიტა და ისევ დაუსვა ხელი მწვანე ბეჭედს, - თუ ის, რასაც ახლა გეტყვით, შესაძლოა მოითხოვს თქვენგან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ან სხვაგვარად გაართულებს თქვენს ცხოვრებას, მე გთხოვდით, რომ წინასწარ მომიტევოთ.

ჩემი მეწყვილე მაინცდამაინც ვერ ხვდებოდა, რაზე იყო საუბარი. ამიტომ დუმდა.

- მაშ ასე, გადავიდეთ რეალურ სურვილებზე. პირველი: ჩვენ გვსურს, რომ თქვენ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ჟურნალის გამოშვება თქვენს მიერ დამზადებული სადაზღვევო სააგენტო "პ"-ს რეკლამით.

- მაგრამ, ნება მიბოძეთ...

- მეორე, - მკვახედ შეაწყვეტინა სტუმარმა, - ჩვენ გვსურს, რომ შევხვდეთ და გავესაუბროთ

თანამშრომელს, რომელმაც მოამზადა ეს რეკლამა, - უცნობმა უბის ჯიბიდან ქათქათა კონვერტი ამოიღო, იქიდან ოთხად მოკეცილი ქაღალდი გამოაცურა და ჩემს მეწყვილეს გაუწოდა. მან გამოართვა, გაშალა და უცებ ჩაირბინა თვალებით. ეს იყო ჩვენს კანტორაში გაკეთებული სადაზღვევო სააგენტოს რეკლამის ასლი. ფოტო - ხოკაიდოს სტანდარტული პეიზაჟი: თოვლი, მთები, ცხვრები მინდორში და საიდანღაც ნასესხები მწყემსის სიმღერის რამდენიმე სტრიქონი. მეტი არაფერი.

- ასეთია ჩვენი ორი სურვილი. პირველის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ საკითხი გადაწყვეტილია. მაგრამ თუ უფრო ზუსტი ვიქნები, ამ სურვილის კალაპოტში მოსაქცევად უკვე მიღებულია შესაბამისი ზომები. და თუ რამე ეჭვები კიდევ გაქვთ, არავინ არ გიშლით დაურეკოთ გამომცემლობაში რეკლამის განყოფილების უფროსს.

- რა თქმა უნდა, ასეც მოვიქცევით.

- მიუხედავად ამისა, ჩვენ ჩვენი მხრივ იოლად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ იმ ზარალის სერიოზულობა, რომელიც მსგავსმა სირთულეებმა შეიძლება შეუქმნან თქვენი მასშტაბის ფირმას. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ - და ეს მშვენივრად მოგეხსენებათ, - განსაკუთრებული გავლენა გვაქვს ამგვარ რამეებში. და ამიტომ, თუ მეორე სურვილს შეგვისრულებთ და თქვენი თანამშრომელი წარმოგვიდგენს დამაკმაყოფილებელ ინფორმაციას, მზად ვიქნებით გულუხვად ავანაზღაუროთ ყველა თქვენი ზარალი. გარწმუნებთ, გულუხვად ავანაზღაურებთ.

ოთახი ღრმა სიჩუმეში ჩაიძირა.

- თუ ამ საკითხში ვერ შევთანხმდებით, - პაუზის შემდეგ განაგრძო უცნობმა, - თქვენ გზიდან გადასვლა მოგიწევთ. დღეიდან მოყოლებული აღსასრულამდე ამქვეყნად თქვენთვის აღარ იქნება ადგილი.

ისევ მძიმე სიჩუმე.

- გაქვთ რამე შეკითხვები?

- თუ სწორად გაგიგეთ, პრობლემა თვითონ ფოტოა, - ფრთხილად თქვა ჩემმა მეწყვილემ.

- მართალი ბრძანდებით, - დაუდასტურა სტუმარმა. მისი

მოუსვენარი თითები თითქოს მანამდე ახარისხებდნენ სიტყვებს, სანამ წარმოთქვამდა, - მართალი ბრძანდებით. მაგრამ ამაზე მეტის ახსნა თქვენთვის არ შემიძლია. საამისო უფლებამოსილება არ გამაჩნია.

- თანამშრომელს შინ დავურეკავ... ვფიქრობ, სამისთვის აქ იქნება, - თქვა ჩემმა მეწყვილემ.

- მშვენიერია, - თქვა სტუმარმა, თვალი მაჯის საათს ჰკიდა, - მაშ, ოთხი საათისთვის გამოგიგზავნით მანქანას. შევთანხმდით?

და ორი ბიზნესმენი საქმიანად დაშორდა ერთმანეთს.

## 3
## სენსეი

- აი, ეგრეა საქმეები, - თქვა ჩემმა მეწყვილემ.

- ვერაფერი გამიგია, - ვთქვი და ტუჩები მოვუჭირე მოუკიდებელ სიგარეტს, - ჯერ ერთი, გაუგებარია, რა ჩიტი ბრძანდება ის ჩვენი სავიზიტო ბარათის ნამდვილი პატრონი. მეორეც. გაუგებარია ისიც, რატომ ნერვიულობს რაღაც ცხვრების ფოტოზე. დაბოლოს, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლია ამ ტიპს ჟურნალიდან ამოიღოს ჩვენი რეკლამა...

- ბარათის პატრონი მემარჯვენეთა ერთ-ერთი მსხვილი ზვიგენია. ხალხში თავის გამოჩენა მაინცდამაინც არ უყვარს და ამიტომ უბრალო ადამიანებს მისი სახელი ვერაფერს ეუბნება. საქმიან წრეებში კი მის შესახებ პრაქტიკულად ყველაფერი იციან. შენ, ეტყობა, ერთადერთი გამონაკლისი ხარ...

- ელიტური ცხოვრება ჩემთვის უცხო ხილია, - ჩავიბურტყუნე თავის გასამართლებლად.

- ისე, კაცმა რომ თქვას, მთლად მემარჯვენეებიდანაც არ არის... უფრო სწორად, სულაც არ არის მემარჯვენეებიდან.

- ესეც ასე! საერთოდ ამერია თავში ყველაფერი.

- ისე, მართალი გითხრა, ყოველთვის ძნელი იყო იმის გარკვევა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული. შრომებს ის არ წერს, აუდიტორიის წინაშე სიტყვით არ გამოდის. ხუთი წლის წინათ ერთი ყოველთვიური ჟურნალის რეპორტიორმა მისი საქმეების ამოქექვა მოინდომა. საქმე პარტიულ შემონატანებად გაფორმებულ შემოწირულებობს ეხებოდა... ისე გამოვიდა, რომ თვითონვე აღმოჩნდა თავისი გათხრილ სამარეში...

- შენ, ეტყობა, უბრალოდ, არ ხარ ინფორმირებული.

- კარგად ვიცნობდი იმ რეპორტიორს.

სანთებელა ტუჩებში გარჭობილ სიგარეტთან მივიტანე და მოვუკიდე.

- ის რეპორტიორი... ახლა რას აკეთებს?

- საერთო განყოფილებაში გადაიყვანეს. დილიდან საღამომდე თავწახრილი ასწორებს სარეკლამო ტექსტებს... მასობრივი კომუნიკაციის სამყარო, როგორც იცი, საოცრად ვიწროა, ასე რომ, მისი ფიგურა ახლა თვალსაჩინო გაკვეთილია, ყველა დანარჩენის გაფრთხილებაა. იცი, როგორც აფრიკელ აბორიგენებში - თავის ქალები სოფლის შესასვლელთან...

- კარგი ერთი... - მხოლოდ ამის თქმა მოვახერხე.

- თუმცა ამ ტიპის ომამდელი ბიოგრაფიიდან რაღაც-რაღაცები ჩემთვის მაინც ცნობილია.

დაიბადა 1913 წელს ხოკაიდოზე. სკოლის დამთავრების შემდეგ ტოკიოში გადავიდა. სამუშაოს ხელთათმანებივით იცვლიდა, სანამ მემარჯვენეებს არ მიეკედლა. მგონი მხოლოდ ერთხელ, მაგრამ მაინც აღმოჩნდა გისოსებს მიღმა. იჯდა. მერე მანჯურიაში წავიდა, სადაც საერთო ენა იპოვა კვანტუნის არმიის ოფიცრებთან და რაღაც დივერსიული ორგანიზაციის მაგვარი შექმნა. რით იყო ეს ორგანიზაცია დაკავებული, ზუსტად არ ვიცი. სწორედ მაშინ იქცა ეს კაცი ადამიან-გამოცანად. ამბობდნენ, რომ ნარკომანია. ეტყობა, ეგრეც იყო... გაიარ-გამოიარა, თვალს წყალი დაალევინა ჩინურ ველებზე და ზუსტად საბჭოთა ჯარების მისვლამდე ორი კვირით ადრე მშვიდობიანად, დიდი საესკადრო ნაღმტყორცნის საშუალებით ფეხი დადგა მშობლიურ მიწაზე. და, რაღა თქმა უნდა, მთელ გროვა ნაალაფარ ოქროსთან ერთად...

- მდა... გასაოცრად დროულად!

- საქმეც ეგ არის: ეგ ტიპი ყოველთვის უშეცდომოდ ითვლიდა და არჩევდა დროს... როდის უფრო აჯობებს ბადის გადაგდება, როდის ამოთრევა... ამას გარდა, ყოველთვის წინასწარ გრძნობდა, ზუსტად რომელ წერტილში უნდა დაერტყა. როცა საოკუპაციო არმიის ხელმძღვანელობა დააპატიმრეს "ა" კატეგორიის სამხედრო დანაშაულისთვის, მისი საქმის წარმოება შუა გზაზე შეწყვიტეს, თვითონ საქმე კი უბრალოდ დახურეს. მიზეზი ჯერ "ავადმყოფობა" იყო, მერე კი ყველაფერი საერთოდ ბურუსით არის მოცული და საუკუნოდ დამარხული. როგორც ჩანს, რაღაც საქმიანი გარიგება შედგა ამერიკელ სამხედროებთან. მაკარტურიც ხომ ტუჩებს ილოკავდა ჩინურ ველებზე...

ჩემმა მეწყვილემ ისევ ამოიღო ავტოკალამი, საჩვენებელსა და შუა თითს შორის მოაქცია და აქეთ-იქით დაუწყო ტრიალი.

- მაშ ასე... გამოვიდა სუგამოს დილეგებიდან, დღის სინათლეზე გამოიტანა თავისი განძი, რომელსაც, კაცმა არ იცის, სად მალავდა - და ორად გაყო. ერთი ნახევრით კონსერვატორთა პარტიის ერთი ფრაქცია იყიდა თავის დისტრაკებიანად, მეორით - მთელი სარეკლამო სამყარო. ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა მთელი რეკლამა ამოგანგლული პატარა აფიშები და ლოზუნგებ გაკრული ფურცლები იყო...



- მდა... ვერაფერს იტყვი, შორსმხედველი ტიპია... მერე... მისი ჩრდილოვანი კაპიტალის შესახებ არსად არაფერს არ გაუჟონავს?

- კარგი, რა! კონსერვატორების მთელი ფრაქციის მფლობელისას?!

- ჰო, რა თქმა უნდა... - წავიბუტბუტე.

- მოკლედ, ფულის საშუალებით ერთ მუჭში მოიქცია პოლიტიკოსებიც და რეკლამაც და მისი ეს მექანიზმი მშვენივრად მუშაობს დღემდე. ზედაპირზე კი იმიტომ არ ამოდის, რომ არ სჭირდება, რადგან თუ შენს ხელშია პოლიტიკაცა და რეკლამაც, მაშინ შენთვის, თუ ლოგიკურად განვსჯით, შეუძლებელი არაფერია. ასე არ არის? საერთოდ წარმოგიდგენია კი, რას ნიშნავს მთელი რეკლამის კონტროლი?

- არც ისე კარგად...

- მთელი რეკლამის კონტროლი - ეს ნიშნავს, რომ მთელი პრესისთვის, ტელევიზიისა და რადიოსთვის ყელში გქონდეს ხელი წაჭერილი. ვერც ერთი გამომცემლობა, ვერც ერთი საეთერო არხი საერთოდ ვერ იარსებებს რეკლამის გარეშე. ეს იგივეა, რაც აკვარიუმი თევზის გარეშე. მთელი ინფორმაციის ოთხმოცდათხუთმეტ პროცენტამდე, რომელსაც ყოველდღიურად აღიქვამენ შენი თვალები და ყურები, წინასწარ არის ვიღაცის სურვილით შერჩეული და იმავე ვიღაცის ჯიბიდან დაფინანსებული!

- ჯერ მაინც ვერაფერი გამიგია, - ვჯიუტობდი მე, - ის ფაქტი, რომ ამ ტიპმა მთელი საინფორმაციო საშუალებები ჩაიგდო ხელში - ეგ გავიგე. მაგრამ რა გავლენა აქვს სადაზღვევო სააგენტოების სარეკლამო გამომცემლობებზე? აქ ხომ ყველაფერი უშუალო კონტაქტებით წყდება, მსხვილ რეკლამის მწარმოებელთა მონაწილეობის გარეშე? ასეა თუ არა?

ჩემმა მეწყვილემ ჩაახველა და სულმოუთქმელად გამოცალა დარჩენილი ჩაი.

- აქციები. მისი კაპიტალის მუდმივი ზრდის ძირითადი წყარო ვიღაცის აქციებია. აქციების მოძრაობა, ყიდვა-გაყიდვა, საკონტროლო პაკეტების ყიდვა და ასე შემდეგ. ამისთვის აუცილებელ ინფორმაციას მისი "განსაკუთრებული განყოფილება" აგროვებს, ის კი მხოლოდ ირჩევს, რა სჭირდება და რა - არა. ბუნებრივია, ამ ურიცხვი მონაცემების ნაკადიდან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი ხდება ცნობილი "მასკომისთვის" და ქვეყნდება "ხალხისთვის". დანარჩენ ყველაფერს სენსეი თავისთვის მოხვეტავს ხოლმე და საგულდაგულო დათვალიერების შემდეგ ყიდულობს ყველაზე ხელსაყრელ ვარიანტებს. რა თქმა უნდა, არა უშუალოდ - ყველანაირი ჯურისა და ფერის შანტაჟით. და თუ შანტაჟი არ ჭრის, მაშინ ინფორმაცია, ისე როგორც ზიარ ჭურჭელში, დიდ პოლიტიკაში გადაედინება.



- "ყოველ ფირმას აუცილებლად აქვს რაღაც, თუნდაც სულ მცირე სისუსტე", რაღაც ამ პრინციპით, არა?

- უფრო მარტივად: არც ერთ ფირმას არა აქვს სურვილი მოისმინოს განცხადება-ბომბი დამფუძნებელთა კრებაზე... მოკლედ, ყველაფერი გითხარი. სენსეის სული ერთბაშად სამივე განზომილებაში დაგვტრიალებს თავს - პოლიტიკაში, რეკლამასა და აქციებში. ამას, ვფიქრობ, უკვე მიხვდი. და თუ ასეა, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ ჩვენნაირი სარეკლამო ჟურნალის გასრესა და ჩვენი ქუჩაში გაყრა მისთვის იმაზე უფრო იოლია, ვიდრე მოხარშული კვერცხის გაფრცქვნა.

- უუჰ! - ძლივს ამოვისუნთქე, - მაგრამ მაინც, ასეთი წონის ძიას რა ჭირად უნდა სჭირდებოდეს ხოკაიდოს ფოტოსთვის გაჭინთვა?!

- აი, ეს კი ნამდვილად კარგი შეკითხვაა! - აისხლიტა შეტევა ჩემმა მეწყვილემ, - სწორედ მაგის კითხვას ვაპირებდი.

ორივე გავჩუმდით.

- როგორ მიხვდი, რომ საუბარი ცხვრებს შეეხებოდა? - მკითხა მან.

- როგორ? საერთოდ, ხდება კი ისეთი რამ, რაც მე არ ვიცი?

- "ხან უჩინარი ქონდრისკაცი ატრიალებს ბედისწერის თითისტარს, რომელიც ჩვენი ბედის ძაფებს ხლართავს".

- არ შეგიძლია ცოტა გასაგებად თქვა?

- მეექვსე გრძნობა.

- მიდი, მიდი! - ამოიოხრა ჩემმა მეწყვილემ, - ყოველი შემთხვევისთვის, აი, კიდევ ერთი-ორი ამბავი. დავურეკე იმ ყოველთვიურის ყოფილ რეპორტიორს და რაღაც-რაღაცები მითხრა. პირველი - სენსეი ინსულტმა ჩააგდო ლოგინად და ფეხზე ველარასოდეს დადგება. თუმცა, ოფიციალურად ეს ჯერ არავის დაუდასტურებია... და მეორე - იმ ტიპის შესახებ, რომელიც აქ გამოგვეცხადა. ეს სენსეის პირველი თანაშემწეა - მეორე კაცი ორგანიზაციაში, რომელიც მართვის ყველა საკითხს განაგებს. მამა უცხოელი ჰყავს, სტენფორდის უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული. ოცი წელიწადია სენსეის ხელმძღვანელობით მუშაობს. სენსეის საიდუმლო იარაღია, სწრაფი რეაქციითა და ბულტერიერის შეუპოვრობით. სულ ეს არის, რისი გაგებაც მოვახერხე.

- გმადლობ, - თავაზიანად ვთქვი.

- არაფრის! - მიპასუხა მეწყვილემ, თან ცდილობდა არ შემოეხედა ჩემთვის.

სანამ არ დათვრებოდა - რა სალაპარაკოა! - ჩემზე გაცილებით ღირსეულად იქცეოდა. ყველანაირი თვალსაზრისით - კეთილიც იყო, გულუბრყვილოც, გონიერიც. მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც აუცილებლად გამოტყვრება. ამის გამო სული მიმძიმდებოდა. მარტო იმის ფიქრისგან, რომ ჩემზე გაცილებით ღირსეული ბევრი ადამიანი გაცილებით სწრაფად ეშვება ჭაობში.

როცა ჩემი მეწყვილე ოთახიდან გავიდა, კარადაში მისი ვისკი მოვძებნე, დავჯექი და მარტომ დავიწყე სმა.

გაგრძელება
შემდეგ ნომერში

# "შეუზღუდავი" "ვრანგლერი" - "ჯიპის" დიდი კოვბოი







**მერაბ ლორთქიფანიძე**

უგზოობის ავტომობილების მწარმოებელმა კომპანია "ჯიპმა" თავისი პროდუქციის თაყვანისმცემლებს ახალი შედევრი მოუმზადა - ამიერიდან მოდელ "ვრანგლერს" (კოვბოი, მენახირე) ახალი მოდიფიკაცია ამოუდგება მხარში, რომელსაც მწარმოებელმა "ჯიპ ვრანგლერ ანლიმიტიდ" (შეუზღუდავი) უწოდა.

"შეუზღუდავი" პირველი მოდიფიკაციაა "ვრანგლერების" დინასტიაში, რომელსაც ოთხი კარი გააჩნია. ავტომობილი კვლავაც უხეში, "კაცური" გარეგნობით გამოირჩევა და იმავდროულად, მისთვის დამახასიათებელ იმ შტრიხებსაც ინარჩუნებს, რითაც ყოველთვის იზიდავდა სუსტი სქესის მყიდველებსაც.

ახალ "ვრანგლერში" თავისუფლად თავსდება ხუთი ადამიანი. ამასთან, ისევე როგორც სტანდარტულ, ორკარიან მოდელს, "შეუზღუდავსაც" სახურავი ან რბილი ტენტისა აქვს, რომელიც სურვილისამებრ იკეცება, ან კიდევ ხისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ იხსნება.

რა თქმა უნდა, ავტომობილი ახალგაზრდა მყიდველისთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც ქალაქგარეთ გასეირნება, პიკნიკები და ნადირობა იზიდავს. მათთვის კომფორტის გასაუმჯობესებლად, მწარმოებელმა მნიშვნელოვნად გაზარდა ინტერიერის მოცულობა. ორი კარის დამატებით, გაცილებით გაიოლებულია სალონის უკანა ნაწილში შესვლა. ამასთან, უკანა მგზავრების ფეხებისთვისაც ადგილი გაზრდილია, მათი სავარძლების უკან კი ასევე გაიზარდა საბარგულის მოცულობა. ყველაფერ ამისთვის კონსტრუქტორები იძლებულები გახდნენ, 523 მილიმეტრით გაეზარდათ "ვრანგლერის" სიგრძე.

მწარმოებლის თქმით, კონკურენტებისგან განსხვავებით, "ვრანგლერ ანლმიტიდში" შეხამებულია ერთმანეთის ურთიერთგამომრიცხავი ისეთი თვისებები, როგორებიცაა დიდი გამავლობა (საუკეთესო თავის კლასში), ღია სახურავი და მაქსიმალურად შესაძლებელი კომფორტი და მოხერხებულობა.

რაც მთავარია, "ანლიმიტიდმა" სრულიად შეინარჩუნა "ვრანგლრისთვის" დამახასიათებელი დიზაინი. მის გარეგნობაში ყურადღებას იქცევს ძველმოდური რადიატორის ბადე, რომელიც ცოტა ხნის წინ "ჯიპისთვის" საფირმო ნიშანი გახდა. მის ზედა კიდეებში ჩადგმულია მრგვალი ფარები, კაპოტს კი ძველმოდური ხუფი ფარავს. ოთხკუთხა, ოდნავ მომრგვალებული საბორბლე თაღები, და სწორი, გამოშვერილ ანჯამებზე ჩამოკიდული კარები ზუსტად ისევე გამოიყურება, როგორც პირველ "ვრანგლერებზე".

გარედან თუ უბრალოებით გვიზიდავს, სამაგიეროდ, "ვრანგლერის" შიგთავსი ისეთია, ბევრ სედანსაც შეშურდებოდა. პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს უსაფრთხოების რამდენიმე სისტემა, რომლებიც მაქსიმალურად იცავენ მძღოლსა და მგზავრებს. "ვრანგლერ ანლმიტიდის" საბაზო კომპლექტაციაში შედის უსაფრთხოების ბალიშების კომპლექტი, ბლოკირების საწინააღმდეგო სისტემა, სისტემა "ბრეიკ ასისტ" (მუხრუჭების დამხმარე), რომელიც საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ზრდის მუხრუჭებზე ზეწოლას და მაქსიმალურად ამცირებს სამუხრუჭე მანძილს. ამათ გარდა, მძღოლს ბევრი სისტემა უადვილებს ავტომობილის მართვას. ინტერიერში, უკანა მარჯვენა სავარძელზე მდებარეობს სისტემა "ჩაილდ სეტ ანკორ სისტემ", რომელიც აადვილებს საბავშვო სავარძლის დამაგრებას და რომელიც ბავშვის მაქსიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

"დაიმლერკრაისლერის" ინჟინრებმა ახალი "ვრანგლერისთვის" მოამზადეს ახალი, V6 კონფიგურაციის, 3.8 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე აგრეგატი, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 205 ცხენის ძალაა. ამასთან, ჯერჯერობით უცნობია, კვლავაც გამოიყენებენ თუ არა ძველ ძრავს (რაც საკმაოდ გასაკვირი იქნება), რომლის მუშა მოცულობა 4.0 ლიტრია, მაგრამ მხოლოდ 195 ცხენის ძალას გამოიმუშავებს.

ძრავთან შესაწყვილებლად "ჯიპს" ორი ტიპის გადაცემათა კოლოფი აქვს შეგულებული. ერთია სტანდარტული, 6-საფეხურიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი, რომელიც უფრო ევროპელი მყიდველისთვის იქნება მიმზიდველი. მეორე კი ავტომატური კოლოფია, რომელმაც უფრო ამერიკელები უნდა დააინტერესოს. ასეთ კოლოფს მხოლოდ ოთხი საფეხური აქვს, მაგრამ ის სრულად დააკმაყოფილებს ამერიკელ ავტომოყვარულს, რომელიც ამ მხრივ, დიდი პრეტენზიულობით არ გამოირჩევა - ამერიკელებისთვის კომფორტი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ავტომობლის მართვით მიღებული სიამოვნება.

სხვათა შორის, ამ ახალ ავტომობილს პირველ რიგში, სწორედ ამერიკელი მყიდველი მიიღებს. მოგვიანებით, ის ევროპაშიც გამოჩნდება. თუმცა, ალბათ გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ სანამ მას ევროპაში შემოიტანენ, "კრაისლერის" დილერებმა ევროპელებს "ვრანგლერ ანლიმიტიდი" სპეციალური შეკვეთებით მიაწოდონ. მითუმეტეს, მწარმოებელი იმედოვნებს, რომ ამ ახალი ავტომობილით, მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაზრდის თავისი პროდუქციის გაყიდვებს.

# ვოლფსბურგელი "ხოჭო" 60 წლისაა

ივლისის ბოლოს გერმანულმა კომპანია "ფოლკსვაგენმა" ღირსშესანიშნავი მოვლენა აღნიშნა - ზუსტად 60 წლის წინ კომპანიის ორმა დილერმა, ესენელმა გოტფრიდ შულცმა და ჰამბურგულმა კომპანია "რაფაი უნდ კომპანიმ" თავიანთ ავტოსალონებში პირველად გამოფინეს "ფოლკსვაგენის" ახალი ავტომობილი, "ბიტლი".

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ვოლფსბურგული კომპანია ბრიტანეთის მიერ შექმნილი სამხედრო მთავრობის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ბრიტანელებმა რატომღაც არ მოინდომეს ქარხნის ალბიონზე ევაკუირება - ის უსარგებლოდ მიიჩნიეს და ეს საკმაოდ მალე ინანეს კიდეც.

მანამდე კი, 1946 წელს, მთავრობის წევრებმა მოიწონეს ოკუპირებულ ზონებში ავტომობილების სადილერო ქსელის შექმნის იდეა. პირველ ხანებში, ქსელში შედიოდა ათი მსხვილი დისტრბუტორი და 28 სადილერო ცენტრი.

უნდა ითქვას, რომ ლეგენდარულ ავსტრიელ კონსტრუქტორ ფერდინანდ პორშეს "სახალხო ავტომობილის" შექმნის იდეა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დაებადა, თუმცა რიგ გარემოებათა გამო, მისი განხორციელება რამდენიმე დეკადის განმავლობაში ვერ შეძლო. მან ხან "ავსტრო-დაიმლერთან" სცადა თანამშრომლობა, ხან "აუტო უნიონთან" და ხან "ცუნდაპთან", მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, იდეა ვერ განახორციელა.

ბერლინის 1933 წლის ავტოსალონზე კი გარდატეხა მოხდა, რომლის გახსნის ცერემონიაზეც, ფიურერის რანგში თავისი პირველი სიტყვა წარმოთქვა ადოლფ ჰიტლერმა, რომელმაც პირობა დადო, რომ ყველა გერმანელის ოჯახს საკუთარი ავტომობილით უზრუნველყოფდა. მისი პირობის შესასრულებლად ზედგამოჭრლი იყო პორშეს იდეა. ჰიტლერის დროსვე, ვოლფსბურგთან დაიწყო ქარხნის მშენებლობა, რომელიც 1940 წელს კი ამოქმედდა, მაგრამ მაშინ სახალხო ავტომობლისთვის აღარავის ეცალა - იმ დროს ჰიტლერს უფრო სამხედრო ტექნიკა აინტერესებდა.



"ფოლკსვაგენმა" "ხოჭოს" (ჰიტლერმა პორშეს პროექტს KdF-კრაფტ დურხ ფრედე, ანუ ძალა სიხარულისგან უწოდა) სერიული წარმოება ომის შემდეგ დაიწყო და პირველი ეგზემპლარები დილერებს სწორედ 1946 წელს მიაწოდა. 1951 წელს ვოლფსბურგში გამოშვებული "ხოჭოების" საერთო რაოდენობამ 250 ათასი შეადგინა, ქარხნის კონვეიერი მემილიონე ავტომობილმა 1955 წლის აგვისტოში დატოვა, ამჟამად კი "ფოლკსვაგენს" უკვე ოც მილიონზე მეტი "სახალხო ავტომობილი" (მათ შორის, ახალი "ხოჭოც") აქვს გამოშვებული.



იტალიის კომპარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი

სარეცხი ფხვნილი

მხატვრის, მოქანდაკის სახელოსნო

ნარკოტიკული ნივთიერება

პლანეტა



[illegible] დარგი

მაგარი ალკოჰოლიანი სასმელი

გამოცანა-თავსატეხი

სამი ქვეყნის სამხედრო ბლოკი

მდინარე საფრანგეთში

ჩაღრმავება ვულკანის თხემზე

ფრანგი ფერმწერი და მოქანდაკე

რაიმე სხეულიდან მომდინარე გამოსხივება



უმაღლესი რანგის მოჭადრაკე

ქალაქი კანადაში

საწერი ქაღალდის რაოდენობის საზომი ძველებური

ტრადიციული სამოსი ლათინური ამერიკის ქვეყნებში

საესტრადო წარმოდგენის სახეობა

პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი

რუსი კინორეჟისორი და მსახიობი

შუა საუკუნეების რაინდი ესპანეთში

ქალაქი ნიდერლანდებში

საგნის გარეგნული მოხაზულობა

რაიონი დისკრიმინირებული უმცირესობისათვის

რუსი მხატვარი-"პერედვიჟნიკი"

"მილანის" ბრაზილიელი ფეხბურთელი

რომის პაპის გვირგვინი

მე-14 საუკუნის იტალიელი მწერალი



მიწის სათხრელი მანქანა

ფრანგული საავტომობილო კომპანია

ტვირთის გადაზიდვის საფასური

ქიმიური ელემენტი

ფარული, შენიღბული დაცინვა




*გემშვიდობებით სექტემბრამდე*

## კლუბები/რესტორნები/ბარები

**ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 23:00** ახალი DJ და დისკოთეკა. **მიმ-ტანები:** - ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფე-შენ TV; ყოველ ხუთშაბათს:**

Ladies night საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლ-ოდ ქალბატონებისთვის. ასევე - **განახლებული** მენიუ **და ლუდების ფართო არჩევანი;**

**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70);**
ავტოსადგომი უფასოა.

**იხსნება: 16:00; ბიზნესლანჩი: 12:00-დან 15:00-მდე.** მუდმი-ვი კლიენტებისათვის ფასდაკლება. შესაძლებელია წინასწარი შეკვე-თები კერძო წვეულებებისათვის.

დარბაზი გათვალისწინებულია 80 სტუმარზე.
**ახვლედიანის 13.**
**ტ.: 92 00 45**

**იხსნება: 11:00; ლუდსახარში და რესტორანი გთავაზობთ:** გერმანული ტექნოლოგიითა და **უნიკალური რეცეპტით,** მაღა-ლხარისხოვან **გერმანულ სვია-სა და ალაოზე** დამზადებულ **ცოცხალ,** გაუფი-ლტრავ ლუდს **""კაიზერ ბრაუს."** ქალაქის საუ-კეთესო უბანში, სასიამოვნო გარემოში, თქვენ შეგიძლიათ თვალი ადევნოთ **რესტორანში გა-ნთავსებულ მინი ლუდსახარშში ლუდის ხარ-შვის პროცესს,** შესვათ ახლადმოხარშული შე-სანიშნავი ლუდი და სხვა სასმელები, **მიირთვ-ათ** უგემრიელესი გერმანული და ევროპული კერძები და რესტორნის დიდ მონიტორზე **ნახოთ** სპორტის უახლესი მოვლენები. **"კაიზ-ერ ბრაუს" შეგიძლიათ** ლანჩზეც ეწვიოთ.

**საუკეთესო შეფ-მზა-რეული** თქვენ უამრავ სიურპრიზს გიმზად-ებთ, რათა მოსწყდეთ დაძაბულ დღის რეჟიმს, დაისვენოთ და გემრიე-ლად წაიხემსოთ. **სამ-ზარეულო ღიაა: 02:00; რესტორანი მუშაობს** ბოლო სტუმრის გაცი-ლებამდე.

**სიონის 8;**
**ტ.: + 995 (32) 92 03 22;**
ავტოსადგომი უფასოა

**გახსნილია:** 24 საათი; **ცო-ცხალი მუსიკა:** 19:30-დან 23:30-მდე; **სადღესასწაუ-ლო დღეებში სპეციალუ-რი პროგრამა;** თუ გიყვართ **უკრაინული ნაცი-ონალური კერძები,** ან მრავალი მოგონება გა-კავშირებთ ქალაქ კიევთან, **გვესტუმრეთ მე-გობრებთან ერთად,** გაიხსენეთ წარსული, კვლავ ახალგაზრდად იგრძენით თავი და **ძვე-ლებურად მოილხინეთ.**

უკრაინული კერძების ფართო არჩევანი, გან-თქმული უკრაინული "ბორშჩი", "სბორნაია სა-ლიანკა," "კატლეტი კიევურად," საუკეთესო **ქართული ღვინოები** და მხოლოდ **უკრაინუ-ლი წიწაკისა და ხორბლის არყები** და რა თქმა უნდა, სახელგანთქმული **"ტორტი კიე-ვურად"** ჭეშმარიტად კიევში გაგრძნობინებთ თავს. სლავური მუსიკისა და **თანამედროვე** რუსული და უკრაინული **ესტრადის ჰიტები** კი მოწყენის საშუალებას არ მოგცემთ და ზეაწე-ული განწყობა შეუძლებელს შეგაძლებინებთ. გვერწმუნეთ, რესტორანი **"კიევი" საუკეთე-სო ადგილია** თქვენთვის სასურველი **წვეუ-ლების მოსაწყობად.** იტევს 70 კაცს. შესაძ-ლებელია მაგიდების წინასწარ დაჯავშნა.

**ვაჟა-ფშაველას 6;**
**ტ.: 38 76 46.**

**იხსნება: 10:00; ცოცხა-ლი მუსიკა: 19:00;** სახე-ლმა არ მოგატყუოთ და სამოგზაუროდ არ გაე-მართოთ. **ეს "ლევილი" თბილისშია!** - მყუდრო გარემო, გამორჩეული ქართული და ევროპული სამზარეულო, **მომსახურების უმაღლესი დონე,**

ბარი სუკეთესო სასმელების მრავალფეროვანი არჩევანით. **350** ადგილიანი საბანკეტო დარბაზი, **22** და **10** ადგილიანი **კუპეები,** ერთი სიტყვით, - **იდიალური ადგილი** ნებისმიერი **წვეულების მო-საწყობად.** შესაძლებელია **დარბაზის** ან **მაგიდე-ბის** წინასწარ **დაჯავშნა.** მუშაობს ბოლო სტუმრ-ის გაცილებამდე.

**ალექსანდრე ყაზბეგის 12ა; ტ.: 37 14 19;**
**mob.: 899 223424/899 502414/899 537648.**

## ბათუმი








**დღეს**

**და 06.08.06 - ლათინო ფართი, 07.08.06.** - ჯგუ-ფი "ფრანი"; **08.08.06.-09.08.06.** - ტამტამ შოუ /კოკა აბზიანიძე, მერაბ სანოძე, დიტო საკანდე-ლიძე, ზაზა ცერცვაძე /; **11.08.06.-20.08.06.- AFRI-CAN DRUMMERS;**

**იხსნება: 10:00; ცოცხალი მუსიკა: 23:00;** ფუნქციონირებს როგორც **რესტორანი: 20:00-მდე;** აქვს **დიდი ბარი** და სასმელების **ფართო** არ-ჩევანი. თქვენი არჩეONEის სიზუსტეზე **3 ბარმე-ნი** იზრუნებს, რომლებიც კარგი განწყობის შესა-ქმნელად ყოველ **კოქტეილს მინი შოუსაც მოა-ყოლებენ.** იტევს **500 სტუმარს** და აქვს **240 დასა-ჯდომი ადგილი.**

გპირდებით, **შოუს დაწყებას ყველგან გაიგებთ,** ბათუმში იქნებით თუ ქობულეთში, სარფში თუ გონიოში. თქვენი საუკეთესო დასვენებისა და **გა-რთობის დრო და ადგილი უცვლელია** - კლუბი "უფო," **Show time: 23:00; ჩვენი დევიზია:** საქარ-თველო ნარკოტიკის გარეშე! **აიწყვიტე უექსტა-ზოდ!** გაერთე, დალიე და იცეკვე მთელი ღამე შენ და არა შენმა ილუზიამ! ან განმარტოვდი საყვარ-ელ გოგონასთან ერთად **ჰამაკების კუნძულზე.** მოწიე **კუბური სიგარა,** მიირთვი **ცხელი შოკო-ლადი** და **ყავა** და დალიე მხოლოდ **კონიაკი "სა-რაჯიშვილი".** თქვენი და თქვენი სტუმრის **უსა-ფრთხოება გარანტირებულია** კლუბში და მთელ მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გალაქსი მიუზიქ ქლაბი **საუკეთესო ადგილია**



**წვეულების მოსაწყობად.** შეიკრიბეთ, დაიქირა-ვეთ **"უფო"** და ჩაუშვით ღუზა იქ, სადაც მოისუ-რვებთ. **"უფო"-ს ყველგან შეუძლია გადაადგი-ლება** და საგანგებო სიტუაციებში, უმოკლეს დროში უზრუნველყოფს თქვენს დაბრუნებას ნა-პირზე. მას ყველგან **თან ახლავს რამდენიმე სკუტერი,** რომელთა საშუალებითაც **ნებისმიე-რი დანიშნულების პუნქტში უსწრაფესად გაჩ-ნდებით.** ის **ერთადერთია** მთელი **შავი ზღვის აკ-ვატორიაში** და ისიც თქვენია. **შესაძლებელია** მაგიდების წინასწარ დაჯავშნა. **"უფოს" გამოც-დილი კაპიტანი და ეკიპაჟი მართავს,** ხოლო მის **მენეჯმენტს "სანო" ჯგუფი ახორციელებს. გახსოვდეთ -** გალაქსი მიუზიქ ქლაბი **თქვენი ზე-ციური სიამოვნებაა დედამიწაზე!**
**ბილეთის ფასი: 20 ლარი;**

**ბათუმის იახტ-კლუბის აკვატორია;**
**ტ.: 899 900 911, 899 945 950, 899 210 815; აქვს 200 მანქანაზე გათვლილი საკუთარი ავტოსადგომი.**

## მაღაზიები

**პარფიუმერია და კოსმეტიკა**

მაღაზიათა ქსე-ლი გთავაზობთ: **Issey MIYAKE, Carolina HERRERA, DOLCE & GABBANA, Van Cleef, & Arpels, Cristian Dior, BVLGARI, ALEXANDER McQVEEN, YVES SANT LAURENT, JIL SANDER, ROCHAS, BOUCHERON, CHANEL, CERRUTI, Davidoff, VALENTINO, Jean Paul GAULTIER, ORLAN, LAGERFELD, Ermenegildo Zegna,TRUSSARDI, Calvin Klein, GF, GUCCI, JOOP, LANCASTER, Ghopard, dun-hill, STELLA McCARTNEY, Lolita Lempika -** სა და სხვა ფირმების პარფიუმერი-ასა და კოსმეტიკას.



**სიახლე:** ვერ-საჩეს სახლის მიერ შექმნი-ლი **ბოლო სუ-ნამო,** რომელ-იც 2006 წელს გამოვიდა - **VERSACE MAN EAU FRAICHE.** თქვენს წინაშე კვლავაც **"ის"** არის - ძლიერი და **საკუთარ თავში დარწმუნებული** მამაკაცი - მოდური და მოხდენილი. საინტერესო, მაგრამ ამჯერად არა ექსცენტრიული, **სექსუალური,** მაგრამ - ამჯერ-ად არა ვულგარული. მისი **ბუნებრივი** შარმი და ელეგანტურობა მაგნიტივით მოქმედებს! ეს მა-მაკაცი სულით ძლიერია, **თავისუფალი** და კარგ-ად იცის, როგორ დატკბეს ცხოვრებით. **VER-SACE MAN EAU FRAICHE-**ის მერქნისებრ არო-მატს **მატონიზირებელი** თვისებები აქვს. ელეგა-ნტურ, მაცდურ ფირუზისფრად მოელვარე ფლა-კონს კი - გამომწვევი ფორმა. ის ბრენდის კლასი-კურ ბოთლს მოგვაგონებს, ხოლო სქელი შუშა და მართკუთხა ფორმა მის მამაკაცურობას ხაზს უსვამს.

**ღიაა: 10:30-დან 20:00-მდე.**

**თბილისი:** რუსთაველის 1/34/42, ჭავ-ჭავაძის 11, ვაჟა-ფშაველას 20, დ.აღ-მაშენებლის გამზ. 83/114, გამსახურდიას 11, ხიზანიშვილის 6, ვეკუას 3 (სავაჭრო ცენტრი GTS), წერეთლის 69. **ქუთაისი -**თამარ მეფის 5. **ბათუმი** - კოსტავას 7.

## გალერეა/მუზეუმი

**საქართველოს ეროვნული მუზეუმი**
**ს. ჯანაშიას სახელობის**
**საქართველოს მუზეუმი**

**მუშაობს:** 11:00-დან 16:00-მდე; **დასვენების დღე ორშაბათი. მთელი ზაფხულის მანძილზე** თბილისელებისა და დედაქალაქის სტუმრების-თვის ფუნქციონირებს შემდეგი საგამოფენო დარბაზები და ექსპოზი-ციები**: 1. ოქროს ფონდი -** ქართული ოქრომჭედ-ლობის საგანძური. წარ-მოდგენილია ძვირფასი ლითონებისა და ქვებისა-გან დამზადებული უნი-კალური ნივთები. მათ შორის განსაკუთრებუ-ლი ადგილი უჭირავს ქრისტიანობამდელი პე-რიოდის ოქრომჭედლობ-ის ნიმუშებს, რომლებიც ჩვ.წ.აღ-მდე III ათასწლე-ულის II ნახევრიდან, ჩვ.წ.აღ-ის IV ს-ის ჩათვ-ლით თარიღდება ; **2.** XVIII-XX სს. **ხალიჩა-ფა-რდაგები. 3. პირველი ევროპელების გამოფე-ნა** (დმანისში აღმოჩენი-ლი ჰომინიდების ნაშთე-ბი, რომლებიც **1,8 მილი-ონი წლით** თარიღდება. ეს ჰომინიდის არსებობის **უძველესი** ნიშანია აფ-რიკის კონტინენტის გარეთ). **4. საბჭოთა ოკუ-პაციის გამოფენა** /1921-1991 წ./ - ხელნაწერე-ბი, ოფიციალური დადგენილებები, ფოტომასა-ლა, პოსტერები, ციხის კამერები, დოკუმენტუ-რი ფილმი, ვაგონი - რომელშიც ადამიანები და-ხვრიტეს. **მოდი და ნახე (გაიხსენე) წარსული, რომ სწორად ააშენო მომავალი!**





**ბილეთის ფასი: 3 ლარი**/მოზრდილთათვ-ის/, **1.5 ლარი** /სტუდენტები/ **0.50 ლარი** /მოწა-ფეები/.

**რუსთაველის 3;**
**ტ.: 99 80 22; ფაქსი: 98 21 33;**



**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო**
**მაია კაპანაძე**
ინფორმაციისა და რეკლამის განსათავსებლად დარეკეთ:
☎ 899 95 57 67